

# Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

4/2020

შედარებითი სამართლის  
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift  
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz und  
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses  
des Deutschen Bundestages



თინათინ წებულის სახელმძღვანელოს

სახელმწიფოსა და

საგარეო ურთიერთობების მინისტრის

4/2020

# შვედური-გერმანული სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

ჟურნალი დაფუძნებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. 2020 წლის მე-3 ნომრიდან მის დაფინანსებას აგრძელებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ).

## მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი  
ლადო სირდაძე

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი  
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი  
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი  
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი  
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი  
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა  
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე  
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული  
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია  
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი  
ლადო სირდაძე  
დავით მაისურაძე  
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი  
დემეტრე ეგნატაშვილი  
სოსო ქოქოშვილი  
ადვოკატი ქეთევან ბუაძე  
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე  
თორნიკე დარჯანია  
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია  
ხატია პაპიძე  
თათია ჯორბენაძე  
ანა ბაიაძე

ISSN 2587-5191

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2020

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2020

© ავტორები, 2020

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, [administration@isl.ge](mailto:administration@isl.ge)

[www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge), [www.isl.ge](http://www.isl.ge)

DEUTSCHE STIFTUNG FÜR  
INTERNATIONALE RECHTLICHE  
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



aufgrund eines Beschlusses  
des Deutschen Bundestages



თინათინ წერეთლის სახელობის  
სახელმწიფოსა და  
საერთაშორისო ინსტიტუტი



BSH  
Think Legally.



# სარჩევი

## სტატიები

დომენის ცნება და სამართლებრივი რეგულირება <i>ზვიად გაბისონია</i>	7
საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტი- ვები საქართველოს პარლამენტში <i>ლადო სირდაძე / გიორგი ჟორჟოლიანი</i>	9
რესტიტუციის ფარგლები ანგლო-ამერიკულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში <i>გიორგი რუსიაშვილი / დემეტრე ეგნატაშვილი</i>	34

## სხვადასხვა

სკ-ის 300 I მუხლის შედეგები უძრავ ნივთში არსებულ მოძრავ ნივთებთან მიმა- რთებაში <i>ნინო ქავშაია</i>	49
---	----

## სასამართლო პრაქტიკა

სუს: შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა/და- საქმებულის უფლებრივი რესტიტუციის მექანიზმთა განსაზღვრა <i>(თედორაძე)</i>	52
სუს: მოსარგებლისა და მფლობელის პასუხისმგებლობათა გამიჯვნა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დროს <i>(თედორაძე)</i>	53
სუს: შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპის გამოყენება საგადასახადო ორგანოს საქმიანობაში <i>(აბუთიძე)</i>	55
სუს: არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი- სას <i>(ბერიძე)</i>	62



# დომენის ცნება და სამართლებრივი რეგულირება\*

პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

## I. დომენის ცნება და კატეგორიები

დომენი<sup>1</sup> (Domain) ვებგვერდის განუყოფელი ნაწილია. ვებგვერდი თანამედროვე მსოფლიოში კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი უმთავრესი შესაძლებლობაა. როგორც წესი, ვებგვერდის შექმნისთვის პირი ხელმძღვანელობს საკუთარი სამოქალაქო სახელით, ფსევდონიმით, საფირმო ან მასთან იდენტიფიკაციის მქონე სხვა სახელწოდებით. ვებგვერდის შექმნა თითქმის არ ხდება ე.წ. „დომენის გარეშე“, რომელიც ინტერნეტში ტექნიკური მისამართის ერთ-ერთი სახეობაა. თავის მხრივ, დომენთან ერთად, ვებგვერდის მისამართი (სახელწოდება), სამოქალაქო სახელისგან განსხვავებით, მაშინ იღებს სამართლებრივ დატვირთვას, როდესაც მას გარდა მისამართისა, გააჩნია შემდეგი სახის ნიშნები: სახელწოდების წინ ერთვის - „www“ და სახელის შემდეგ „net“, „com“, „org“ ან სხვ. ისევე, როგორც სამოქალაქო სახელის შემთხვევაში, ვებგვერდის სახელწოდების უფლებზეც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობები და

შესაბამისი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, მის მფლობელსაქვს შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი უფლება.

მარტივი ტექნიკური გაგებით დომენური სახელი არის ინტერნეტ პროტოკოლისთვის უნიკალური დასახელება, მისამართი, რომელიც მიუთითებს თქვენს ვებგვერდზე ან ელექტრონულ ფოსტაზე. მისი მეშვეობით ყველას შეუძლია ინტერნეტში თქვენი ვებგვერდის ან ელფოსტის მოძებნა. ინტერნეტ სისტემა თავის მხრივ დომენურ სახელს, სპეციალური წესით დალაგებული ციფრები მაგალითად, 123.123.123.123 გადაჰყავს ადამიანისთვის მარტივად აღქმად ფორმაში. რათა ნებისმიერი დომენური სახელი მუშაობდეს და შეგეძლოთ საიტის ნახვა იგი მიმაგრებული უნდა იყოს რომელიმე ჰოსტზე<sup>2</sup> (Host, Hosting) და უნდა ჰქონდეს მინიჭებული ე.წ. აიპი მისამართი (IP)<sup>3</sup>.

მარტივი შედარება რომ გავაკეთოთ რეალურ ცხოვრებასთან, დომენური სახელი არის ჩვენი საფოსტო მისამართი, რომლის გარეშეც ვერავინ ვერ მოგვძებნის, ჰოსტინგი არის მინის ნაკვეთი, ხოლო ვებგვერდი არის შენობა, რომელიც განთავსებულია ამ მინის ნაკვეთზე. ამიტომ ეს სამივე კომპონენტი შეუცვლელია და უპირობოდ აუცილებელი. როგორც აღინიშნა, დომენი უნდა იყოს მიმაგრებული ჰოსტინგზე და ჰქონდეს მინიჭებული IP-მისამართი, რომელიც ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურ

\* აღნიშნული სტატია ქვეყნდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის - „ინტერნეტ სამართალი“ - ფარგლებში.

<sup>1</sup> როგორც სერგი ჯორბენაძე თავის წიგნში „სოციალური მედიის სამართალი“ (გვ. 50) მართებულად მიუთითებს, ტერმინი დამკვიდრებულია როგორც „დომენი“ და არა „დომენი“. ასევეა მითითებული ვებგვერდზე, სადაც შესაძლებელია დომენის რეგისტრაცია [www.registrations.ge](http://www.registrations.ge). საინტერესოა, რომ სუს საქმეებში ტერმინი ორივე სახითაა მოხსენიებული. კერძოდ, როგორც „დომენი“ (სუს განჩინება, 27.02.2013, №ას-1666-1563-2012 — აღწერილობითი ნაწილი), ისე, „დომენი“ (სუს განჩინება, 11.10.2000, №3კ/589. ამ შემთხვევაში ერთ განჩინებაში ორივე ტერმინია გამოყენებული). თუმცა, ვფიქრობ, რომ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ტერმინი „დომენი“ უფრო მართებულია (ზ.გ).

<sup>2</sup> ჰოსტინგი ასევე უცხო ენაში გავრცელებული ტერმინის ქართულ ვარიანტადაა განხილული. იგი წარმოადგენს მომსახურებას, რომელსაც შესაბამისი (ჰოსტ პროვაიდერი) კომპანია უზრუნველყოფს. იხ. ს. ჯორბენაძე. სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019, 50.

<sup>3</sup> IP მისამართი - ინგლ. Internet Protocol Address (ინტერნეტ ოქმის მისამართი). იგი არის ინტერნეტში ჩართული მონყობილობის უნიკალური იდენტიფიკატორი (მისამართი).



რია. სახელმწიფო ორგანოები, ისევე, როგორც კერძო სექტორში მომუშავე კომპანიები არჩევენ შესაბამის დომენს, რომლის საფუძველზეც იღებენ კონკრეტულ სახელებს: მაგალითად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ([www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)), რომელსაც დომენად აღებული აქვს - **gov.ge** (როგორც სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელს). ამდენად, დომენი იდენტიფიცირების შესაძლებლობის მატარებელიცაა (დომენის სახელი შესაბამისი კომპანიის/მომსახურების ცნობადობის ამაღლებასაც ემსახურება). კერძო სამართლის სუბიექტების შემთხვევაში დომენს ეკონომიკური ღირებულება გააჩნია. ხშირად იგი წარმოადგენს საფირმო სახელწოდების/სასაქონლო ნიშანს. ეს კი საფუძველად უდევს დომენური სახელისა და სასაქონლო ნიშნის გამოყენების მართლზომიერების შეფასების საკითხზე მსჯელობას, რომელიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით რეგისტრირებული დომენის დაუშვებლობას გულისხმობს<sup>4</sup>.

დომენი იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

**ა) გლობალურად (ზოგადი, საერთაშორისო დომენი)**, რომელსაც ყველაზე მეტი გამოყენება აქვს. ასე მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ გლობალურ დომენს წარმოადგენს **.com** (კომერციული შემთავაზებელი). ასევე ცნობილია შემდეგი გლობალური დომენები - **.int** (საერთაშორისო ორგანიზაცია), **.net** (სოციალური ქსელის მიმწოდებელი), **.org** (სხვა ორგანიზაცია), **.gov** (სახელმწიფო უწყება), **.mil** (სამხედრო/ძალოვანი სფერო/უწყება), **.edu** (საგანმანათლებლო უწყება), **.name** (კერძო პირი).

გლობალურ დომენ **.com**-თან დაკავშირებით ცნობილია შემთხვევები, როდესაც თავის დროზე 10 ან 20 დოლარად შეძენილი დომენები მილიონებად გაიყიდა. ამის მაგალითებია: **business.com** – 7,5 მილიონი დოლარი, **altavista.com** – 3,3 მილიონი დოლარი, **wine.com** – 2,9 მილიონი დოლარი<sup>5</sup>.

**ბ) სპეციალური დომენი**, რომელიც ძირითადად გამოიყენება კონკრეტული, სპეციალური ინსტიტუციის აღსანიშნავად. მაგალითად

(ტელემაუწყებლობისკომპანიები), **.pro** (კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლები - ადვოკატები, ექიმები, საგადასახადო მრჩეველები და სხვ.), **.aero** (საჰაერო/ავია ინდუსტრია), **.museum** (მუზეუმები), **.travel** (ტურისტული კომპანიები და ბიუროები) და სხვ.);

**გ) ქვეყანაზე დამოკიდებული დომენი**. ამ დომენს იყენებენ ძირითადად კონკრეტულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირები - **.ge** (საქართველოს მაიდენტიფიცირებელი აღმნიშნავი), **.de** (გერმანია), **.us** (აშშ), **.it** (იტალია). ამ კატეგორიის დომენებზე ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავ და აქ აღარ შევჩერდები.

მართალია, სახელისა და დომენის არჩევაში პირი თავისუფალია, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში მან უნდა იზრუნოს, რომ ამგვარი ქმედებით არ დაარღვიოს სხვათა უფლებები. ეს ქმედება ექცევა უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების ფარგლებში (სკ-ის 115-ე მუხლი). თუ საქმე კონკრეტულ ქვეყანას ეხება (მაგალითად, **.ge** დომენს), დომენში მცირე ცვლილების შეტანა მისი სხვა კომპანიასთან (პროდუქტთან) მაიდენტიფიცირებელი სახით არსებობას არ გულისხმობს. ცალკეულ შემთხვევებში, ე.წ. „პრიორიტეტულობის პრინციპი“ თამაშობს დიდ როლს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელია, პირს მოუწიოს დომენის დათმობა სხვა პირის სასარგებლოდ. ეს კი იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს მოთხოვნის საფუძველი, თუ ამავე სახელწოდების მქონე პირი ცნობილია ადგილობრივ დონეზე (სადაც დომენი გაიცემა). გარდა უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევისა, დომენის თაობაზე სამართლებრივი მოწესრიგების გათვალისწინებით, დაუშვებელია იგი იყოს დამაბნეველი. კერძოდ, საზოგადოება შეჰყავდეს შეცდომაში, ახდენდეს იდენტიფიცირებას სხვა დომენებთან და ა.შ. საინტერესო მაგალითია სს „თიბისი ბანკის“ საქმე, რომელმაც ორი დომენის: [www.mytcbank.ge](http://www.mytcbank.ge) და [www.itcbank.ge](http://www.itcbank.ge) გაუქმება მოითხოვა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (სკეკ) ამ პოზიციას დაეთანხმა. კერძოდ, მან მიიჩნია, რომ ასეთი დომენების გამოყენება შეცდომაში შეიყვანდა მომხმარებლებს, ვინაიდან მსგავსების ასოცირებას გამოიწვევდა სს „თიბისი ბანკთან“. ამდე-

<sup>4</sup> ს. ჯორბენაძე. სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019, 51.

<sup>5</sup> <http://www.avangardhosting.com>

ნად, სკეკ-მა მიიღო გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნულ დომენებზე წვდომის შეზღუდვის თაობაზე.

## II. GAC-ის საერთაშორისო

### „სახელმძღვანელო პრინციპები ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის დელეგირებისა და ადმინისტრირების შესახებ“<sup>6</sup>

გლობალური საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით კი, ინტერნეტის, განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული და გლობალური ეკონომიკის წინსვლის კუთხით. **ზედა დონის დომენური სახელები (TLD)** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. **ქვეყანასთან ასოცირებულმა (ქვეყნის კოდის) ზედა დონის დომენებმა (ccTLD)**, მზარდი წილი მოიპოვა დომენური სახელების ბაზარზე და უმრავლესობა მას უყურებს, როგორც თავისი ქვეყნის ან გეოპოლიტიკური ტერიტორიის ინტერნეტის განსაკუთრებულ ნაწილს<sup>7</sup>. ქვეყანასთან ასოცირებული ზედა დონის დომენი, იგივე ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში (ccTLD), მინიჭებული აქვს ქვეყნებს საერთაშორისო კორპორაციის - **მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის (Internet Corporation for Assigned Names and Numbers, ICANN)** მიერ. თითოეულ ქვეყანას/ტერიტორიას/გეოგრაფიულ მონაკვეთს მინიჭებული აქვს ერთი უნიკალური ccTLD, რომელსაც მართვა-ადმინისტრირებას უწევს ICANN/IANA-ს მიერ დელეგირებული ადმინისტრატორი. თითოეულ ccTLD-ს ჰყავს ერთი ადმინისტრატორი. საზოგადოდ, ურთიერთიერობას ccTLD ადმინისტრატორსა და ქვეყნის მთავრობას/შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ჯერ კიდევ 2003 წელს, საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტზე (WSIS) მიღებულ სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში (ccTLD) სახელმწიფო რესურსს წარმოადგენს და ამი-

ტომ სახელმწიფოები მონოდეზიგნაციის არიან, სათანადოდ უხელმძღვანელონ თავისი ccTLD-ების მართვას. „უხელმძღვანელონ“ – იგულისხმება: იურთიერთონ შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტზე დაყრდნობით.

2004 წელს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებამ (ITU) ჩაატარა გამოკითხვა წევრ ქვეყნებს შორის იმის თაობაზე, თუ როგორი იყო მათთან ურთიერთობა სახელმწიფოსა და ccTLD ადმინისტრატორებს შორის. კითხვები შეეხებოდა: სახელმწიფოს ჩართულობას თავისი ccTLD-ს მართვაში, სახელმწიფოებისა და ccTLD-ს ურთიერთობის სტატუსს, სახელმწიფოს ჩართულობას ინტერნეტის მმართველობაში, ccTLD-ს სტრუქტურას, რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, დავების გადაწყვეტასა და სხვა. შედეგად, გამოკითხულთაგან წევრი ქვეყნების 43.28%-ში სახელმწიფო ორგანოები მაქსიმალურ კონტროლს ახორციელებენ თავის ccTLD-ზე; 29.85%-ში ნაბიჯები იდგმება ოფიციალური კონტროლის განსახორციელებლად; 19.40%-ში ურთიერთობა მთავრობას/შესაბამის სახელმწიფო ორგანოსა და მის ccTLD-ს შორის ჩამოყალიბების პროცესშია და მხოლოდ 7.46%-ში არ იგეგმება რაიმეს შეცვლა.

2005 წელს მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციამ (ICANN) მიიღო და დაამტკიცა სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (GAC) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტი - „სახელმძღვანელო პრინციპები ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის დელეგირებისა და ადმინისტრირების შესახებ“<sup>8</sup>, რომელიც ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავ, რომ ICANN-ის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც შედგება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სამთავრობო წარმომადგენლისაგან, უფლებამოსილია, განსაზღვროს ქვეყანასთან ასოცირებული ზედა დონის დომენების (ccTLD) მართვის მკაფიო და დაბალანსებული სისტემა, რომელიც მხედველობაში უნდა იყოს

<sup>6</sup> <https://archive.icann.org/en/committees/gac/gac-cctld-principles.htm>

<sup>7</sup> <https://www.gncc.ge/uploads/other/1/1898.pdf>

<sup>8</sup> <https://archive.icann.org/en/committees/gac/gac-cctld-principles.htm>

მიღებული თითოეული ქვეყნის მიერ იმ ადგილობრივი პოლიტიკური მიზნების შემუშავებისას, რომელიც დაკავშირებულია ccTLD-ს განვითარებასთან<sup>9</sup>.

აღნიშნული დოკუმენტით, GAC-ი იძლევა რეკომენდაციას, რომ ქვეყნის მთავრობამ/შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ სამართლებრივად მოაწესრიგოს ურთიერთობა თავის ccTLD ადმინისტრატორთან, უფრო აქტიურად ჩაერიოს თავისი ccTLD-ის მართვაში და დააფუძნოს ეს ურთიერთობა სამართლის ნორმებზე და/ან კონტრაქტებზე, მემორანდუმებზე, სხვა წერილობით დოკუმენტებზე... ამავე დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის მთავრობა ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანო რეკომენდებულია, უზრუნველყოს, რომ თავისი ccTLD-ს მართვა და ადმინისტრირება ხორციელდებოდეს საზოგადოების ინტერესების, ამავდროულად, შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების გავალისწინებით. 2015 წელს ICANN-ის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტმა, ITU-ს მსგავსად, თავის წევრებს შორის (155 წევრი), ჩაატარა გამოკითხვა თემაზე - „ურთიერთობა სახელმწიფოსა და მის ccTLD მენეჯერს შორის“<sup>10</sup>. კითხვარის მიზანს წარმოადგენდა წევრებს შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. შედეგად, გამოკითხულთაგან მხოლოდ 7 ქვეყანაში არ არის დამყარებული ოფიციალური, სამართლებრივ დოკუმენტზე დამყარებული ურთიერთობა მთავრობას/შესაბამის სახელმწიფო ორგანოსა და მის ccTLD ადმინისტრატორს შორის. ამ 7 ქვეყნიდან 3 (მათ შორის - საქართველო) არის ძიებაში და სწავლობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, თუ როგორ, რა ფორმით დაამყარონ ოფიციალური ურთიერთობა თავის ccTLD ადმინისტრატორებთან. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ რამდენიმე ევროპული ქვეყნის მაგალითი:

**1. გაერთიანებული სამეფო (.uk)** - ადმინისტრატორი: Nominet UK; 2010 წლის ციფრული ეკონომიკური კანონით (ნაწილი 19), ბრიტანეთის

მთავრობას, მარეგულირებელი ორგანოს, Ofcom-ის მეშვეობით, აქვს უფლებამოსილება, ჩაერიოს .uk მართვაში რიგი დარღვევების შემთხვევაში. Ofcom-ი, აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად, რაიმე სახის რეგულაციის მიღებამდე, ვალდებულია, გამართოს საჯარო კონსულტაციები;

**2. ესპანეთი (.es)** - ადმინისტრატორი: Red.es - სახელმწიფო ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს ესპანეთის ინდუსტრიის, ენერჯეტიკისა და ტურიზმის სამინისტროს ქოლგის ქვეშ. ურთიერთობა სახელმწიფოსა და ადმინისტრატორს შორის რეგულირდება კანონმდებლობით - ესპანეთის კანონი 34/2002 საინფორმაციო საზოგადოებისა და ელექტრონული კომერციის შესახებ და 9/2014, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ;

**3. ესტონეთი (.ee)** - ადმინისტრატორი: „Estonian Internet Foundation“; რეგულირდება 2014 წლის 6 იანვრის ნორმატიული აქტით - „EE დომენის რეგულირება“ - ზედამხედველთა საბჭოს მიერ. ზედამხედველთა საბჭოში შედიან: ესტონეთის ეკონომიკური ურთიერთობებისა და კომუნიკაციების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რეფორმების პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ზედამხედველთა საბჭოს მართავს მმართველთა საბჭო;

**4. იტალია (it)** - ადმინისტრატორი: IIT – CNR; რეგულირდება კანონმდებლობით;

**5. პორტუგალია (pt)** - ადმინისტრატორი: Associação DNS.PT; რეგულირდება პორტუგალიის კანონით ინტერნეტ-დომენური სახელეუბის შესახებ;

**6. საფრანგეთი (.fr)** - ადმინისტრატორი - AFNIC (NIC France); რეგულირდება კონტრაქტის საფუძველზე; ადმინისტრატორი ინიშნება სახელმწიფოს მიერ 5 წლის ვადით;

**7. ფინეთი (.fi)** - 2003 წლამდე .FI ზედა დომენის მართავდა ფინეთის ტელეკომუნიკაციების სამინისტრო; 2003 წელს კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომლის საფუძველზეც .FI დომენის მართვისა და ასევე, რეგისტრაციის უფლება მიენიჭა ფინეთის მარეგულირებელ ორგანოს, FICORA-ს. ამასვე ადასტურებს ფინეთის 2006 წლის 8 აგვისტოს

<sup>9</sup> [http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000Y1014\(02\):EN:HTML](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000Y1014(02):EN:HTML)

<sup>10</sup> <https://gacweb.icann.org/display/gacmembers/Governments+relationship+with+ccTLDs>

კანონი „.FI დომენური სახელის მახასიათებლები და ტექნიკური კონფიგურაციის შესახებ“;

**8. შვეიცარია (.ch)** - ადმინისტრატორი: SWITCH Foundation; რეგულირდება შვეიცარიის ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს, OFCOM-ის, მიერ, კანონმდებლობის საფუძველზე.

### III. საქართველოში დომენის რეგისტრაციის სამართლებრივი საკითხები

საჯარო საქართველოს .ge დომენი მიენიჭა 1992 წლის 2 დეკემბერს. მისი ადმინისტრატორი, პირადი ინიციატივისა და მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე, გახდა შპს „სანეტი“. ინტერნეტის ადრეულ წლებში ადმინისტრატორის უფლებამოსილება ენიჭებოდა იმ პირს, რომელიც პირველად წარადგენდა ICANN/IANA-ში ოფიციალურ მოთხოვნას ccTLD-ს ადმინისტრირების თაობაზე და წარადგენდა საამისოდ შესაბამის, მათ შორის, ტექნიკური საშუალებების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (ე.წ. „first come first served“ პრინციპის საფუძველზე). უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი პირები იყვნენ უნივერსიტეტების კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტები. ამჟამად, იმის გამო, რომ ინტერნეტის ეროვნულ რესურსს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა როგორც გლობალურ, 9 ასევე - ეროვნულ დონეზე, ადმინისტრატორის შერჩევისა და წარდგენის წესი რამდენადმე შეიცვალა და აუცილებლად საჭიროებს შესაბამისი ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერას. 2006 წლიდან .ge დომენის ადმინისტრატორის ფუნქციას ახორციელებს „კავკასუს ონლაინი“, რომელიც შეიქმნა 3 კომპანიის (მათ შორის, „სანეტის“) შერწყმის შედეგად. ამავდროულად, „კავკასუს ონლაინი“ გახდა .ge დომენის ექსკლუზიური რეგისტრატორიც. საქართველოში ccTLD-ს მართვა არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ccTLD ადმინისტრატორი დამოუკიდებლად ახორციელებს დომენური სახელების მართვა-ადმინისტრირებას და რეგისტრაციასაც. შესაბამისად, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციებისა, საქართველო-

ში არ ხორციელდება თანამშრომლობა მთავრობას/სახელმწიფო ორგანოსა და ccTLD ადმინისტრატორს შორის.

არსებული მდგომარეობით, საქართველოში ზედა დონის დომენის ადმინისტრირების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კომპანია „კავკასუს ონლაინი“.

2018 წლის 15 მარტს შპს „კავკასუს ონლაინი“-ს მიერ, როგორც .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის ადმინისტრატორის მიერ შემუშავებულ იქნა „.GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები“, რომელიც ძალაში 2018 წლის 15 აპრილიდან შევიდა<sup>11</sup>.

წინამდებარე დომენის რეგულაცია ვრცელდება ყველა .GE-თი დაბოლოებულ დომენურ სახელზე, მათ შორის მითითებული დოკუმენტის („GE დომენის რეგისტრაციის წესების და პირობები“-ს) საფუძველზე რეგისტრირებულ დომენურ სახელებზე.

დომენის რეგულაცია აწესრიგებს ადმინისტრატორს და რეგისტრატორებს, რეგისტრატორებსა და რეგისტრანტებს და ასევე ადმინისტრატორსა და რეგისტრანტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების, მათ შორის, უფლებების გამოყენების და ვალდებულებების შესრულების ნაწილში, სავალდებულო, არსებით პირობებს.

ადმინისტრატორსა და რეგისტრატორს შორის, აგრეთვე, რეგისტრატორსა და რეგისტრანტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში მხარეებს უფლება აქვთ განსაზღვრონ სხვა დამატებითი პირობები, რაც აკრძალული არ არის დომენის რეგულაციით. დომენური სახელებით არადისკრიმინაციული სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით წინამდებარე დომენის რეგულაციასა და რეგისტრატორის მიერ რეგისტრანტისთვის დაწესებულ ნებისმიერ პირობას შორის, ასევე, რეგისტრატორის ხელშეკრულების ნებისმიერ პირობას და დომენის რეგულაციას შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში წინამდე-

<sup>11</sup> ქვემოთ მოცემული რეგულაციები ეყრდნობა შპს კავკასუს ონლაინის მიერ 2018 წლის 18 მარტის „GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს“ (ზ.გ.). იხ. [https://proservice.ge/uploads/xelshekrulebebi/domenis\\_registraciis\\_cesebi.pdf](https://proservice.ge/uploads/xelshekrulebebi/domenis_registraciis_cesebi.pdf)

ბარე დომენის რეგულაციას ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა.

შპს „კავკასუს ონლაინ“ ადმინისტრირებას უწევს .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენს, ანარმობებს დომენური სახელების რეესტრს, ორგანიზებას უწევს დომენური სახელების რეგისტრაციას სადამფუძნებლო დოკუმენტების, წინამდებარე .GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების, საქართველოს კანონმდებლობის, ICANN-სა და კავკასუს ონლაინს შორის გაფორმებული შეთანხმების და იმ სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც საზოგადოდ აღიარებულია მოცემულ სფეროში.

დომენური სახელის დასარეგისტრირებლად რეგისტრატორის მეშვეობით ასეთი რეგისტრატორის ვებგვერდის გამოყენებით ელექტრონული განაცხადი შეუძლია წარადგინოს ადმინისტრატორთან ნებისმიერმა საჯარო (საქართველოს სახელმწიფო ორგანომ) თუ კერძო პირმა (როგორც რეზიდენტმა, ისე არარეზიდენტმა ქმედუნარიანმა ფიზიკურმა ან/და იურიდიულმა პირმა), რომლის იდენტიფიკაცია დადგენადია და რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში წარადგენს წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრულ საჭირო დოკუმენტაციას და ინფორმაციას. თითო რეგისტრანტზე გასაცემი დომენური სახელების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

დომენური სახელი რეგისტრირებულად ითვლება რეგისტრანტის მიერ განაცხადის წარდგენის და რეგისტრაციის საფასურის გადახდის მომენტიდან, გარდა საჯარო პირებისთვის (საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისთვის), საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. რეგისტრატორი ვალდებულია დომენური სახელის დასარეგისტრირებლად რეგისტრანტის განაცხადის განხილვის და ადმინისტრატორისთვის წარდგენის პროცესში იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპით: იმ რეგისტრანტს, რომელმაც პირველად წარადგინა განაცხადი რეგისტრატორთან დომენური სახელის დასარეგისტრირებლად და გადაიხადა საერეგისტრაციო საფასური ენიჭება უპირატესობა სხვა განაცხადებთან მიმართებაში (**first-come, first-served**)

#### IV. პერსონალურ მონაცემთა კანონმდებლობის გავრცელება ბლოკჩეინ სისტემაზე

„GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები“ს მიხედვით, დომენური სახელი შესაძლოა შეიცავდეს ციფრებს (0-9), დეფისებს, ლათინურ ასოებს ან/და მათ კომბინაციას; დიდი და პატარა ასო დომენურ სახელში არ განსხვავდება ერთმანეთისგან; დომენურ სახელი არ უნდა იწყებოდეს ან ბოლოვდებოდეს დეფისით;

**დომენური სახელის მინიმალური სიმბოლოების რაოდენობა არის 2 (ორი), ხოლო მაქსიმალური - 63 (სამოცდასამი).**

იმ სიმბოლოების იდენტიფიცირების ნიშნები, რომლებიც არ შეესაბამება ACII-ს სტანდარტს, არ რეგისტრირდება, როგორც დომენური სახელი.

დომენური სახელი არ დარეგისტრირდება, თუ ის იდენტურია დომენის რეგულაციის შესაბამისად უკვე რეგისტრირებული დომენური სახელისა. რეგისტრატორი უფლებამოსილია რეგისტრაციისას ან რეგისტრაციის შემდგომ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში უარი უთხრას/გაუუქმოს რეგისტრანტს ისეთი დომენური სახელის რეგისტრაცია, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს.

რეგისტრატორი უფლებამოსილია თავის ვებ-გვერდზე წინასწარ გამოაქვეყნოს ისეთი დომენური სახელების სია, რომლებიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს და რომელ დომენურ სახელებზეც რეგისტრატორი არ დააკმაყოფილებს სარეგისტრაციო განაცხადს.

გარკვეული დომენური სახელები არის რეზერვირებული, რომელთა რეგისტრირება შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრატორის სპეციალურად განსაზღვრული პირობებით. რეზერვირებული დომენური სახელების სია და მათი რეგისტრაციის სპეციალური პირობები გამოქვეყნებულია ადმინისტრატორის ვებ-გვერდზე.

ზოგადი დომენის ზონაში შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი

დაბოლოების მქონე დომენური სახელები, იქვე მითითებული შესაბამისი პირობების დაცვით:

ა) **.com.ge** - დაბოლოების მქონე დომენური სახელი შესაძლოა დარეგისტრირდეს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის სახელზე;

ბ) **.edu.ge** - დაბოლოების მქონე დომენური სახელი შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელზე;

გ) **.org.ge** - დაბოლოების მქონე დომენური სახელი შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ არაკომერციული ორგანიზაციების სახელზე;

დ) **.net.ge** - დაბოლოების მქონე დომენური სახელი შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ ორგანიზაციებზე, რომლებიც წარმოადგენენ ქსელების პროვაიდერებს ან მათი საქმიანობა დაკავშირებულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროსთან;

ე) **.pvt.ge** - დაბოლოების მქონე დომენური სახელი შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ კერძო პირების სახელზე.

ვ) **.school.ge** - დაბოლოების მქონე დომენური სახელი შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლის სახელზე;

ზ) **gov.ge** - დაბოლოების მქონე დომენური სახელი შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოზე და ასეთი დომენური სახელის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სმართ ლოჯიქი“ ადმინისტრატორსა და სსიპ „სმართ ლოჯიქს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე.

## V. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტი-

ლებით<sup>12</sup>, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის მონესრიგება, რომელიც ა) ინტერნეტდომენის გამცემის უფლებამოსილებას ითვალისწინებდა, შესაბამისი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, დაებლოკა მას ინტერნეტგვერდი; ბ) მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულება, მოცემული წინაპირობის არსებობისას შესაბამისი რეაგირება მოეხდინა და აღმოეფხვრა კანონდარღვევა (რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა) და გ) მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობა, რომელიც წინასწარ დადგენილი გარემოების არსებობის შემთხვევაში, გადაცემა შეეზღუდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაში ჩარევის უფლებამოსილება ძალზე ფართოდ იყო მინიჭებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის (სკეკ) და სკეკ-ის დადენილებით, ინტერნეტდომენის გამცემისთვის<sup>13</sup>, რაც არ მოდიოდა შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასთან. შესაბამისად, დომენის გამცემს ამ ეტაპზე (სანამ საკანონმდებლო ორგანო მიიღებს ახლებურ მონესრიგებას) ინტერნეტგვერდის დაბლოკვის უფლებამოსილება აეკრძალა. ამდენად, შეზღუდვის განმახორციელებელ სუბიექტზე გაამახვილა საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება და არა მის დაუშვებლობაზე.

## VI. შეჯამება

ნათელია, რომ დომენური სახელები და მათი მონესრიგება ინტერნეტის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი სამართლებრივი მონესრიგების ფენომენად გადაიქცა. როგორც აღინიშნა, დომენური სახელი ხშირად მრავალმილიონიან სიკეთედ იქცევა, რაც თავისთავად, მისი მფლობელისთვის განსაკუთრებულ ეკონომიკურ კეთილდღეობას წარმოადგენს და საჭიროებს შესაბამის სამართლებრივ დაცვას,

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 02.08.2019, №1/7/1275 — ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ.

<sup>13</sup> მაგალითად, კანონმდებლობიდან არ იკვეთება შესაბამისი ტექნიკური საშუალებები, რომელსაც დაეყრდნობოდა ინტერნეტდომენის გამცემი. იხ. იქვე, II-16.

რაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით. წინამდებარე სტატიაში ნათლად არის მიმოხილული, დომენების ორივე ასპექტის თანმიმდევრული განვითარება, როგორც ეკონომიკური კუთხით, ასევე, სამართლებრივი მონესრიგე-

ბის მხრივაც, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი მონესრიგება აღნიშნული საკითხისთვის ჯერ კიდევ განვითარების პერიოდშია და ფართო პერსპექტივა აქვს.

# საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში

ლადო სირდაძე

ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის დოქტორანტი

გიორგი ჟორჟოლიანი

ადვოკატი

## I. შესავალი

დიგიტალიზაცია ტექნოლოგიურ და სამართლებრივ ლიტერატურაში თითქმის ყოველთვის ხასიათდება, როგორც ტექსტის, გამოსახულებისა და ხმის ტრანსფორმაცია ციფრულ ფორმატში, რისი აღქმაც შესაძლებელია კომპიუტერისთვის. თუმცაღა დიგიტალიზაცია გაცილებით ფართო მოვლენას წარმოადგენს, ვიდრე ეს ფიზიკურ მატარებელზე აღქმული ობიექტების ციფრული ტრანსფორმაციაა. მისი დახასიათება უფრო მართებულია, როგორც სტანდარტიზაციის მრღვეველი ტექნოლოგია (*disruptive technology*),<sup>1</sup> არა მხოლოდ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსთვის, არამედ სახელმწიფოსთვის, მისი სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცისთვის, ზოგადად, როგორც მოვლენა, რომელიც რევოლუციური სიახლის მომტანია. უნდა აღინიშნოს, რომ დიგიტალიზაციის გარეშე ინტერნეტი არ იქნებოდა ისეთი, როგორსაც მას ჩვენ ვიცნობთ. დიგიტალიზაციისა და ინტერნეტის დამსახურებაა სწორედ ის, რომ ფიზიკურ სამყაროსთან პარალელურად არსებობს ვირტუალური სამყაროც, რაც თავისთავად ნაწილია ციფრული რევოლუციისა, რომელიც სამომავლოდ ადამიანისგან

სრულად დამოუკიდებელ ავტონომიურ სისტემებსა და რობოტიზაციას<sup>2</sup> გვპირდება.<sup>3</sup>

სამართლის რობოტიზაციამდე უნდა მოხდეს სამართლებრივი ტექნოლოგიების (*Legal Tech*)<sup>4</sup> სრული ავტომატიზაცია, ხოლო მანამდე კი - ნაწილობრივი ავტომატიზაცია, სადაც იურიტი პირველწყაროა ავტომატიზაციის კოდისთვის. დიგიტალიზაციისგან განსხვავებით, ავტომატიზაცია, როგორც სტანდარტიზაციის მრღვეველი ტექნოლოგიისა და ინოვაციის საკითხი, ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშაა,<sup>5</sup> რისი

<sup>1</sup> J. L. Bower / C. M. Christensen, *Disruptive Technologies: Catching the Wave*, Harvard Business Review, Vol. 73, Issue 1, 1995, 43-53.

<sup>2</sup> სრულყოფილი რობოტიზაციის შედეგი იქნებოდა მანქანებისა და მათი პროგრამული უზრუნველყოფის მიერ მიღებული დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, რომელიც გავლენას მოახდენს არამხოლოდ ვირტუალურ სამყაროზე არამედ ფიზიკურზეც. იხ. R. Calo, *Robotics and the Lessons of Cyberlaw*, California Law Review, Vol. 103, 2015, 525-529.

<sup>3</sup> E. Hilgendorf, *Digitization and the Law – a European Perspective*, Digitization and the Law, Robotik und Recht, Vol. 15, 2018, 9-10.

<sup>4</sup> სამართლებრივი ტექნოლოგია (*Legal Tech*) არ წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების ჩრილში განმარტებად და ინტერპრეტირებად ტერმინს, არამედ ესაა საფირმო სიტყვათწყობა, ფენომენი, რომელიც აერთიანებს მრავალ ტექნიკურ და სამართლებრივ ერთობლიობას. სამართლებრივი ტექნოლოგიები ესაა ის პროდუქტები და სერვისები, რომელიც ხელმისაწვდომი გახადა ახალმა ტექნოლოგიებმა, რომელიც ემსახურება იურიტიის საქმიანობის ავტომატიზაციასა და გამარტივებას, როგორც ბიზნესისთვის, ასევე, მთავრობისთვის. იხ. H. J. Hellwig, *Legal Tech – wo steht die Diskussion? Fragen für eine Regulierung, Rahmenbedingungen für die Nutzung von Legal-Tech-Dienstleistungen schaffen*, AnwBI Online 2018, 908.

<sup>5</sup> მაგალითად იხ. Z. Warren, *A Future Focus: The Success of Legal Tech Depends on Transformation, Not Automation*, law.com, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე -



საფუძველიც, თავის მხრივ, ისაა რომ ერთი შეხედვით, ავტომატიზაცია დაკავშირებულია მხოლოდ მარტივი არაკომპლექსური სამუშაო პროცესის გამარტივებასთან, რაც არ წარმოადგენს სწორ მოსაზრებას.<sup>6</sup> სწორედ ავტომატიზაციაა საფუძველი ხელოვნური ინტელექტისთვის,<sup>7</sup> რომელიც დასახული მიზნისთვის შესაბამის ნიმუშებს სხვადასხვა ალგორითმის საშუალებით აგროვებს. ალგორითმებს შორის ყველაზე ფართოდ დამკვიდრებულია მანქანური სწავლების (Machine Learning)<sup>8</sup> ალგორითმები, რომელთა საშუალებით ავტომატიზაციის ისეთივე შედეგი მიიღება, როგორც სტატიკურ სიტუაციაში მყოფი პიროვნების მეშვეობით იქნებოდა მიღწევადი. ასევე არსებობს ხელოვნური ინტელექტის უფრო მეტად პროგრესული სისტემები (ოპერირებადი სიღრმისეული სწავლების (Deep Learning)<sup>9</sup> ალგორითმების

შედეგად), რომლებიც, თავის მხრივ, შედეგადად ურთიერთდაკავშირებული ხელოვნური ნეირონული ქსელებისგან და ხელოვნური ინტელექტისთვის ხელმისაწვდომს ხდის გაცილებით დიდ ინფორმაციას, ვიდრე ეს მანქანური სწავლების შემთხვევაშია. ეს კი ხელოვნური ინტელექტის წარმადობას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს – იმდენად, რომ რამდენიმე წელში ამ ტიპის ალგორითმებმა შესაძლოა სრულიად ჩაანაცვლონ ადამიანები გარკვეულ საქმიანობაში.<sup>10</sup>

სამართლის დიგიტალიზაციასა და ტრანსფორმაციას კონკრეტული მიზნები და შედეგები აქვს. მათი იდენტიფიცირება ერთობლივად უნდა მოხდეს შემდეგი მიმართულებებით: იურიტიკის ტექნიკური სამუშაოს ტექნიკისთვის დაქვემდებარება, სამართლებრივი შედეგების ალგორითმიზაცია, ბოლოს კი, კერძო სექტორისა და სახელმწიფოსთვის იურიდიული საქმიანობის კომპაქტურობა.<sup>11</sup>

სტატია შეეხება საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებს, თუ რატომ არის საჭირო ტექნოლოგიური რევოლუციის გავრცელება ხსენებულ პროცესზე და რა შედეგის მომტანია ის პარლამენტისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია სხვა ქვეყნებისთვისაც მნიშვნელოვან სიახლესა და ყურადღების ობიექტს წარმოადგენს, რასაც ცხადყოფს, მაგალითად, ელექტრონული პარლამენტის მსოფლიო კონფერენცია.<sup>12</sup> სტატი-

<https://www.law.com/legaltechnews/2020/01/06/a-future-focus-the-success-of-legal-tech-depends-on-transformation-not-automation-397-27792/> (30.04.2020).

<sup>6</sup> არასწორია განცალკევებულად ავტომატიზაციის პროცესს დაუკავშიროთ კოგნიტიური აზროვნების შესაძლებლობები და შემდეგ იგი გააკრიტიკოთ იმის გამო, რომ ავტომატიზაციის შედეგად შეუძლებელია კონკრეტული სამართლებრივი ქმედებისთვის რჩევისა და კონსულტაციის მიღება. იხ. *F. Pasquale, A Rule of Persons, Not Machines: The Limits of Legal Automation, The George Washington Law Review, Vol. 87, 2019, 7.*

<sup>7</sup> ტერმინის „ხელოვნური ინტელექტი (Artificial Intelligence (AI))“ განმარტება არ არის ერთგვაროვანი. ის ძირითადად უკავშირდება ინტელექტუალური ქმედებების ავტომატიზაციას კომპიუტერული პროცესების საშუალებით. *M. Markovic, Rise of the Robot Lawyers?, Arizona Law Review, Vol. 61, 2019, 329.*

<sup>8</sup> მანქანური სწავლების (Machine Learning) ფენომენი, კიდევ უფრო საკამათოა. ეს არის კომპიუტერული მეცნიერების ქვედარგი, კომპიუტერული ალგორითმების შესახებ სწავლება, თუ ხელოვნური ინტელექტის მეთოდოლოგიის კლასიფიკაცია? მეტად მისაღები შინაარსობრივი განმარტების მიხედვით, მანქანური სწავლება არის კონცეფცია, რომელიც გამოცდილებაზე სწავლითა და დაყრდნობით აუმჯობესებს საკუთარ წარმადობას დროთა განმავლობაში. *H. Surden, Machine Learning and Law, Washington Law Review, Vol. 89, No. 1, 2014, 89-90.*

<sup>9</sup> პრაქტიკულად სიღრმისეული სწავლება მანქანური სწავლების ნაირსახეობას წარმოადგენს, მათი ოპერირების მექანიზმი ერთი და იგივეა, თუმცა მათი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავდება. მანქანურ სწავლებას გარკვეულ ეტაპებზე სჭირდება ადამიანის ჩარევა და შესაბამისი მითითების განხორციელება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელოვნური ინტელექტი შეცდომას უშვებს, რასაც არ საჭიროებს სიღრმისეული სწავლება, ასეთ დროს ხელოვნური ინტელექტი თავადვე სწავლობს საკუთარი შეცდომისა და უზუსტობის

მიზეზს, რასაც ყოველგვარი ადამიანური ჩარევის გარეშე დამოუკიდებლად ასწორებს.

<sup>10</sup> *M. Markovic, Rise of the Robot Lawyers?, Arizona Law Review, Vol. 61, 2019, 329-330.*

<sup>11</sup> აღნიშნული მიმართულებები სხვადასხვა ლიტერატურაში შესაძლოა განსხვავებოდეს და ყოველი ავტორი საკუთარი პერსპექტივიდან სახავდეს ციფრული რევოლუციის შედეგებსა და ზეგავლენას სამართალზე, თუმცა იშვიათად არის მსჯელობა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა შედეგის მომტანია დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია კანონშემოქმედებითი პროცესისთვის, სამართალწარმოებისთვის, იურიტიკისთვის და მათი საქმიანობისთვის. იხ. *E. Hilgendorf, Digitization and the Law – a European Perspective, Digitization and the Law, Robotik und Recht, Vol. 15, 2018, 10-18.*

<sup>12</sup> *World e-Parliament Conference - ბოლოს გაიმართა 2018 წელს, სადაც რიგმა ქვეყნებმა წარადგინეს ციფრული პარლამენტის განვითარების სტრატეგიები, მათ შორის*

ამი საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია საქართველოს პარლამენტის მაგალითზე იქნება განხილული, თუმცა მისი გამოყენება და მისადაგება, კანონშემოქმედებითი პროცესის სხვადასხვა თავისებურების გათვალისწინებით, ყველა ქვეყნებისთვის შესაძლებელია.

## II. დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესი

### 1. კანონპროექტის მომზადება

საკანონმდებლო პროცესი პარლამენტში იწყება საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენით, თუმცა უშუალოდ ინიცირებამდე საჭიროა კანონპროექტის მომზადება, რაც საკმაოდ ხანგრძლივად დასაბუთებულს საჭიროებს. გარდა შინაარსობრივი მხარისა, კანონის პროექტი და განმარტებითი ბარათი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს. ხშირად იმ კონკრეტული მიზნის მიღწევა, რომელიც ინიციატორს გააჩნია, არც თუ ისე მარტივია. განსაკუთრებული სირთულეები იჩენს თავს შემთხვევითი კანონშემოქმედების<sup>13</sup> პირობებში. დასახული მიზნის მისაღწევად - სამართლებრივი მონესრიგების შესაცვლელად - ინიციატორმა უნდა მოა-

მზადოს კანონის პროექტი და შესაბამისი განმარტებითი ბარათი. ამისათვის, პირველ რიგში, ზუსტად უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა, თუ რომელი კანონი უნდა შეიცვალოს. ხშირად საჭიროა, ცვლილება შევიდეს არა ერთ, არამედ რამდენიმე საკანონმდებლო აქტში. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სწორად შეირჩეს ის კანონი, რომლითაც უნდა მოწესრიგდეს საკითხი. ეს ხშირად ვრცელ სამართლებრივ კვლევასა და ანალიზს საჭიროებს. ხშირად რთულია ასევე ერთი კანონის შიგნით სწორი ადგილის შერჩევა, თუ რომელ თავში/მუხლში უნდა შევიდეს ცვლილება.<sup>14</sup>

მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე, როდესაც ტექნოლოგიური რევოლუცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებში ეტაპობრივად იწვევს, დიგიტალიზაციის და ავტომატიზაციის პროცესი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იქნეს განხილული, როგორც სასიკეთო ხელსაწყოები კანონპროექტის შედგენისთვის. მართებულია აღნიშნულის განხილვა დიგიტალიზაციით დაიწყოს, რადგანაც ახალი კანონპროექტისთვის სრულფასოვანი კვლევის განხორციელების წინაპირობა სწორედ ციფრულად ხელმისაწვდომი დოკუმენტაციაა. კანონპროექტის მომზადების პროცესის სრული დიგიტალიზაცია შესაძლებელს გახდის, ერთი მხრივ, პროცესის განმავლობაში გამოყენებული და შედგენილი დოკუმენტების საერთო ელექტრონული ბაზის შექმნას, მეორე მხრივ, კი გახდება უმნიშვნელოვანესი წინაპირობა საკანონმდებლო პროცესის ავტომატიზაციისთვის. დღეს არსებული საკანონმდებლო წყაროების უნივერსალური ბაზაა ეროვნული მაცნის ვებ საიტი - [matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge)<sup>15</sup>, სადაც ინი-

იყვნენ აზერბაიჯანი და უკრაინა. ვრცლად იხ. <https://www.ipu.org/event/world-e-parliament-conference-2018#event-sub-page-13949/> (01.05.2020).

<sup>13</sup> „შემთხვევით კანონშემოქმედებაში“ იგულისხმება საკანონმდებლო ორგანოს მიერ არა ერთიანი სამართლის პოლიტიკისა და განვითარების გეგმის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯები, არამედ ცალკეულ შემთხვევებზე დაფუძნებული კანონების მიღება. ასეთს აქვს ადგილი, როდესაც, მაგალითად, თუ სამშენებლო სამუშაოებზე პირი იღებს ჯანმრთელობის დაზიანებას, ნაცვლად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონტროლის გამკაცრებისა, პარლამენტი ზრდის სანქციას; კონკრეტულ საქმეში მოსამართლის მიერ ნორმის არასწორად განმარტების გამო იცვლება კანონის ფორმულირება; არასრულწლოვნის დაჭრის შემდეგ ცვლილება შედის სისხლის სამართლის კოდექსში და მკაცრდება სანქცია. რა თქმა უნდა საკანონმდებლო ორგანოს როლი ამ ყველაფერში საკმაოდ დიდია, მაგრამ ნაცვლად მის მიერ საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებისა და აღმასრულებელი თუ სასამართლო შტოს საქმიანობის გაუმჯობესებისა, არასწორია პრობლემის მხოლოდ კანონმდებლობაში ძებნა. ასეთ შემთხვევებში პარლამენტი ხდება იმპულსური და კანონმდებლობა კარგავს ერთიან სტრუქტურას.

<sup>14</sup> მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2019 წლის 20 სექტემბრის კანონით (№5013-ს) ცვლილება შევიდა სკ-ის 183-ე და 186-ე მუხლებში და დამატა მითითება მშობლის მიერ ბავშვის საკუთრების განკარგვაზე. ნებისმიერი სახის დასაბუთების მცდელობა, რომ აქვს სანივთო სამართალთან არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით კანონიერი წარმომადგენლის ინტერესების შეზღუდვას რაიმე კავშირი აქვს, თავიდანვე წარუმატებლობისთვისაა განწირული, არავითარი ხელჩასაჭიდი წერტილის არარსებობის გამო.

<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო მაცნის საიტი და მასზე განთავსებული მონაცემები, უდავოდ წარმოადგენს ბაზას, რომელიც ინდივიდუალური კანონის ან ნორმა-

ციატორს შეუძლია მოიძიოს ის კანონი, რომელშიც ცვლილება უნდა შევიდეს, თუმცა აღნიშნულ საიტზე არ არის მისაწვდომი, მაგალითად, განმარტებითი ბარათები, დასკვნები და სხვა კანონშემოქმედებით პროცესში შექმნილი დოკუმენტაცია, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის [matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge) მოაზრებული იყოს, როგორც ერთიანი ციფრული ბაზა კანონშემოქმედებისთვის. პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსებული დოკუმენტები კი ხშირად დასკანერებულ ფორმატშია, რაც ართულებს მათ შემდგომ დამუშავებასა და ავტომატიზაციისთვის გამოყენებას. გამომდინარე აქედან, სავალდებულოა, არსებობდეს სრულიად დიגיტალიზებული საკანონმდებლო აქტების საპარლამენტო ბაზა, რომელიც აღქმადი იქნება როგორც ადამიანისთვის, ასევე, სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფისთვის, რომელიც მოცემული აქტების ტრანსფორმაციას მოახდენს კოდის სახით<sup>16</sup>.

დიგიტალიზაციის შემდეგ უკვე შესაძლებელია ავტომატიზაციის განხორციელება კანონშემოქმედებით პროცესში. კანონპროექტი, როგორც ინდივიდუალური ავტომატიზებული დოკუმენტი<sup>17</sup>, უნდა ასრულებდეს ორ ფუნქციას. პირველი ეს არის, რომ ავტომატიზაციამ დიგიტალიზებული ერთიანი ბაზის ხარჯზე ინიციატორს გაუმარტივოს პროექტის მომზადება,

რომელიც ავტომატურად ტრანსფორმირდება განმარტებით ბარათში, კანონში ცვლილების შემთხვევაში კი - უშუალოდ შესაცვლელ კანონში.<sup>18</sup> ინიციატორის მიერ შექმნილი დოკუმენტები წარმოადგენენ უმცირესი ტექსტობრივი ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც შემდეგ ავტომატიზაციის პროგრამით აისახება პარლამენტის მიერ ამ პროექტთან დაკავშირებით მომზადებულ ყველა სხვა დოკუმენტში - დასკვნაში, ბიუროს გადანყვეტილებაში და ა. შ. მეორე ფუნქცია კი უნდა ემსახურებოდეს ერთიანი მონაცემთა ბაზის სრულყოფას, რომელიც სამომავლო კანონშემოქმედებითი პროცესის ავტომატიზაციისას სისტემისთვის ხელმისაწვდომი იქნება, მისგან შესაძლებელი იქნება შესაბამისი ინფორმაციის ამოღება და ციტირება.

## 2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, როგორც კოდი

წესების მომავალი კოდია.<sup>19</sup> არსებობს ასევე მოსაზრება, რომ კოდი<sup>20</sup> კანონია,<sup>21</sup> რომლის მიხედვითაც კიბერსივრცეში სამართლებრივი რეგულირება ხდება არა შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მიხედვით, არამედ კოდის საშუალებით. აღნიშნული მოსაზრება შეიძლება ითქვას, რომ კიბერსივრცის ბუნებიდან გამომდინარეობს, მოახდინოს საკუთარი თავის თვითრეგულირება, გამომდინარე იქიდან, რომ კიბერსივრცის ყოველი ელემენტი თავად კოდია.<sup>22</sup>

საინტერესოა, ზემოაღნიშნული მოსაზრების საპირისპირო პერსპექტივა, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი გაგების კანონია კოდი, რაც გულისხმობს იმას, რომ ნორმატიული სა-

ტიული აქტის დამუშავებისთვის საკმაოდ დახვეწილია. მას გააჩნია კანონის სტრუქტურის, ცვლილებების და დაკავშირებული დოკუმენტების ნახვის ფუნქციები, რაც თავისთავად ავტომატიზაციის პროცესისთვის წინაპირობებს ქმნის.

<sup>16</sup> ხშირად ელექტრონულ ბაზებში დოკუმენტაცია ინახება ფოტოფორმატის სახით, მიუხედავად იმისა უშუალოდ ეს დოკუმენტი PDF თუ სხვა ფორმატშია მოცემული, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის იმას რომ აღნიშნული დოკუმენტიდან საჭირო ინფორმაცია დაკოპირდეს, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად შესაძლოა გამოყენებული იყოს სიმბოლოების ოპტიკური ამოცნობა (Optical Character Recognition (OCR), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დასკანერებულ დოკუმენტში აღქმადი სიმბოლოების დამუშავება და დიგიტალიზაცია. N. Saxena / H. Parveen, Text Extraction Systems for Printed Images: A Review, International Journal of Advanced Studies of Scientific Research, Vol. 4, No. 2, 2019, 515. ქართული შრიფტის ოპტიკური ამოცნობა შესაძლებელია ABBYY FineReader Engine 12-ის მეშვეობით.

<sup>17</sup> M. Hartung / M. Bues / G. Halbleib, Legal Tech How Technology is Changing the Legal World, C.H. Beck, Munchen, 2018, 258-259.

<sup>18</sup> ცვლილებისთვის ავტომატიზაციის საფეხურები შემდგომად უნდა იყოს დალაგებული: კანონპროექტი - კანონი, რომელიც უნდა შეიცვალოს - რეგულაცია, რომელიც უნდა შეიცვალოს.

<sup>19</sup> შ. ბრაიდენბახი, გადანყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 1.

<sup>20</sup> კოდში იგულისხმება კომპიუტერული კოდი.

<sup>21</sup> L. Lessig, Code: And Other Laws of Cyberspace, Version 2.0, Basic Books, New York, 2006, 5.

<sup>22</sup> იქვე.

ფუძველი ანაცვლებს კოდის შინაარსობრივ ფუნქციას და იქვემდებარებს მას. თავის მხრივ, კოდსა და კანონებს ბევრი საერთო აქვთ, მაგალითისთვის, ორივე მათგანს გამოყენებისთვის გააჩნია წინაპირობები, მათი გამოყენება მიმართულია გარკვეული შედეგის დადგომისკენ, თუმცა მათ შორის უდიდეს სხვაობას წარმოადგენს ის, რომ კანონი უთითებს, თუმცა მითითების აღსრულება არ არის ავტომატური პროცესი და პირი შეიძლება სულაც არ დაემორჩილოს მას. ხოლო კოდი დამოუკიდებლად განსაზღვრავს, თუ რისი გაკეთება ან არ გაკეთება შეუძლია პირს, რაც გამორიცხავს ნებისმიერ ჩარევას მის აღსრულებაში, კოდი თავისივე სავალდებულოდ განსაზღვრული პირობებით არის თვითაღსრულებადი.<sup>23</sup> აღნიშნულის ტრანსფორმაცია კანონშემოქმედებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ის ავტომატიზებულ პროცესად გადაიქცევა, გამოიხატება იმაში, რომ წესი (რეგლამენტი), რომელიც შესაბამისი მოხელეების საშუალებით მექანიკურად არის აღსრულებადი, მაგალითად, კანონპროექტის ინიცირებისა და განხილვის ეტაპზე გადაიქცევა სრულიად ავტომატურ პროცესად, რაც დაზოგავს რესურსს და უზრუნველყოფს შესაბამისი წესის (რეგლამენტის) ავტომატურ აღსრულებას, რაც გამორიცხავს „ადამიანურ“ შეცდომებს. წინამდებარე სტატიის მიზნიდან გამომდინარე განხილული უნდა იქნეს პარლამენტის მუშაობის წესის განმსაზღვრელი ნორმატიული საფუძველი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, რომელიც მოიაზრება სწორედ იმ კოდის საფუძველად,<sup>24</sup> კანონშემოქმედებითობის პროცესს გადააქცევს ავტომატიზებულად.

### 3. ინიცირება

საკანონმდებლო ცვლილების უშუალოდ ინიცირების ეტაპი გულისხმობს ინიციატორის მიერ მომზადებული პროექტის თანმდევ დოკუმენტებთან ერთად საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენას. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102 I მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს გადაეცემა პროექტი, განმარტებითი ბარათი და მიმართვის ფურცელი და ხდება მის მიერ რეგისტრაცია. მიმართვის ფურცლის მომზადების დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია ტექნიკურად ძალიან მარტივია. ინიციატორის მიერ მისი შედგენისას, რეალურად, არ ხდება შემოქმედებითი პროცესის შედეგად რაიმე ახალი ტექსტის შექმნა. როგორც წესი, თითქმის ყველაფერი კოპირდება გამზადებული კანონპროექტიდან ან განმარტებითი ბარათიდან. ხოლო რაც არ კოპირდება, წარმოადგენს შაბლონურ ტექსტს, რომელიც ერთნაირია თითქმის ყველა მიმართვის ფურცელში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინიციატივის მომზადებისას დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის ელემენტების გამოყენება გაადვილებს შემდეგ პროცესს. რადგანაც ამ პროცესის შედეგად სისტემაში უკვე შეყვანილია ყველა მონაცემი - ინიციატორები, მათი რაოდენობა, სტატუსი (პარლამენტის წევრი, ფრაქცია...), ხოლო საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის მონაცემები ისედაც ცნობილია ავტომატიზაციის პროგრამისთვის, მას შეუძლია, (ხელმომწერების მიხედვით) პროექტის ტექსტსა და განმარტებით ბარათში<sup>25</sup> მოძებნოს ინიციატორი და ეს ორი ინფორმაცია - შაბლონური და კონკრეტულ ინიციატივაზე დამოკიდებული, ავტომატურად დაუკავშიროს ერთმანეთს. ამ უმცირესი ტექსტობრივი სტრუქტურული ელემენტების გაერთიანებით მიიღება ავტომატიზებული მიმართვის ფურცელი, რომელიც, ერთი მხრივ, დაზღვეულია შეცდო-

<sup>23</sup> S. Hassan / P. D. Filippi, The Expansion of Algorithmic Governance: From Code is Law to Law is Code, Field Actions Science Reports, The journal of field actions, Special Issue 17, 2017

<sup>24</sup> ალტერნატიულად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტია სწორედ ის კოდი, რომელიც მიუთითებს შესაბამის მოხელეს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კანონშემოქმედებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

<sup>25</sup> ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 17 I ვ) მუხლის მიხედვით, განმარტებით ბარათში მიეთითება კანონპროექტის ინიციატორი.

მისაგან<sup>26</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, საერთოდ არავითარ დროს არ მოითხოვს და უზოგავს ინიციატორს რესურსებს. თუ პროექტს მომზადების პროცესში ემატება ინიციატორი, მისი ჩამატება ხდება ერთ ადგილას. სემანტიკური ბმების დახმარებით სისტემა ავტომატურად ასახავს შესაბამის პირზე მითითებას კონტექსტის მიხედვით ყველა საჭირო ადგილას. როდესაც ერთი ინიციატორის ჩანაცვლება ხდება რამდენიმე, საჭირო აღარ არის გრამატიკული თვალსაზრისით ტექსტის შეცვლა („წარმოვადგენ“ - „წარმოვადგენთ“), რადგანაც პროგრამას ამის გათვალისწინება და ასახვა ავტომატურად შეუძლია. ეს დროსაც ზოგავს და შეცდომის შესაძლებლობასაც გამოორიცხავს.

#### 4. საორგანიზაციო დეპარტამენტის დიგიტალიზაცია და ავტომატიზირება

რეგლამენტის 102 I მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტი აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს კანონპროექტს. საქართველოს პარლამენტის უცვლელი ტრადიციაა, რომ კანონპროექტისთვის ნომრის მინიჭებასა და მის რეგისტრაციას არა საქმისწარმოების დეპარტამენტი, არამედ საორგანიზაციო დეპარტამენტი ახორციელებს. ასევე, ნომრის მინიჭება ხდება ხელით და არა ელექტრონულად. 2018 წელს მიღებული ახალი რეგლამენტის მომზადებისას განხილვების შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული ტრადიციის შენარჩუნება. თუმცა, სურვილის შემთხვევაში, აღნიშნული პროცესის საორგანიზაციო დეპარტამენტშივე

დიგიტალიზაციასა და ავტომატიზაციას არაფერი უშლის ხელს და მხოლოდ უმნიშვნელო პროგრამული ფუნქციის შედგენას გულისხმობს. შედეგად პროგრამას უკვე ავტომატურად ეცოდინებოდა, როდის მოხდა კანონპროექტის თარიღის მინიჭება, რაც, რეგლამენტის 102 II მუხლის მიხედვით, ითვლება კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენის თარიღად. სწორედ აღნიშნულ თარიღზეა დამოკიდებული, თუ როდის იქნება პროექტი განხილული ბიუროზე<sup>27</sup> და ამ თარიღზე დაფუძნებით პროგრამას შეუძლია ავტომატურად გაუგზავნოს შესაბამის ბიუროს კანონპროექტი (იურიდიული დეპარტამენტისა და საბიუჯეტო ოფისის მიერ დასკვნების მომზადების შემდეგ).

რეგისტრაციის შემდეგ, რეგლამენტის 101 I ბ) 1 მუხლის შესაბამისად, საორგანიზაციო დეპარტამენტი წარმოდგენილ კანონპროექტს გადასცემს იურიდიულ დეპარტამენტსა და საბიუჯეტო ოფისს. აღნიშნული ფუნქციის ავტომატიზირება უმარტივესია. შესაბამის საქალაქში მოხვედრისა და ნომრის მინიჭების შემდეგ ავტომატურად ხდება მისი გაგზავნა საჭირო სუბიექტისთვის.

გარდა ამისა, როდესაც ხდება კანონპროექტის გადაცემა ბიუროსთვის, (იურიდიული დეპარტამენტისა და საბიუჯეტო ოფისის დასკვნებთან ერთად) რეგლამენტის 102 III მუხლის შესაბამისად, მას უნდა ერთოდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს გადანაცვლებების პროექტი. აქ მითითებული უნდა იყოს კანონპროექტის დასახელება, ინიციატორი, ავტორი, პარლამენტისათვის წარდგენის თარიღი, წამყვანი და სავალდებულო კომიტეტები, კანონპროექტის კომიტეტის და პლენარულ სხდომებზე განხილვის სავარაუდო თარიღი. პროგრამამ უკვე იცის კანონპროექტის დასახელება, ინიციატორი, ავტორი, ამდენად, მისი მითითება შესაბამის გრაფაში ავტომატურად შე-

<sup>26</sup> ავტომატიზირებული სისტემის გამოყენებით გამოორიცხება ისეთი შეცდომები, როგორებიცაა მიმართვის ფურცელში ისეთი პირის მითითება, რომელიც არ არის მოხსენიებული განმატებით ბარათში; მისი სტატუსის შეცდომა (მაგალითად, „პარლამენტის თავჯდომარე“ „პარლამენტის წევრის“ ნაცვლად, რადგანაც კონსტიტუციის 45-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99 II მუხლის მიხედვით, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტია არა პარლამენტის თავჯდომარე, არამედ პარლამენტის წევრი); რეგლამენტის მუხლის შეცდომა, შეცდომა კანონპროექტის სახელის კოპირებისას (განსაკუთრებით, როდესაც სახელი რამდენჯერმე იცვლება ინიცირების პროცესში და საჭიროა მისი ჩასწორება, როგორც უშუალოდ კანონის პროექტში, ისე განმარტებით ბარათსა და მიმართვის ფურცელში).

<sup>27</sup> რეგლამენტის 101 I ბ) 2 მუხლის მიხედვით, კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას, თუ იგი წარდგენილია ბიუროს სხდომის წინა კვირის ხუთშაბათამდე.

იძლება ყოველგვარი სირთულის გარეშე. რაც შეეხება საკომიტეტო და პლენარული მოსმენების თარიღს, იმ გამოთვლების განხორციელება, რომლებსაც აკეთებს დეპარტამენტის თანამშრომელი, პროგრამასაც შეუძლია. კოდი ინერება რეგლამენტის მუხლების შესაბამისად და ბიუროს სხდომის თარიღის მიხედვით ავტომატურად დაანგარიშდება განხილვის სავარაუდო თარიღები. თუ სისტემამ იცის, ბიუროს სხდომის თარიღი და რა ვადა აქვს კომიტეტს პროექტის განსახილველად და პლენარული სხდომისთვის გადასაცემად, ელემენტარული გამოთვლების ავტომატურად განხორციელებას წინ აღარაფერი უდგას. ბიუროზე განხილვის თარიღი პროგრამას თავისით შეუძლია დაადგინოს რეგლამენტის 101 | ბ) მუხლის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, თუ როდის დარეგისტრირდა იგი საორგანიზაციო დეპარტამენტში. საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, ბიუროს სხდომა გაუქმდა), პროგრამას შეუძლია ავტომატურად განაახლოს ეს თარიღი. სისტემაში ისედაც ასახული იქნება ბიუროს რეალურად გამართვის თარიღი.

ყველაზე რთულია სავარაუდო სავალდებულო და წამყვანი კომიტეტების განსაზღვრა, რადგანაც ავტომატიზაცია სრულდება იქ, სადაც საჭიროა გადანყვეტილება უშუალოდ მიიღოს ადამიანი<sup>28</sup>. თუმცა აღნიშნულის ნაწილობრივი ავტომატიზაცია მაინც შესაძლებელია. ეს პროცესი არ ხდება ქაოტურად და შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებით, არამედ ყოველთვის ემორჩილება გარკვეულ ლოგიკას (თუმცა საკმაოდ რთულს, რადგანაც საჭიროა ბევრი მნიშვნელოვანი დეტალის გათვალისწინება). თუ პირი, რომელიც იურიდიულ ან საორგანიზაციო დეპარტამენტში პასუხისმგებელია სავალდებულო და წამყვანი კომიტეტების დადგენაზე, პროგრამას ასწავლის ლოგიკას, თუ რა პრინციპით არჩევს ცალკეულ შემთხვევაში წამყვან და სავალდებულო კომიტეტს, Machine Learning-ის დახმარებით შესაძლებელია მათი ავტომატურად განსაზღვრა. მოგვიანებით დეპარტამენტის თანამშრომელს შეუ-

ძლია, გადაამოწმოს და, სურვილის შემთხვევაში, შეცვალოს პროგრამის მიერ შერჩეული კომიტეტი. მაგალითად, შეიძლება პროგრამისთვის სწავლება, რომ თუ ცვლილება შედის პარლამენტის რეგლამენტში, წამყვან კომიტეტად მიეთითოს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი; თუ ცვლილება შედის ბავშვის უფლებათა კოდექსში, წამყვან კომიტეტად განისაზღვროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, ხოლო თუ ამ კოდექსს ახლავს თანმდევი კანონპროექტის სახით ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში<sup>29</sup>, მაშინ სავალდებულო კომიტეტად ასევე მიეთითოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. რა თქმა უნდა, აღნიშნული მთლიანად დამოკიდებულია პასუხისმგებელი პირის სურვილზე და მის მიერ შემუშავებულ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც წლების განმავლობაში ხდება პარლამენტში წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების განსაზღვრა. მას შეუძლია მიუთითოს ნებისმიერი პირობა, თუ რა შემთხვევაში რომელი კომიტეტი უნდა იქნეს მითითებული, ტექნიკურად კი ამ პროცესის ავტომატიზაცია მეტად მარტივია. ცუდ შემთხვევაში, თუ არ იქნება საჭიროდ მიჩნეული კომიტეტების განსაზღვრის ავტომატიზაცია, სულ მცირე, დიგიტალიზაციას არაფერი უდგას წინ. ეს გულისხმობს, რომ ნაცვლად კომიტეტების ჩანერგისა ან დაკოპირებისა, ღილაკზე თითის ერთი დაჭერით მოხდება მათი მონიშვნა ჩამონათვალში და შემდეგ პროგრამა ავტომატურად გამოსახავს მათ საჭირო ადგილას. დოკუმენტის ამ გზით გენერირება არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს და მარტივი მექანიზმით შესაძლებელი იქნება პროცესის გამარტივება და დროის დაზოგვა.

სავარაუდო სავალდებულო და წამყვანი კომიტეტების განსაზღვრისთვის და არამხოლოდ მათი განსაზღვრისთვის, მნიშვნელოვანია Machine Learning-ისთვის დამატებითი პირობის შექმნა, რომელიც დასწავლასა და ავტომატიზაციას თვითმყოფადს გახდის. ასეთი დამატე-

<sup>28</sup> შ. ბრაიდენბახი/ფ. გლატიცი, სამართლის დიგიტალიზაცია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 3.

<sup>29</sup> თუმცა მხოლოდ თანმდევი კანონპროექტის ინიცირება არაა საკმარისი. საჭიროა რომ გათვალისწინებული ცვლილებები რეალურად უზრუნველყოფდეს ინიციატორის მიზნის მიღწევას.

ბა შესაძლოა იყოს ბუნებრივი ენის დამუშავება (Natural Language Processing (NLP)), რაც გულისხმობს ბუნებრივად აღქმადი ენობრივი კონსტრუქციის დამუშავებას კომპიუტერის მიერ ისე, რომ საბოლოოდ მისთვის დამუშავებადი იყოს ბუნებრივი ენა. NLP აქტიურად გამოიყენება სამართლებრივი კვლევისთვის, სამართლებრივი დოკუმენტაციის ავტომატიზაციისთვის და იურიდიული მომსახურებისთვისაც კი.<sup>30</sup> შესაბამისად NLP-ს გამოყენება შესაძლებელია პროცედურული გადაწყვეტილებების მისაღებად. შესაბამისი კანონპროექტის დამუშავების შემდეგ, როდესაც ხელოვნური ინტელექტი NLP-ს საშუალებით კანონპროექტის ტექსტში ამოიკითხავს, რომ ცვლილება შედის ბავშვის უფლებათა კოდექსში, მან ავტომატურად განსაზღვროს ნამყვან კომიტეტად ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი და ყოველი ასეთი შემთხვევისთვის კანონპროექტში ამოკითხული ინფორმაციის შედეგად შესაბამისი მოხელის ჩარევის გარეშე განსაზღვროს სავალდებულო და ნამყვანი კომიტეტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად მოხდება კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილების პროექტის მომზადების თითქმის სრული ავტომატიზაცია, რაც დაზოგავს დროს და გამორიცხავს მონაცემების შეყვანისას მექანიკური შეცდომის დაშვებას.

**5. იურიდიული დეპარტამენტისა და საბიუჯეტო ოფისის დასკვნები**

რეგლამენტის 102 V მუხლის შესაბამისად, პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტი ამონებს წარმოდგენილ განმარტებით ბარათში მითითებულ ზოგად ინფორმაციას კანონპროექტის შესახებ, ასევე მითითებებს კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებულ კონსულტაციებთან, კანონპროექტის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან მიმართებასთან, მის ავტორთან და ინიციატორთან დაკავშირებით.

ის, რომ ავტომატიზაცია სრულდება იქ, სადაც საჭიროა ადამიანის მიერ ანალიზის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება, უკვე მრავალჯერ აღინიშნა. შესაბამისად, ამის ჩანაცვლება პროგრამის მიერ შეუძლებელია. მაგრამ მეტად მარტივია ამ ანალიზის შედეგის დასკვნის დოკუმენტში ასახვის ავტომატიზაცია. დეპარტამენტის სტანდარტული დადებითი დასკვნა შედგება მითითებისაგან, თუ რომელ კანონპროექტს ეხება დასკვნა, რასაც მოსდევს ინფორმაცია, რომ დეპარტამენტმა განიხილა კანონპროექტი და რომ მიზანშეწონილად მიაჩნია მისი განხილვის პროცედურის დაწყება. ეს დოკუმენტი ტექნიკურად მარტივი შესადგენია და მისი ავტომატიზირება მეტად იოლია. მთავარ გამოწვევას წარმოადგენს იმ პროცესის დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია, რომელიც წინ უძღვის დასკვნის, როგორც სამართლებრივი ანალიზის პროდუქტის, შედგენას.

იმის გათვალისწინებით, თუ რას ამონებს იურიდიული დეპარტამენტი, მის მიერ დასკვნის მომზადებისას მხოლოდ იმის ავტომატიზაცია შეიძლება მოხდეს სრულად, რომ სისტემამ თავისით შეაღაროს განმარტებით ბარათში მითითებული ინიციატორები და საორგანიზაციო დეპარტამენტისთვის გაგზავნილ მიმართვის თავფურცელზე ხელმოწერი პირები. თუ ამ მიმართვის ფურცლისა და განმარტებითი ბარათის შედგენაც ავტომატურ რეჟიმში პროგრამის მიერ მოხდა, მაშინ შესაძლებელიც არაფერი იქნება, რადგანაც რეალურად ესენი ერთი და იგივე ტექსტური სტრუქტურული ელემენტები იქნება, რომლებიც უბრალოდ ორ ადგილასაა სისტემის მიერ გამოსახული და იდენტურია. თუ მიმართვის ფურცლისა და განმარტებითი ბარათის შედგენა არ მომხდარა სისტემის მიერ, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შედარების პროცესის ავტომატიზირება, რადგანაც პროგრამას შეუძლია წაიკითხოს და ავტომატურად შეაღაროს განმარტებით ბარათში მითითებული და მიმართვის ფურცელში ხელმოწერი პირები ერთმანეთს. ეს განსაკუთრებულ ავტომატიზირებას არ წარმოადგენს, თუმცა რამდენიმე ინიციატორის შემთხვევაში და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცვლილებები

<sup>30</sup> R. Dale, Industry Watch Law and Word Order: NLP in Legal Tech, Natural Language Engineering, Vol. 25, Issue 1, 2018, 212-216.

ბათა პაკეტში არაერთი პროექტი და განმარტებითი ბარათია, შესაძლოა ამან საკმაოდ ბევრი დრო დაზოგოს. გარდა ამისა, რეგლამენტი ადგენს ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც, გარკვეული კანონპროექტის ინიციატორი არ შეიძლება იყოს გარკვეული სუბიექტი<sup>31</sup>. სისტემას შეუძლია, ავტომატურ რეჟიმში შეამონმოს ყველა პროექტი, ამოიცნოს, რომელ საკანონმდებლო აქტში შედის ცვლილება, ვინ არის მისი ავტორი და მარტივად გამოავლინოს რეგლამენტთან შეუსაბამობის შემთხვევები.

რაც შეეხება კანონპროექტის ავტორისა და მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციების გადამონმებას, აქ დეპარტამენტის შესაძლებლობები ისედაც შეზღუდულია, რადგანაც რეალურად არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რის მიხედვითაც მოხდებოდა ინფორმაციის სისწორის შემოწმება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ წესის პროგრამისტვის სწავლება, თუმცა, სავარაუდოდ, აქ დეპარტამენტი უნდა დაეყრდნოს ინიციატორის მიერ მითითებულ ინფორმაციას.

განმარტებითი ბარათის შემოწმებისას იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლის მხრიდან შინაარსობრივად ყველაზე დატვირთულია კანონპროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციისა და მისი საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან მიმართების ანალიზი. რადგანაც აქ საჭიროა იურისტის მიერ სამართლებრივი შეფასების გაკეთება და გადანყვეტილების მიღება, ავტომატიზაციის ფარგლები შეზღუდულია. როდესაც საქმე ეხება კანონპროექტის საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან მიმართებას, შესაძლებელია მხოლოდ იმაზე ფიქრი, თუ როგორ ხდება რეალურად დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ აღნიშნულის შემოწმება. როგორც წესი იურისტი ყოველ ჯერზე ჯერ ადგენს, თუ რა საერთაშორისო სამართლის სტანდარტები

არსებობს და შემდეგ ახდენს კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მათთან შედარებას - სუბსუმციას. ამიტომ შესაძლებელია, პროგრამაში აღირიცხოს ყველა ის საერთაშორისო სტანდარტი, რომელსაც მიიჩნევს დეპარტამენტის თანამშრომელი მნიშვნელოვნად და რომლებითაც ხელმძღვანელობს ცალკეულ შემთხვევებში (ამ ჩამონათვალის გაზრდა დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა შესაძლებელია, პრაქტიკაში გამოვლენილი ახალი საჭიროებებიდან გამომდინარე). შედეგად, ნაცვლად იმისა, რომ მან ყოველ ჯერზე თავიდან განსაზღვროს ეს პრინციპები, უკვე გამზადებულია სია, რომელთან მიმართებითაც უნდა მოხდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში პროექტით გათვალისწინებული მოწესრიგების სუბსუმცია. თავად სუბსუმციის პროცესის დიგიტალიზაცია ამ ეტაპზე ნაკლებ სავარაუდოა, რადგანაც იგი გულისხმობს ადამიანის მიერ კომპლექსური სამართლებრივი ანალიზის განხორციელებას და გადანყვეტილების მიღებას. მაგრამ ამ გადანყვეტილების ტექნიკური გაფორმება უკვე განეკუთვნება ავტომატიზაციის შესაძლებლობის ფარგლებს. დეპარტამენტის თანამშრომელი მიჰყვება პრინციპების ჩამონათვალს და ამოწმებს თითოეულთან მიმართებას. თუ რომელიმე მათგანს არ შეესაბამება კანონპროექტი, იგი ირჩევს და ნიშნავს მას. ის ასევე ნიშნავს, თუ კონკრეტულად პროექტის რომელი პუნქტი არის შეუსაბამო (თუ მთლიანად პროექტი). რადგანაც პროექტი შედგენილია ამ პროგრამის გამოყენებით, ის წარმოადგენს არა ერთიან ტექსტს, არამედ უმცირესი ტექსტობრივი სტრუქტურული ელემენტების ერთობლიობას. ამიტომ დეპარტამენტის თანამშრომელს შეუძლია ღილაკზე თითის ერთი დაჭერით ამოირჩიოს ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც არ შეესაბამება ამა თუ იმ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტს. მას შემდეგ, რაც უკვე მონიშნულია, თუ პროექტის რა ნაწილია შეუსაბამო და თუ რას არ შეესაბამება ის, პროგრამას შეუძლია მარტივად დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და მოახდინოს ტექსტის გენერირება, რომ რადგანაც ინიცირებული პროექტი ითვალისწინებს სამართლებრივი მოწესრიგების ასეთ ცვლილებას, ეს არ შეე-

<sup>31</sup> მაგალითად, რეგლამენტის 99 IV მუხლის მიხედვით, მხოლოდ პარლამენტის წევრი, კომიტეტი ან ფრაქცია არის უფლებამოსილი, პარლამენტს წარუდგინოს რეგლამენტის პროექტი; 99 V მუხლით, კანონპროექტი, რომლის ავტორია საქართველოს მთავრობა, არ შეიძლება საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარადგინოს პარლამენტის წევრმა, საპარლამენტო ფრაქციამ ან პარლამენტის კომიტეტმა.



საბამება ამ კონკრეტულ საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპს. შემდეგ სპეციალისტს შეუძლია ის დასაბუთება, რომელიც მას აქვს - რაც მან გამოიყენა სუბსუმციისას - გადმოიტანოს ფურცელზე და ამ გზით განავრცოს დასკვნა. სისტემა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თითოეულ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტს მიეზას შესაბამისი დოქტრინიდან და სასამართლო პრაქტიკიდან მასალები და ავტომატურ რეჟიმში მოხდეს მათი ციტირება. სპეციალისტი მხოლოდ ირჩევს, თუ რისი ციტირება არის რელევანტური მოცემულ შემთხვევაში. შედეგად, მართალია, ვერ ხდება ანალიზის ავტომატიზაცია, მაგრამ ხდება მისი დიგიტალიზაცია და მისი დასკვნაში ასახვის პროცესის ავტომატიზაცია. ეს ზოგავს დროს და უფრო მარტივს ხდის დეპარტამენტის თანამშრომლის საქმიანობას. ამით მას ნაკლები დრო ეხარჯება სამუშაოს ტექნიკურ მხარეზე (აზროვნების შედეგის წერილობით გაფორმებაზე) და მეტი დრო რჩება სამართლებრივი ანალიზისთვის, რაც წარმოადგენს კიდევ იურისტის ნამდვილ საქმიანობას.

გარდა განმარტებითი ბარათისა, იურიდიული დეპარტამენტი, რეგლამენტის 103 II დ) მუხლის შესაბამისად, ამომნებს, ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი ნორმატიული აქტებისა და იმ საკანონმდებლო აქტების პროექტების ნუსხა, რომლებშიც ცვლილების შეტანა აუცილებელია. აღნიშნული საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს და დამოკიდებულია დეპარტამენტის თანამშრომლის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმზე. მას სულ რამდენიმე დღე აქვს დასკვნის მოსამზადებლად. თითოეული ინიცირებული კანონის პროექტის თითოეული პუნქტი და ქვეპუნქტი ცალ-ცალკე უნდა შემოწმდეს და დადგინდეს, ხომ არ იწვევს რაიმე სხვა კანონში ცვლილებას. ერთდროულად, როგორც წესი, ინიცირდება ძალიან ბევრი კანონპროექტი, ხოლო ერთი ინიციატივა ზოგჯერ წარმოდგენილია საკანონმდებლო პაკეტის სახით და 30-ზე მეტ კანონში ითვალისწინებს ცვლილების შეტანას. იმისათვის, რომ მოესწროს ბიუროს სხდომამდე დასკვნის მომზადება, ხშირად საჭიროა ზეგანაკვეთური მუშაობა. ზოგჯერ კი ესეც არ არის საკმარისი. რა შეი-

ძლება გაკეთდეს, რომ გამარტივდეს დეპარტამენტის თანამშრომლის ეს საქმიანობა? ხომ არ არის რაიმე ისეთი, რისი გაკეთებაც პროგრამასაც შეუძლია ავტომატურად და ეს სპეციალისტს გამოუთავისუფლებდა დროს, რომელსაც წმინდა სამართლებრივ ანალიზს მოახმარდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, გააზრებულ იქნეს, თუ რას გულისხმობს უშუალოდ დეპარტამენტის თანამშრომლის საქმიანობა - რა საფეხურებს გადის ის იმისთვის, რომ დაადგინოს, ხომ არ იწვევს ინიცირებული პროექტი ცვლილებას სხვა რაიმე ისეთ კანონში, რომელიც არ არის წარმოდგენილი? გადაწყვეტილების მიღების პროცესი ორი ნაწილისგან შედგება. პირველია სპეციალისტის მიერ ანალიზი, თუ რას ეხება შინაარსობრივად პროექტი. ინიციატივის თემატიკის შემდეგ ხდება იმის განსაზღვრა, თუ სხვა რომელი კანონები აწესრიგებენ იმავე სფეროს. თუ ამ სამართლებრივ ურთიერთობას სხვა აქტივ აწესრიგებს, ბუნებრივია, მასშიც უნდა შევიდეს ცვლილება. ამას ჰგავს ასევე შემთხვევები, როდესაც სხვა კანონში არა იმიტომაც ცვლილების შეტანა საჭირო, რომ იმავე ურთიერთობას აწესრიგებს, არამედ იმიტომ, რომ მასში ცვლილების გარეშე რეალურად ვერ განხორციელდება/აღსრულდება ის, რასაც წარმოდგენილი ინიციატივა ისახავს მიზნად. ამ ყველაფრის ავტომატიზაცია შემდეგნაირად შეიძლება: პირველ რიგში, უნდა მოხდეს თითოეული კანონისთვის იმ სფეროების განსაზღვრა, რომლებსაც ისინი არეგულირებენ. როგორც წესი, ეს თავად კანონშივეა მითითებული, თუმცა იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელს დასჭირდება უფრო დეტალური ჩაშლა. მას კანონები ისედაც დახარისხებული აქვს გონებაში - განსაზღვრული აქვს, რომელი რა სახის ურთიერთობებს აწესრიგებს და დღესაც სწორედ ამ გზით იღებს გადაწყვეტილებას, მოახდენს თუ არა გავლენას ამ ურთიერთობაზე ინიცირებული პროექტი. მას მხოლოდ ის სჭირდება, რომ მისი ეს ცოდნა გაუზიაროს სისტემას და ასწავლოს მას, თუ რომელი კანონი რა შემთხვევაშია აქტუალური. ეს მეტნაკლებად შრომატევადი საქმეა, მაგრამ ტექნიკურად მარტივი განსახორციელებელია. შედარებით უფრო რთულია პროგრამისთვის

იმის სწავლება, თუ როგორ უნდა ამოიციოს, რას ეხება კანონპროექტის ესა თუ ის პუნქტი. პროგრამისთვის საჭიროა ისეთი Input-ის<sup>32</sup> შედგენა, რომელიც შემდეგ შესაძლებელს გახდის მთლიან კანონმდებლობაში შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონის პოვნას. ერთი გზა არის, სპეციალისტმა ხელით შეიყვანოს ეს მონაცემები. ამ გზით შესაძლებელი იქნება სამუშაოს ნაწილობრივი ავტომატიზაცია. სპეციალისტს დასჭირდება გაანალიზოს, რას ეხება კანონპროექტი და საკვანძო სიტყვები მიუთითოს პროგრამას. შემდეგ პროგრამას შეუძლია ამ საკვანძო სიტყვების მიხედვით Machine Learning-ის გზით ამოიციოს სამართლებრივი ურთიერთობის თემატიკა, ხოლო თემატიკის ამოციანობის შემდეგ რელევანტური საკანონმდებლო აქტის პოვნას არაფერი უშლის ხელს, რადგანაც ეს მონაცემები უკვე წინასწარაა შეტანილი სისტემაში სპეციალისტის მიერ. მაგრამ ხომ არ არის შესაძლებელი კიდევ უფრო მეტი ავტომატიზაცია? სამუშაო პროცესის ერთადერთი რგოლი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ავტომატიზირებული, ეს არის სპეციალისტის მიერ კანონპროექტის ანალიზის შედეგად იმ საკვანძო სიტყვების განსაზღვრა, რომლებიც შეეხება ინიციატივის თემატიკას. Machine Learning-ის გამოყენებით უმეტესწილად ესეც შესაძლებელია. ზემოთ უკვე იყო განხილული საკვანძო სიტყვების ერთიანი ბაზის შედგენა, რომლებიც დაუკავშირდებოდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებს. თუმცა, გარდა ამისა, შესაძლებელია იმ ტერმინების განსაზღვრა, რომლებიც უნდა მოძებნოს პროგრამამ ინიცირებულ კანონპროექტსა და განმარტებით ბარათში და მათი პოვნის შემთხვევაში დაუკავშიროს ისინი საკვანძო სიტყვებს. ერთი საკვანძო სიტყვისთვის შეიძლება გაინეროს მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც, თუ მოცემულია ინიცირებულ ტექსტში, ე. ი. მიუთითებს ამ საკვანძო სიტყვის რელევანტურობაზე. მაგალითად, საკვანძო სიტყვა შეიძლება იყოს „ახალი სამართალდარღვევა“, რომელიც

მიუთითებს, რომ საჭიროა გაინეროს სანქციაც შესაბამის საკანონმდებლო აქტში. მაგრამ როგორ უნდა მიხვდეს პროგრამა, რომ კანონპროექტით ხდება ახალი სანქციის დაკისრება? ამას შესაძლებელს ხდის Machine Learning. კანონპროექტის ტექსტში სიტყვების „ნებადართულია [მხოლოდ...]“, „აკრძალულია“ გამოყენება, ნორმების სათაურში სიტყვა „ნესის“ დაფიქსირება, განმარტებით ბარათში შესაბამისი დასაბუთება, რომ ხდება ახალი აკრძალვის შემოტანა და ასევე ფინანსურ დასაბუთებაში შესაბამისი მონაცემების შეტანა, მიანიშნებს პროგრამას, რომ შესაძლოა საქმე ეხებოდეს ახალი სამართალდარღვევის შემოტანას. დეპარტამენტის თანამშრომელს, იმაზე დაკვირვებით, თუ თავად როგორ ახდენს დღეს ანალიზს, შეუძლია თანდათან უფრო მეტი ასწავლოს პროგრამას და დახვეწოს და გააძლიეროს იგი. საბოლოოდ პროგრამას არა მხოლოდ შეთავაზებების გაკეთება შეეძლება, რომ საქმე შეიძლება ეხებოდეს რაიმე კონკრეტულ კანონში ცვლილების შეტანასაც, არამედ 100 %-იანი სიზუსტით განსაზღვრავს მას ავტომატურ რეჟიმში.

იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელი, გარდა შინაარსობრივი ანალიზისა, თუ რა სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს პროექტი და ხომ არ ეხება ამავე ურთიერთობას სხვა რაიმე კანონი, ამომწებს ხომ არ არის გამოყენებული სხვა საკანონმდებლო აქტებში კანონის ის მუხლი და პუნქტი/ნაწილი, რომელიც უქმდება წარმოდგენილი ინიციატივით. ამისთვის ის იყენებს ძიების ჩვეულებრივ ფუნქციას. ეს საკმაოდ ბევრ დროს მოითხოვს, თუმცა ტექნიკურად საკმაოდ მარტივი პროცესია. ამ სამუშაოს ავტომატიზირებას არაფერი არ უდგას წინ, თუმცა ამისთვის საჭირო იქნებოდა ყველა სემანტიკური ბმის განერა, რომელიც არსებობს კანონმდებლობაში. ამას შეიძლება ერთი წელიც კი დასჭირდეს, მაგრამ შედეგი იქნებოდა უნივერსალური ბაზა კანონებს შორის არსებული ბმებისა. რისი გამოყენებაც მრავალმხრივ შეიძლება, მათ შორის კანონპროექტის ინიცირებისას. ინიციატორს პროგრამა ინიციატივის მომზადებისასვე უჩვენებდა, რომ ის პუნქტი, რომელსაც იგი აუქმებს, გამოყენე-

<sup>32</sup> Input-თან დაკავშირებით იხ. T. Wend, Legal Tech für Massenklaagen – eine digitale Fertigungsstraße, in Breidenbach/Glatz (Hrsg.), Rechtshandbuch Legal Tech, 2. Auflage, München 2020, Kap. 2.4.

ბულია, მაგალითად, ოთხ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში და მათშიცაა საჭირო ცვლილებების შეტანა.

აღნიშნული, ერთი შეხედვით, საკმაოდ მარტივი პროცესი შესაძლოა მოვიაზროთ, როგორც საფუძველი სამომავლო ალგორითმული რეგულირებისთვის (**Algorithmic Regulation**), რომელიც უზრუნველყოფს ალგორითმულად გენერირებული ცოდნის გამოყენებას გადაწყვეტილების მიღებისას და აღსრულებისას.<sup>33</sup> ქართულ კანონმდებლობაში არსებულ ყველა აქტს შორის სემანტიკური ბმის წარმოშობა შექმნიდა კანონთა ეგრეთ წოდებულ დიდ მონაცემებს (**Big Data**), რომელიც სამომავლო წინაპირობა იქნებოდა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული კანონშემოქმედებისთვის.<sup>34</sup>

რაც შეეხება საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის ავტომატიზირებას, ეს შესაძლებელია, თუ სპეციალისტები შეძლებენ რაიმე განმეორებადი ლოგიკის დადგენას, რომელსაც ისინი იყენებენ ყველა პროექტის ანალიზისას. ზოგადად, აქაც შესაძლებელია საკვანძო სიტყვების გამოყოფა, რომლებიც მიანიშნებენ შესაბამის ფინანსურ გავლენაზე - ხარჯების ან შემოსავლის ზრდაზე, თუმცა საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის სრული ავტომატიზაცია ისეთივე რთული წარმოსადგენია, როგორც იურიდიული დეპარტამენტის.

**6. ბიურო**

პარლამენტის ბიუროს ზოგადი უფლებამოსილება განსაზღვრულია რეგლამენტის 24-ე მუხლით, 102 IV მუხლით კი იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ. ბიუროზე ხმის მიცე-

მა არ ხდება ელექტრონულად, არამედ ხელის აწევით. ამას თავისი დადებითი მხარე აქვს. ეს არის უფრო სწრაფი და კომფორტული (რადგანაც ბიუროს შემადგენლობაში არ შედის ბევრი პარლამენტის წევრი). ამიტომ შესაძლოა არ იყოს მიზანშეწონილი ამ პროცესის დიგიტალიზაცია. შედეგად ეს გამორიცხავს შესაძლებლობას, პროგრამამ თავად დათვალოს ხმების რაოდენობა და უმრავლესობის შემთხვევაში დაინყოს შემდეგი ფუნქციების შესრულება. თუმცა ეს მარტივად გადაჭრადია, იმით, რომ პარლამენტის აპარატის თანამშრომელმა მიუთითოს, დადებითია თუ არა ბიუროს გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილება დადებითია, სისტემას შეუძლია ავტომატურად შეასრულოს რეგლამენტით გათვალისწინებული შემდეგი ნაბიჯები. ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ უკვე შედგენილია სისტემის მიერ. მას შეუძლია ავტომატურად დაურთოს ამ გადაწყვეტილებას შესაბამისი დოკუმენტები და გადაუგზავნოს შესაბამის პირებს. ეს საკმაოდ ბევრ დროს დაზოგავდა. ავტომატურადვე მოხდებოდა ვებ გვერდზე შესაბამისი მასალების ატვირთვა. ბიუროს გადაწყვეტილება აისახებოდა სისტემაში და შესაძლებელი იქნებოდა მისი საჭიროებისამებრ გამოყენება ნებისმიერ კონტექსტში - მაგალითად, კანონპროექტის განხილვის ვადის გამოსათვლელად.

**7. კომიტეტის საქმიანობის დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია**

**ა) კანონპროექტის კომიტეტისთვის გაცემა და სპეციალისტებისთვის განაწილება**

მას შემდეგ, რაც ბიურო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, ის ეგზავნება ყველა პარლამენტის წევრს, მათ შორის წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების თავმჯდომარეებს. ამის შემდეგ უნდა მოხდეს პროექტების განაწილება კომიტეტის სპეციალისტებს შორის. როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარე საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით უგზავნის პროექტებს აპარატის

<sup>33</sup> K. Yeung / M. Lodge, *Algorithmic Regulation*, Oxford University Press, Oxford, 2019, 3-4.  
<sup>34</sup> მიუხედავად არსებული მოსაზრებისა, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ალგორითმული გზებით ეწინააღმდეგება სოციალურ საფუძველებს, საზოგადოებისთვის ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დროთა განმავლობაში შესაძლოა უფრო მეტად მისაღები იყოს, ვიდრე ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. C. Devins / T. Felin / S. Kauffman / R. Koppl, *The Law And Big Data*, Cornell Journal of Law and Public Policy, Vol. 27, 2017, 360-362.

უფროსს, რომელიც შემდეგ გადაანერს მათ სპეციალისტებს. კომიტეტის თავმჯდომარის საქალაქში ხვდება ყველა პროექტი, რომლებსაც იხილავს ბიურო. შესაბამისად, ჯერ უნდა მოხდეს დახარისხება, რომელი პროექტი უნდა განიხილოს კომიტეტმა, ანუ რომელი საჭიროებს სპეციალისტის მიერ დამუშავებას და შემდეგ უნდა მოხდეს მათი განაწილება სპეციალისტებს შორის. როგორც წესი, პროექტების განაწილება გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება. მაგალითად, დღეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის შემადგენლობაში (გარდა ანალიტიკური და საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობის ჯგუფებსა) შემადგენლობაში შედის სამი მთავარი სპეციალისტი. თითოეულ მათგანს, როგორც წესი, ევალება ან სამოქალაქო, ან სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არსებული კანონპროექტების დამუშავება. წამყვანი და უფროსი სპეციალისტებიც, როგორც წესი, ერთ-ერთი მიმართულების კანონპროექტზე მუშაობენ. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მაშინ კანონპროექტების განაწილების ავტომატიზაცია მარტივი იქნება. კანონები შეიძლება დაიყოს სფეროების მიხედვით და პროგრამაში გაიწეროს ფუნქცია, რომ კომიტეტის თავმჯდომარის საქალაქში მოხვედრილი კანონპროექტი ავტომატურად გადაეწეროს შესაბამის პირს, თუ შესრულდება გარკვეული წინაპირობები. თავმჯდომარეს შეუძლია თავად აირჩიოს, რა იქნება ეს წინაპირობები. მაგალითად, ერთ მთავარ სპეციალისტს გადაეწეროს ყველა კანონპროექტი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, ოღონდ იმ დათქმით, რომ კომიტეტმა უნდა განიხილოს ის. თუ კომიტეტი არ იხილავს პროექტს, ის ავტომატურად მოინიშნება შესრულებულად. წამყვან სპეციალისტებს შორის შეიძლება განაწილდეს პროექტები კანონების მიხედვით - გარკვეულ კანონებზე მუშაობდნენ გარკვეული სპეციალისტები; მოცულობის მიხედვით - პროექტი აღარ დაეწეროს სპეციალისტს, თუ მას უკვე აწერია ხუთი პროექტით უფრო მეტი, ვიდრე სხვა სპეციალისტს; ინიციატორის მიხედვით - გარკვეული ფრაქციის მიერ ინიცირებული პროექტი გადაეწეროს გარკვეულ თანამშრომელს; და რაც მთავარია, სურვილის შე-

მთხვევაში შეიძლება პროგრამას მიეთითოს, რომ პროექტი ავტომატურად გადაეწეროს იმ სპეციალისტს, რომელიც უკვე მუშაობს ან უმუშავია იმავე საკანონმდებლო აქტზე - მაგალითად, თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონი დაეწეროს ყოველთვის ერთსა და იმავე სპეციალისტს დასამუშავებლად. აღნიშნული საკმაოდ ბევრ დროს დაზოგავდა - ერთი მხრივ, აღარ იქნებოდა საჭირო კომიტეტის თავმჯდომარის ანდა აპარატის უფროსის მიერ დროის გამოყოფა, რომ ტექნიკურად ბაზაში მომხდარიყო ჯერ იმ პროექტების ამორჩევა, რომელიც უნდა განიხილოს კომიტეტმა და შემდეგ მათი გადაწერა სპეციალისტებისთვის. მეორე მხრივ, დრო დაიზოგებოდა თავად შესაბამისი სპეციალისტის შერჩევაში. აღარ იქნებოდა საჭირო იმის ხელით შემონიშნება, თუ ვინ ამუშავებდა აქამდე ამ კანონს, ვის რამდენი პროექტი აწერია, რომელ პროექტებში შედის ცვლილება და რომელი სპეციალისტის კომპეტენციას განეკუთვნება იგი.

დამატებით შესაძლებელია **Machine Learning**-ის გამოყენებით პროექტების განაწილება არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რომელ კანონში შედის ცვლილება, არამედ პროექტების რეალური შინაარსის შესაბამისად. საკვანძო სიტყვების მიხედვით შედგენილი ალგორითმის დახმარებით პროგრამას შეუძლია ამოიცნოს, თუ რას ეხება კანონპროექტი და შემდეგ გადაუგზავნოს ის შესაბამის პასუხისმგებელ პირს. მაგალითად შეიძლება პროგრამას მიეთითოს, რომ თუ კანონპროექტში მოხსენიებულია „სანივთო გარიგება“, დაეწეროს ეს პროექტი კონკრეტულ სპეციალისტს; თუ განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ პროექტი გამომდინარეობს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან, მაშინ გადაუგზავნოს იგი სხვა თანამშრომელს და ა. შ. რა დონეზე უნდა მოხდეს სისტემის მიერ პროექტების დამუშავება და რომელი საკვანძო სიტყვების მიხედვით უნდა მოხდეს მათი განაწილება, ეს კომიტეტის თავმჯდომარეზეა დამოკიდებული და მისი შეცვლა ნებისმიერ დროს შესაძლებელია. თუმცა თავად პროგრამისთვის ამას არ აქვს მნიშვნელობა. სულ ერთია, ერთი საკვანძო სიტყვა მიეთითება თუ ათასი. პროგრამას წამიც კი არ დასჭირდე-

ბა დოკუმენტის შესასწავლად და იმის დასადგენად, თუ ვის უნდა გაუგზავნოს იგი. უფრო მეტიც, სისტემას შეუძლია გააკეთოს ხარისხობრივი ანალიზიც. აქ იგულისხმება, რომ თუ ფუნქცია მიუთითებს, რომ პროექტი უნდა გაეგზავნოს ერთ სპეციალისტს (რადგანაც ცვლილება შედის მენარმეთა შესახებ კანონში), მეორე ფუნქცია კი მიუთითებს, რომ უნდა გაეგზავნოს მეორეს (რადგანაც მოხსენიებულია სიტყვა „ყადაღა“), შეიძლება პროგრამისთვის სწავლება, თუ რომელს რა შემთხვევაში მიანიჭოს უპირატესობა (რა თქმა უნდა, სურვილის შემთხვევაში შეიძლება პროგრამას მიეთითოს, რომ ორივეს გაუგზავნოს პროექტი). ამ ყველაფრის გარეშე იმავე შედეგის მისაღწევად - იმავე სიღრმისეული ანალიზისთვის, თუ ვის უნდა გაეგზავნოს პროექტი, საჭირო იქნებოდა, რომ კომიტეტის თავმჯდომარემ ან აპარატის უფროსმა თავიდან ბოლომდე წაიკითხოს ყველა კანონპროექტი, სანამ განსაზღვრავს, თუ რომელმა თანამშრომელმა დაიწყო მასზე მუშაობა. ეს კი გაუმართლებელ დროით დანაკლისს წარმოადგენს.

**ბ) საკომიტეტო განხილვისთვის მომზადება**

საკომიტეტო განხილვისთვის კანონპროექტის მოსამზადებლად ხდება მისი შესწავლა და დამუშავება სპეციალისტების მიერ. კეთდება ანალიზი, რომელიც შემდეგ თითქმის უცვლელად (კომიტეტის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით) აისახება კომიტეტის დასკვნაში<sup>35</sup>. როგორც წესი, სპეციალისტები, პირველ რიგში, ახდენენ ყველა შემოთავაზებული ცვლილების იდენტიფიცირებას. ამ მიზნით ისინი სიტყვა-სიტყვით ადარებენ პროექტს მოქმედ რედაქციას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ პროგრამას აქვს ცვლილებების მიდევნების ფუნქცია, ხშირად ეს დიდ დოკუმენტებში მოუხერხებელია, რადგანაც ფორმატის თუ სხვა მცირე ცვლილების გამო ხდება მთლიანი აბზაცის გამოყოფა. თუ საკანონმდებლო ინიციატივის მომზადების პროცესის დიგიტა-

ლიზაცია და ავტომატიზაცია მოხდება, მაშინ პროექტის ტექსტის შედგენის მომენტშივე აისახება სისტემაში, თუ რა იცვლება მოქმედ კანონმდებლობაში და ამ გზით სპეციალისტს ცვლილებების ვიზუალური გამოსახვისთვის დამატებით დროის დახარჯვა არ დასჭირდება. დღეს ამაზე კომიტეტის საკმაოდ დიდი რესურსი იხარჯება, რაც გაუმართლებელია.

როდესაც სპეციალისტი მუშაობს კანონპროექტზე, თუ ის შედგენილია ზემოაღნიშნული<sup>36</sup> მეთოდის გამოყენებით, მაშინ მას შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ინფორმაცია და ტექსტი, რომელიც გამოიყენა ან შეადგინა ინიციატორმა. თანაც კოპირების გარეშე. ეს ყველაფერი უკვე შეტანილია სისტემაში და გადაქცეულია ტექსტობრივ სტრუქტურულ ელემენტებად, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს ასახული საჭირო ადგილას ხელის ერთი დაჭერით. თუ განმარტებით ბარათში რაიმე წინადადების შედგენისას ინიციატორმა გამოიყენა რაიმე გადანყვეტილება, ამ წინადადებას შენარჩუნებული აქვს ციფრული ბმა ამ გადანყვეტილებასთან და სპეციალისტს არამართო შეუძლია მარტივად მოიძიოს იგი, არამედ ის მზად არის ავტომატურად ციტირებისთვის.

თავის მხრივ, სპეციალისტის მიერ გამოყენებული და შედგენილი ნებისმიერი ტექსტი სურვილის შემთხვევაში შეიძლება გახდეს ავტომატიზაციის სისტემის ნაწილი და მზად იქნება მომავალში ნებისმიერ დროს გამოყენებისთვის. განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება ეს იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის წევრს კომიტეტის სხდომაზე დასჭირდება რაიმე ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით. მის განკარგულებაში იქნება ერთიანი ბაზა, რომელშიც თავმოყრილია კანონპროექტთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური და შინაარსობრივი მონაცემი.

<sup>35</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ, II.7.4.

<sup>36</sup> იხ. II.1.

### გ) მთავრობისა და სავალდებულო კომიტეტის შენიშვნები, საჯარო კონსულტაციები

წამყვანი კომიტეტი პროექტში ასახავს იმ შენიშვნებს, რომლებიც გამოითქმება საკომიტეტო განხილვებისას. გარდა უშუალოდ კომიტეტის სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებებისა, კომიტეტს წერილობით ეგზავნება მთავრობის შენიშვნები.<sup>37</sup> გარდა ამისა, წამყვანმა კომიტეტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სავალდებულო წესით განხილვის შემდეგ სხვა კომიტეტის დასკვნებში გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით. წამყვანი კომიტეტია ასევე პასუხისმგებელი საჯარო კონსულტაციების<sup>38</sup> შედეგების პროექტში ასახვაზე. გარდა უშუალოდ კანონპროექტის ტექსტში ცვლილების შეტანისა, კომიტეტი ადგენს შენიშვნების ფურცელს, სადაც მიეთითება შენიშვნის არსი, ავტორი და გათვალისწინების მდგომარეობა. შენიშვნების ფურცლის შედგენისას ხდება ამ ყველა ცვლილების თავმოყრა და ერთ დოკუმენტში კოპირება. ასეთ დროს, სამწუხაროდ, სპეციალისტები ხშირად უშვებენ ტექნიკურ შეცდომებს, როგორებიცაა კანონპროექტის სათაურის შეცდომით მითითება, შენიშვნის არასწორი კოპირება და სხვა. ავტომატიზაცია იძლევა შესაძლებლობას, რომ პროგრამამ თავი მოუყაროს ყველა დოკუმენტში გამოთქმულ შენიშვნებს და ასახოს ერთ ცხრილში. სპეციალისტს არც ზოგადი ინფორმაციის მითითება დასჭირდება განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, რადგანაც ყველა შაბლონური მონაცემი ავტომატურად მიეთითება.

ავტომატიზაციის ხარისხი დამოკიდებულია გამოთქმული შენიშვნების სიცხადესა და ფორმატზე. თუ ავტორი კონკრეტულ მუხლს უთითებს და იქვე კონკრეტულ კომენტარს აკეთებს, მაშინ პროგრამის მიერ მისი ნაკითხვა მარტივია. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია Machine Learning-ის მოშველიება და პროგრამისთვის სწავლება, თუ როგორ უნდა ამოიცნოს, სად იწყება და სად მთავრდება კონკრეტული შენიშვნა და რომელ პუნქტს ეხება იგი.

ეს ყველაზე წარმატებული იქნება, თუ შენიშვნები (მაგალითად, მთავრობის მიერ) შემოთავაზებულია დასკვნასთან ერთად ცხრილის სახით. იმავე პრაქტიკის დაწერვა შეიძლება სავალდებულო კომიტეტებთანაც და საჯაროდ გამოთქმული კონსულტაციებისთვისაც. გარდა იმ შესაძლებლობისა, რომ შენიშვნის ავტორმა წარმოადგინოს საკუთარი შენიშვნა ვრცელი ტექსტის სახით, მას ექნება ვალდებულება, გრაფაში კონკრეტულად მიუთითოს, თუ რომელ პუნქტს ეხება მისი შენიშვნა და გადმოსცეს მოკლედ შენიშვნის არსი. სურვილის შემთხვევაში მას შეეძლება საკუთარი შემოთავაზების მითითებაც, თუ კონკრეტულად რა ცვლილება უნდა შევიდეს კანონპროექტის ტექსტში. ამას ორი დადებითი მხარე ექნებოდა. პირველ რიგში, ეს შესაძლებელს გახდიდა ავტომატიზაციას. პროგრამა ავტომატურად გარდაქმნიდა შენიშვნას ტექსტობრივ სტრუქტურულ ელემენტად და მისი გამოყენება შესაძლებელი გახდებოდა ავტომატიზირებისთვის - სპეციალისტს ან თავად პროგრამას შეეძლებოდა ხელის ერთი დაჭერით ან სულაც ავტომატურად აესახა შენიშვნა და მასთან დაკავშირებული ყველა მონაცემი კონტექსტის მიხედვით ნებისმიერ საჭირო ადგილას. ამით იურისტი განთავისუფლდებოდა ტექნიკური საქმისგან და მთელ დროს შენიშვნების გააზრებასა და ანალიზს მოახმარდა.

ასეთი მკაცრი ფორმატის დადგენის მეორე დადებითი მხარე ის იქნებოდა, რომ შენიშვნის ავტორები ვალდებული იქნებოდნენ მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოეყალიბებინათ საკუთარი კომენტარი, რაც ბევრად გაადვილებდა მათი დამუშავებისა და ანალიზის პროცესს. ეს ტექნიკურად შენიშვნის ავტორისთვის არ გამოიწვევდა შენიშვნის გამოთქმის დაუსაბუთებელ გართულებას. რადგანაც მას მხოლოდ ის მოუწევდა, რომ მოეწინა კანონის ტექსტში ის ადგილი, რომელთან დაკავშირებითაც სურს შენიშვნის დაფიქსირება. თუ რომელ პუნქტს ეხება შენიშვნა, პროგრამა თავისით დაადგენდა. არც შენიშვნის დაკონკრეტების ვალდებულებით იზღუდება მოქალაქეთა უფლება, გამოთქვას მოსაზრება პროექტთან დაკავშირებით. მათ რჩებათ შესაძლებლობა, დაურთონ შენიშვნა

<sup>37</sup> რეგლამენტის 107 I მუხლი.

<sup>38</sup> რეგლამენტის 102 IX მუხლი.

შენას იმ მოცულობის ტექსტი და დასაბუთება, რაც სურთ. ამ დასაბუთების არსის რამდენიმე წინადადებით გადმოცემის ვალდებულება არ არის საგანგაშო. თუ თავად ავტორს არ შეუძლია შენიშვნის არსის გადმოცემა, ე. ი. მისი შენიშვნა დახვეწას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მით უფრო ვერ ამოიკითხავს მის არსს კომიტეტის სპეციალისტი და ეს უფრო ბევრ უარყოფით შედეგს გამოიწვევდა. შენიშვნის გამოთქმა მოქალაქის უფლებაა, ხოლო მისი მკაფიოდ გამოთქმა - ვალდებულება.

**დ) დასკვნის მომზადება**

კომიტეტისა და სპეციალისტის საქმიანობის მთავარი საბოლოო პროდუქტია დასკვნა. რეგლამენტის 42 III მუხლის მიხედვით, უნდა მოხდეს დასკვნის ერთიანი სტილის შემუშავება და დამტკიცება პარლამენტის თავმჯდომარის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ არ მომხდარა, დასკვნის შედგენაც მეტ-ნაკლებად გარკვეულ წესებს ემორჩილება. წესების მომავალი კი კოდი<sup>39</sup>. ერთი კომიტეტი, როგორც წესი, ერთნაირი სტილით წერს დასკვნებს. ამასთან, პროექტის სავალდებულო წესით განხილვისას დასკვნა განსხვავებული სახით დგება, წამყვანი კომიტეტის სტატუსით განხილვისას კი - სხვანაირად. რამდენიმე კომიტეტის მიერ დადგენილი პრაქტიკით, როგორც წესი, დასკვნის დასაწყისში მიეთითება ზოგადი ტექნიკური მონაცემები კანონპროექტის შესახებ (განმხილველი კომიტეტი, განხილვის წესი (სავალდებულო თუ წამყვანი კომიტეტის სტატუსით), მოსმენის რიგითობა, სხდომის ჩატარების თარიღი, კანონპროექტის დასახელება და ინიციატორები). შემდეგ ხდება პროექტის არსის მოკლე აღწერა, რასაც მოსდევს საჯარო კონსულტაციების შედეგების მიმოხილვა. შემდეგ თავში მოცემულია კომიტეტის შეფასება, ხოლო ბოლოს კვლავ ხდება კანონპროექტის დასახელების, კომიტეტისა და განხილვის რიგითობის (ზოგჯერ თარიღის) დაფიქსირება და მითითება, დაუჭირა თუ არა მხარი კომიტეტმა კანონპროექტს.

იმის დასადგენად, თუ დასკვნის მომზადების რა ნაწილის ავტომატიზაცია შეიძლება, კვლავ უნივერსალური ფორმულა უნდა იქნეს მოშველიებული: რაც მეორდება, ავტომატიზირებადი. მთავარია, მოხდეს იმ წესის, ლოგიკის დადგენა, თუ რატომ და რა შემთხვევაში, რა წინაპირობების დაკმაყოფილებისას ხდება ამ განმეორებადი ქმედების განხორციელება. დასკვნის შესავალი ნაწილის შედგენა მარტივია და იგი უდავოდ ავტომატიზირებადი. ყველა ზემოაღნიშნული მონაცემი - განმხილველი კომიტეტი, განხილვის წესი, მოსმენის რიგითობა, სხდომის ჩატარების თარიღი, კანონპროექტის დასახელება და ინიციატორი - წარმოადგენს უმცირეს ტექსტობრივ სტრუქტურულ ელემენტს, რომლის განსაზღვრაც ავტომატურად ხდება სისტემის მიერ, რადგანაც იქ უკვე შეყვანილია ყველა საჭირო მონაცემი. კანონპროექტის დასახელება და ინიციატორი, ჯერ კიდევ პროექტის ინიცირებისას დაფიქსირდა. განმხილველი კომიტეტები და მათი სტატუსი - წამყვანი/სავალდებულო - განისაზღვრა ბიუროს მიერ და ესეც ასახულია სისტემაში. მოსმენის რიგითობის დადგენაც მარტივია პროგრამისთვის, რადგანაც მთელი პროცესის ამ სისტემის გამოყენებით წარმართვა ხდება - მანიცის, ნებისმიერ დროს, რა ეტაპზეა პროექტი და შეუძლია ავტომატურად ასახოს მოსმენის რიგითობა და კომიტეტის სხდომის თარიღი.

რაც შეეხება მეორე თავს - კანონპროექტის არსს, როგორც წესი, ან ხდება მისი კოპირება განმარტებითი ბარათიდან ან ხდება სპეციალისტის მიერ რეალური გაანალიზება და საკვანძო პუნქტების ამოკრება. პირველ შემთხვევაში ამ პროცესის ავტომატიზირება უმარტივესია, რადგანაც განმარტებითი ბარათის შედგენისასაც იმავე სისტემის გამოყენება ხდება და შედეგად მისი ყველა კომპონენტი რეალურად წარმოადგენს უმცირესი ტექსტობრივი ელემენტების ერთობლიობას. მათი გამოყენება კი სისტემას ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ფორმით შეუძლია კონტექსტის მიხედვით. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, როდესაც არსის დადგენისთვის სპეციალისტი არა კოპირებას, არამედ რეალურ ანალიზს ამჯობინებს, აქ მოქმედებს ზოგადი დათქმა - ავტომატიზირება

<sup>39</sup> ბრაიდენბახი (სქ. 19), 1.

სრულდება იქ, სადაც საჭიროა ადამიანის მიერ რეალური გადაწყვეტილების მიღება<sup>40</sup>. მაგრამ ეს არ გამორიცხავს ამ პროცესის დიგიტალიზაციის შესაძლებლობას. რადგანაც მთლიანი პროექტი ასევე ამ სისტემის მეშვეობითაა „ან-წყობილი“, მისი ნებისმიერი შემადგენელი ტექსტობრივი ელემენტის გამოსახვა ლილაკზე ერთი დაჭერითაა შესაძლებელი კონტექსტიდან გამომდინარე საჭიროების მიხედვით. სპეციალისტს ისლა დარჩენია, ამოირჩიოს პროექტში მითითებული საკვანძო პუნქტები, რომლებზედაც სურს ყურადღების გამახვილება. ანუ გადაწყვეტილებას იმაზე, თუ რა პუნქტები წარმოადგენს კანონპროექტის არსს, იღებს ადამიანი - სპეციალისტი. დანარჩენის ავტომატიზაცია კი უკვე შესაძლებელია. სისტემაში მზადაა ტექსტობრივი სტრუქტურული ელემენტები, რომელსაც დღესაც ყველა დასკვნაში განმეორებით იყენებენ სპეციალისტები. სიტყვები „წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს...“, „წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივით ხდება...“ ყოველ ჯერზე მეორდება. იცვლება მხოლოდ ის, თუ უშუალოდ რაზე უნდა გაკეთდეს ამ ფრაზების შემდეგ მითითება. სპეციალისტს შეუძლია შეადგინოს მისთვის სასურველი გამოთქმები, ტექსტები, ფრაზები, თანაც განუსაზღვრელი რაოდენობით. წინასწარ დაადგინოს მათი დასკვნის ტექსტში გამოყენების თანმიმდევრობა და სიხშირე. ეს ყველაფერი შეიტანება სისტემაში და მას შემდეგ, რაც სპეციალისტი აირჩევს, თუ რაზე სურს კანონპროექტიდან ყურადღების გამახვილება და რისი გადმოტანა სურს დასკვნის არსში, სისტემა ავტომატურად აკავშირებს ამ ორ სტრუქტურულ ელემენტს ერთმანეთთან - ფრაზებსა და კანონპროექტის შემადგენელ ტექსტს. შედეგად ხდება პროცესის ნაწილობრივი ავტომატიზირება და სპეციალისტის საქმე ამ შემთხვევაში დადის მხოლოდ გონებრივ სამუშაომდე - მან მხოლოდ უნდა გაანალიზოს პროექტი, გადაწყვიტოს, რომელი კომპონენტები (რომელი მუხლები, პუნქტები) იმსახურებს დასკვნაში პროექტის არსად ასახვას და მხოლოდ უნდა დააჭიროს ლილაკზე. დანარჩენს ყველაფერს აკეთებს

პროგრამა. თანაც ავტომატურად - ანუ ამას არ სჭირება არავითარი დრო, წამებიც კი. ეს არის ის მინიმუმი(!), რისი ავტომატიზირებაც შეიძლება დასკვნის ამ ეტაპზე. ამის შემდეგ ჩნდება ცდუნება უფრო მეტი დიგიტალიზაციისა და ჩნდება ლეგიტიმური შეკითხვა, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ მოხდეს ავტომატიზირების სხვა განზომილებაში გადაყვანა? როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტომატიზაციის საზღვრები იქ გადის, სადაც საჭიროა ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ განა მართლა იურისტია საჭირო კანონპროექტიდან და განმარტებითი ბარათიდან არსის ამოსაღებად? ხომ არ შეიძლება ეს პრობლემა გადაიჭრას Machine Learning-ის დახმარებით? ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მოხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ლოგიკით, რა „წესით“ ადგენს სპეციალისტი, თუ რა არის კანონპროექტის არსი. რეალურად, კანონპროექტის ტექსტში საკვანძო ადგილების შეჩვენება არის წესი, რომელიც შეიძლება გარდაიქმნას კოდად და მოხდეს მისი ავტომატიზაცია, ხოლო ის ლოგიკა, რაც ამის უკან იმალება - ანუ ის, რაც უბიძგებს სპეციალისტს, რომ არსის განსაზღვრისას გამოიყენოს ეს წესი, თავდაც გარკვეულ წესს ემორჩილება - ანუ არის „მეტანესი“ - „წესის წესი“. შესაბამისად, თუ წესის მომავალი კოდია, ასევე: ლოგიკის მომავალი კოდია ან ალტერნატიულად: მეტანესის მომავალი კოდია. რაც ავტომატიზაციის კიდევ ახალი განზომილებაა და ერთი საფეხურით უკანა ეტაპზე იწყებს უკვე ამ პროცესს - Machine Learning-ის მეშვეობით უკვე კოგნიტურ ეტაპზე ერთვება და სათანადო ალგორითმის შედგენის შემდეგ სისტემას თავისით შეუძლია განსაზღვროს, რა არის კანონპროექტში ყველაზე მნიშვნელოვანი - რა არის მისი არსი. ამ ალგორითმის მოფიქრება სამართლის ინჟინერის საქმეა და მისი ხარისხი (და, შესაბამისად, ავტომატიზაციის დონე) დამოკიდებულია მის პროფესიონალიზმზე. სამართლის ინჟინერმა კომიტეტის სპეციალისტთან და პროგრამულ ინჟინერთან ერთად უნდა დაადგინოს კანონპროექტის არსის განსაზღვრის ლოგიკა (მეტანესი) და გამოსახოს ის კოდში. ამისათვის სპეციალისტმა უნდა გაანალიზოს, თუ როგორ

<sup>40</sup> ბრაიდენბახი/გლატცი (სქ. 28), 3.



საზღვრავს პროექტის არსს. სათანადო ანალიზის შემდეგ შეიძლება დადგინდეს, რომ ეს სულაც არ არის ქაოტური, ყოველ ჯერზე განსხვავებული და კონკრეტული კანონპროექტიდან გამომდინარე სპეციალური პროცესი. არამედ აქაც ხდება იმ ნაბიჯების განმეორება, რომელსაც მიყვავართ კანონპროექტის არსის დადგენამდე. ეს ნაბიჯები ყველა სპეციალისტისთვის შეიძლება განსხვავებული, ინდივიდუალური იყოს და ეს სულაც არ უშლის ხელს ავტომატიზაციას. თითოეული სპეციალისტს ექნება საშუალება, გემოვნების მიხედვით, შესაბამისი ბრძანება მისცეს სისტემას, თუ რა უნდა გააკეთოს მან, რომ ამოიცნოს კანონპროექტის არსი. როგორც წესი, ეს ნაბიჯები შემდეგია: პირველ რიგში, უნდა მიეთითოს საკანონმდებლო ინიციატივის თემატიკა. ამის განსაზღვრა ხდება იმის მიხედვით, თუ სად შედის ცვლილება, რომელ საკანონმდებლო აქტში და რომელ თავში - თუ ცვლილება შედის თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში, ე. ი. სწორედ ეს არის კანონპროექტის თემატიკა<sup>41</sup>; თუ იცვლება იპოთეკის მარეგულირებელი ნორმები, ე. ი. კანონპროექტის თემატიკა იპოთეკაა. თემატიკის განსაზღვრისას დამატებით შეიძლება მოშველიებულ იქნეს იმ მუხლების სათაურები, რომლებშიც შედის ცვლილება ან განმარტებითი ბარათი. დამატებით შეიძლება ყურადღება მიექცეს, თუ რომელი სიტყვა მეორდება ყველაზე ხშირად კანონპროექტის ტექსტსა და განმარტებით ბარათში. თუ ყველაზე ხშირად გამოყენებულია „ბავშვის უფლებები“, ე. ი. კანონპროექტის თემატიკა, სავარაუდოდ, სწორედ ესაა. ეს ის კომპონენტებია, რომლებსაც მიაქცევდა სპეციალისტი ყურადღებას და ამ ყველაფრის გაკეთება პროგრამასაც შეუძლია. შესაბამისად, ამ პირველი ნაბიჯის ავტომატიზაციას არაფერი უდგას წინ.

გარდა ამისა, კანონპროექტის არსის შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რა მიზანი აქვს საერთოდ

ამის მითითებას კომიტეტის დასკვნაში. ძირითადად, აქ იკვეთება ორი დატვირთვა: გააცნოს მკითხველს, თუ რას ეხება საქმე და მოამზადოს ნიადაგი შემდეგი თავებისთვის, განსაკუთრებით კი - კომიტეტზე გამოთქმული შენიშვნებისთვის. ამასთან, კანონპროექტის რეალური, დეტალური გაცნობა მკითხველისთვის არ უნდა მოხდეს კომიტეტის დასკვნაში. თუ მკითხველს სურს, გაეცნოს პროექტს, მან სწორედ პროექტი უნდა ნაიკითხოს და არა კომიტეტის დასკვნა ამ პროექტზე. ამიტომ უფრო სწორი იქნება იმის თქმა, რომ დასკვნაში არსის გადმოცემით, სპეციალისტი აცნობს მკითხველს, თუ რას მიიჩნევს კომიტეტი ყველაზე მნიშვნელოვნად კანონპროექტში, როგორ დაინახა კომიტეტმა პროექტის არსი. როდესაც საუბარია ზემოაღნიშნულ მეორე ფუნქციაზე - ნიადაგის მომზადება შემდეგ თავში გაანალიზებული შენიშვნებისთვის - აქ იგულისხმება, რომ სანამ მკითხველს ეცნობება, რომ კომიტეტმა, მაგალითად, სამენარმეო საქმიანობაში დაუშვებელ ჩარევად მიიჩნია ეტიკეტირების შემოთავაზებული წესი, ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის არსს წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის ეტიკეტირების ახალი წესის დადგენა. აქედან გამომდინარეობს მეტანესი: არსში უნდა აისახოს ის, რაზეც შემდეგ კომიტეტის შეფასების ფარგლებში იქნება საუბარი. შედეგად ავტომატიზირებას უკვე არაფერი აღარ უშლის ხელს. პროგრამას შეუძლია ნახოს, შემდეგ თავში რასთან დაკავშირებითაა გამოთქმული შენიშვნები და მონიშნოს კანონპროექტის შესაბამისი პუნქტები არსში ასახადა. ეს პუნქტები, რომლებიც რეალურად კანონპროექტის შემადგენელი უმცირესი ტექსტობრივი სტრუქტურული ელემენტებია, სისტემის მეშვეობით დაუკავშირდება წინასწარ გამზადებულ შაბლონურ ფრაზებს და მოხდება არსის შედგენის სრული ავტომატიზაცია. განხილულ მაგალითში ეს ასე იქნებოდა: „წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს თამბაქოს ნაწარმის ეტიკეტირების ახალ წესს, რომლის მიხედვითაც, ნაცვლად<sup>42</sup> 3 სანტიმეტრისა, გამა-

<sup>41</sup> ამ დასკვნის წინაპირობაა, რომ კანონისა და კანონის ნორმების სათაური სწორად იყოს შერჩეული. იხ. ამასთან დაკავშირებით კ. ფრაი/ლ. სირდაძე, კანონის ნორმების დასათაურება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 10.

<sup>42</sup> სისტემამ იცის, რა რეგულაცია მოქმედებს ახლა და შეუძლია შეადაროს ის ინიცირებულ ვერსიას.

ფრთხილებელი წარწერა უნდა იყოს 3,1 სანტიმეტრი სიმაღლის უჯრაში განთავსებული“.

პროგრამისთვის ყველაზე მარტივია, დაადგინოს პროექტის არსი განმარტებითი ბარათის მიხედვით. სამართლის ინჟინერის მიერ განწერილი ალგორითმის შესაბამისად, სისტემას შეუძლია წაიკითხოს და ნახოს, თუ რა არის მითითებული განმარტებით ბარათში კანონპროექტის მიზნად<sup>43</sup>, რა არის ის ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო წილის ზრდას<sup>44</sup> და ა. შ. ბუნებრივია, ეს შეუძლებელი იქნება, თუ განმარტებითი ბარათი არასწორადაა შედგენილი ინიციატორის მიერ. თუმცა, თუ მისი შედგენა მოხდება ამავე სისტემის გამოყენებით, პროგრამამ უკვე იცის, სად რა უმცირესი ტექსტობრივი ელემენტია გამოსახული და რატომ და ამით უფრო მარტივი ხდება არსის დადგენის პროცესის ავტომატიზაცია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს არის ის ალტერნატივა, როდესაც ხდება პროცესის სრული ავტომატიზაცია. ნაწილობრივი ავტომატიზაცია ყველა შემთხვევაში შესაძლებელია. სრული კი უფრო მეტ წინასწარ სამუშაოებს საჭიროებს სამართლის ინჟინერის მიერ, თუმცა ეს მხოლოდ ერთჯერადად იქნება საჭირო. შესაბამისი კოდის განწერის შემდეგ კი ყველა დასკვნის მომზადებისას უკვე ავტომატურად გამოისახება კანონპროექტის არსი შესაბამის თავში, რაც კიდევ უფრო მეტ დროს დაუზოგავს სპეციალისტს და მის რესურსებს მხოლოდ ისეთი ანალიზისა და გადანყვეტილებების მიღებისთვის შემოინახავს, რომელთა ავტომატიზირებაც შეუძლებელია.

დასკვნის შემდეგი თავის - საჯარო კონსულტაციების შედეგების - დასკვნაში ასახვის ავტომატიზაცია მეტად მარტივია. დღეს სპეციალისტები პარლამენტის ვებ გვერდზე გამოთქმულ შენიშვნებს აკოპირებენ დასკვნაში. ამის გაკეთება პროგრამასაც შეუძლია. მოხდება ვებ გვერდზე გამოთქმული შენიშვნების უმცირეს ტექსტობრივ სტრუქტურულ ელემენტებ

ნტებად გარდაქმნა და მათი ავტომატურად გამოსახვა შესაბამის ადგილზე დასკვნის ტექსტში.

დასკვნის შემდეგი თავის - კომიტეტის შეფასების - ავტომატიზაცია ყველაზე ნაკლებადაა შესაძლებელი, რადგანაც იგი რეალურად მოითხოვს სპეციალისტის - ადამიანის ანალიზსა და დასაბუთებას. მთელი პროცესის ავტომატიზირება სწორედ იმას ემსახურება, რომ სპეციალისტს დაუზოგოს დრო და სხვა რესურსები, რომ ისინი იურისტის ნამდვილ საქმიანობას მოახმაროს და არა ტექნიკურ დეტალებს. შესაბამისად გაიზრდება სამართლებრივი ანალიზის ხარისხი და სისწრაფე. თუმცა, რაღაც მხრივ, აქაც შესაძლებელია მცირედი ავტომატიზირება. თუ დასკვნის მომზადების პარალელურად ხდება შენიშვნების ფურცლის მომზადებაც, ნაცვლად დაკოპირებისა, შეიძლება ამ შენიშვნების ან მათი ნაწილის ავტომატურად გამოსახვა დასკვნის ამ თავშიც, შესაბამისი ავტორის მითითებით. მართალია ეს უმნიშვნელო ავტომატიზაციაა, მაგრამ ტექნიკურად ეს პროგრამისთვის მეტად მარტივი იქნება და სპეციალისტს წინასწარ ავტომატურად გამზადებული ექნება ის საკითხები, რომელთა ანალიზიც უნდა მოახდინოს.

მარტივია დასკვნის ბოლო ნაწილის შედგენის ავტომატიზირება. აქ მისათითებელი ყველა მონაცემი, როგორც ზემოთ აღინიშნა, უკვე შეყვანილია სისტემაში. აქვე უნდა მოხდეს იმ ინფორმაციის ასახვა, თუ რა გადანყვეტილება მიიღო კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107 V მუხლის მიხედვით - ცნო პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად თუ მიუღებლად.

სამართლის ინჟინერის მუშაობის შედეგად შესაძლებელი ხდება კომიტეტის დასკვნის შედგენის სრული დიგიტალიზაცია და უმეტესი ნაწილის ავტომატიზაცია. როდესაც სპეციალისტი ხსნის დოკუმენტს, მას ყველაფერი უკვე დაწერილი ხვდება პროგრამის მიერ, გარდა იმ თავისა, სადაც უნდა აისახოს სამართლებრივი ანალიზი. აქაც უკვე მითითებულია ის პუნქტები, რომელზედაც უნდა გამახვილდეს ყურადღება. ეს ყველაფერი კი უდიდესი რესურსის

<sup>43</sup> შდრ. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 17 | ა.ა.ა) მუხლი.

<sup>44</sup> შდრ. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 17 | ბ.ბ) მუხლი.

დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა და ბევრად ამცირებს შეცდომის დაშვების რისკს. სამწუხაროდ, სპეციალისტების მიერ ინფორმაციის შეყვანისას ხშირად ხდება შეცდომის დაშვება კანონპროექტის დასათაურებაში, ინიციატორის დასახელებაში, თუ რომელი მოსმენით ხდება განხილვა და როდის გაიმართა კომიტეტის სხდომა.<sup>45</sup> ამიტომ უმჯობესია, პროგრამამ შეიყვანოს ყველა ეს მონაცემი და გამოთავისუფლებული დრო სპეციალისტმა კომიტეტის შეფასების უკეთ ფორმულირებას დაუთმოს.

დასკვნის მომზადების დიგიტალიზაციასა და ავტომატიზაციას კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს. ის წარმოადგენს არა მხოლოდ პროგრამის პროდუქტს - დამზადებულ დოკუმენტს (Output), არამედ ასევე ინფორმაციის წყაროს (Input), რომელსაც პროგრამა გამოიყენებს შემდგომი პროცესების ავტომატიზაციისთვის. სისტემაში აისახება დასკვნის გაგზავნის თარიღი, რა შენიშვნები გამოითქვა, დაუჭირა თუ არა მხარი კომიტეტმა, რა არის ინიციატივის არსი და ა. შ. აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება შეიძლება ასევე სხდომის ოქმების შედგენისას ან სტატისტიკისთვის (რამდენი ინიციატივა იქნა უარყოფილი კომიტეტის მიერ 2020 წელს? კონკრეტული პარლამენტის წევრის მიერ მომზადებული რამდენი ინიციატივა იქნა მხარდაჭერილი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ გაზაფხულის სესიაზე? და ა. შ.).

**ე) კანონპროექტის განხილვის ვადის გაგრძელება**

სპეციალისტების სამუშაო დროის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა კანონპროექტების განხილვის ვადების კონტროლსა და შესაბამის შემთხვევაში ვადის გაგრძელების შესახებ მიმართვების მომზადებას. წამყვანი კომიტეტის მიერ პროექტის დადგენილ ვადაში არგანხილვის შემთხვევაში ინიციატორს, რეგლამენტის 107 VI, VII მუხლით, უფლება აქვს, მოითხოვოს მისი

წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანა. ამიტომ ბუნებრივია, რომ კომიტეტი განსაკუთრებული სიფრთილით ეკიდება განხილვის ვადებს. თუმცა გაუგებარია, რატომ უნდა სჭირდებოდეს იურისტი (ან რომელიმე დარგის სპეციალისტი) ვადების აღრიცხვასა და ვადის გაგრძელების შესახებ სტანდარტული წერილის მომზადებას. ერთი მხრივ, ბიუროსთვის გაგზავნილი მიმართვის ტექსტი თითქმის შაბლონურია, მეორე მხრივ კი მაინც ხდება ძალიან ხშირად შეცდომის დაშვება - მიმართვაში არასწორადაა მითითებული კანონპროექტის დასახელება, განხილვის ვადა, თუ რომელი მოსმენით ხდება განხილვა, დაშვებულია უამრავი გრამატიკული შეცდომა და ა. შ. ყველაზე ცუდ შემთხვევაში ხდება განხილვის ვადის გაშვება, როდესაც სპეციალისტს - უმეტესწილად, გადატვირთულობის გამო - გამორჩება კანონპროექტის განხილვის ვადის გასვლა. ასეთ დროს ან ბიურო უბრალოდ „თვალს ხუჭავს“ იმ ფაქტზე, რომ პროექტის განხილვის ვადა, რომლის გაგრძელებასაც ითხოვს კომიტეტი, უკვე გასულია, ან ხდება ე. წ. „უნყვეტობის“ (კვაზი-)არგუმენტის<sup>46</sup> მოშველიება. ყოფილა შემთხვევე-

<sup>46</sup> „უნყვეტობის“ არგუმენტი „შემუშავებულ“ იქნა საპარლამენტო პრაქტიკაში ერთ-ერთი კომიტეტის სპეციალისტების მიერ და ის გულისხმობს ვადის გაშვებულად არ მიჩნევას, თუ პროექტის განხილვის ბოლო დღესა და ბიუროსთვის მიმართვის დღეს შორის არ არსებობს „წყვეტა“ - ანუ ბიუროს წერილი ეგზავნება განხილვის ვადის ამონურვისთანავე - ე. ი. მომდევნო დღეს. მაგალითად, პროექტის განხილვის ვადა იყო 13 მარტის ჩათვლით. კომიტეტი ბიუროს მიმართავს 14 მარტს და აცნობებს, რომ ვერ მოხერხდა პროექტის განხილვა დადგენილ ვადაში და სთხოვს ვადის გაგრძელებას 2 კვირით. „უნყვეტობის“ არგუმენტის საფუძველზე, რადგანაც განხილვის ვადასა და ბიუროსთვის მიმართვას შორის არ ყოფილა წყვეტა, ეს ვადა გაშვებულად არ უდნა ჩაითვალოს. ეს (კვაზი-)არგუმენტი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ კომიტეტს დადგენილ ვადაში (მოცემულ შემთხვევაში 13 მარტის ჩათვლით) აქვს განხილვის უფლება და მხოლოდ მას შემდეგ უნდა მიმართოს ბიუროს, რაც სრულად ამონურავს ამ დროს. ხშირია შემთხვევა, როდესაც კომიტეტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვრა, მოახერხებს თუ არა პროექტის განხილვას დადგენილ ვადაში (შეიძლება კანონპროექტი შეტანილ იქნეს კომიტეტის დღის წესრიგში და მაინც ვერ მოხერხდეს მისი განხილვა - კომიტეტის სხდომა გადაიდოს, კანონპროექტთა სიმრავლის გამო ვერ მოესწროს პროექტის განხილვა იმ დღეს, არ გამოცხადდეს ინიციატორი...). კომიტეტი არც არის ვალდებული, წინასწარ დაადგინოს, შეძლებს თუ ვერა 13 მარტს დღის ბოლომდე

<sup>45</sup> ძირითადად, ეს შეცდომა გამოწვეულია იმით, რომ სპეციალისტები ამჯობინებენ ძველი დოკუმენტების შაბლონად გამოყენებას, რა დროსაც ზოგჯერ დასკვნაში რჩება ეს ძველი ინფორმაცია.

ბიჯ, როდესაც ბიუროს სხვადასხვა სპეციალისტის მიერ ერთი და იმავე პროექტის ვადის გაგრძელებაზე ერთდროულად ორი მიმართვა გაეგზავნა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ სპეციალისტები, მაგალითად, იურისტები, არ უნდა ხარჯავდნენ დროს ასეთ ტექნიკურ დეტალებზე, ხოლო, მეორე მხრივ, მიმართვა უნდა მომზადდეს ისე, რომ დაზღვეული იყოს პროექტის ვადის გასვლის გამორჩენა ან შეცდომა ვადის გაგრძელების შესახებ მიმართვის ტექსტში. სწორედ აქ იკვეთება დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის კიდევ ერთი უპირატესობა. მას შემდეგ, რაც ხდება პროექტის რეგისტრაცია ინციირებისას, სისტემაში ავტომატურად ხდება თარიღის მითითება. შესაბამისი თარიღის განწერა ხდება ასევე ყველა შემდგომ ეტაპზეც. შედეგად, სისტემამ იცის, როდის გადასცა კომიტეტს ბიურომ კანონპროექტი განსახილველად. სისტემაში ჩაშენებულია კალენდარი, რომელშიც მითითებულია ყველა სამუშაო და არასამუშაო დღე. შესაბამისად, პროგრამისთვის ძალიან მარტივია, გამოითვალოს, თუ როდის იწურება განხილვის ვადა. თუ განხილვის ვადის ამონურვამდე სისტემაში არ ხდება (ავტომატურად) ასახვა, რომ პროექტი განხილულ იქნა კომიტეტის სხდომაზე, სისტემამ იცის, რომ საჭიროა ვადის გაგრძელების შესახებ მიმართვის გენერირება. ავტომატურად ხდება არამარტო ამ დოკუმენტის შექმნის საჭიროების დადგენა (საჭიროებს თუ არა კანონი ვადის გაგრძელებას), არამედ თავად ამ დოკუმენტის შედგენაც. კანონის პროექტის სა-

თაური, ინციატორები, (საჭიროების შემთხვევაში) თემატიკა, განმხილველი კომიტეტი, რომელი მოსმენით ხდება განხილვა, როდემდე იყო განხილვის ვადა.... ეს ყველაფერი რეალურად უკვე განსაზღვრულია ჯერ კიდევ ინციატორის მიერ ინციირებისას ან ბიუროს მიერ. ანუ ეს ყველაფერი სისტემაში უკვე შეტანილია და პროგრამას ისლა დარჩენია, გამოსახოს ფურცელზე ისინი. რაც შეეხება დასაბუთებას, აქ სპეციალისტს შეუძლია სხვადასხვა ჩამონათვლიდან მიუთითოს გადავადების მიზეზი ან სტანდარტად აირჩიოს ერთ-ერთი, რომელიც მითითება ავტომატურად, თუ არ მოხდება სხვა რაიმე სპეციალური საფუძვლის მითითება. რეალურად, დასაბუთება მიმართვების უმრავლესობაში ისედაც შაბლონურია, რაც კიდევ უფრო ამარტივებს ავტომატიზაციის პროცესს. ხელმომწერი პირის იდენტიფიცირებაც - არჩევანის გაკეთება კომიტეტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს შორის - მარტივად ხდება სისტემის მიერ, რადგანაც სისტემაში შეყვანილია ყველა კომიტეტის თავმჯდომარისა და მოადგილეების შესახებ ინფორმაცია და მათი მივლინებასა თუ შვებულებაში ყოფნის სტატუსიც ავტომატურად აისახება. შედეგად აბსოლუტურად ყველა სიტყვა, რომელიც იწერება მიმართვაში გამოსახვადია უმცირესი ტექსტობრივი სტრუქტურული ელემენტების<sup>47</sup> საშუალებით და შესაძლებელია მთლიანი დოკუმენტის ავტომატურად გენერირება. დოკუმენტი მზად არის, რომ მას გაეცნოს კომიტეტის თავმჯდომარე და სურვილის შემთხვევაში ლილაკზე ერთი დაჭერით დაეთანხმოს ბიუროსთვის მის გაგზავნას. ეს ზოგავს დროსაც და აბსოლუტურად გამორიცხავს დოკუმენტში შეცდომის შესაძლებლობას. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი რესურსი იხარჯება კომიტეტში განხილვის ვადების სპეციალური აღნიშვნისთვის, ყოველდღიური კონტროლისთვის, მიმართვის შედგენისთვის და ხელმომწერის მიერ მონაცემების გადამოწმებისთვის, პროექტების სიმრავლიდან გამომდინარე, პროცესი, რომელსაც ყოველ დღე რამდენიმე საათი და, სულ მცირე, სამი პირის ჩართვა სჭირდება, ავტომა-

პროექტის განხილვას (ყოფილა შემთხვევები, როდესაც კომიტეტის სხდომა დაწყებულია ერთ საღამოს და დასრულებულია ღამით, როდესაც უკვე ახალი თარიღი იყო. მაგალითად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ერთ-ერთი სხდომა დაიწყო 2019 წლის 18 თებერვლის 21:00 საათზე და დასრულდა 2019 წლის 19 თებერვლის 1:19 საათზე). ასეთ დროს კომიტეტს უნდა ჰქონდეს უფლება, მომდევნო დღეს აცნობოს ბიუროს, რომ ვერ მოხერხდა სხდომაზე რომელიმე პროექტის დადგენილ ვადაში განხილვა და სთხოვოს ვადის გაგრძელება. მიუხედავად ამ დასაბუთებისა, „უნწყვეტობის“ არგუმენტი მაინც ხელოვნურია და მხოლოდ კვაზი-არგუმენტად შეიძლება შეფასდეს (თუმცა ფაქტია, რომ მას კანონშემოქმედებითი პრაქტიკა იცნობს. ნებისმიერ შემთხვევაში, ბიუროს გადანყვეტილებას აქვს ავტონომიური მოქმედება და მაშინაც კი, როდესაც ხდება გასული ვადის „გაგრძელება“, ბიუროს გადანყვეტილების ლეგალურობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია).

<sup>47</sup> ბრაიდენბახი/გლატცი (სქ. 28), 2.

ტიზაციის შემდეგად მოითხოვს ნულ დროსა და ნულ სპეციალისტს, თანაც ხდება ყოველგვარი რისკებისგან დაზღვევა.<sup>48</sup> გარდა ამისა, სისტემაში შეტანილია ასევე რეგლამენტის ტექსტი და საჭიროების შემთხვევაში მარტივად შეიძლება მისი ავტომატურ რეჟიმში ციტირება.

**8. განხილვა პლენარულ სხდომაზე**

პლენარულ სხდომაზე პროექტის განხილვა დიგიტალიზებულია იმდენად, რამდენადაც ხმის მიცემა პარლამენტის წევრების მიერ ხდება ელექტრონულად. აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას, ავტომატურ რეჟიმში მოხდეს ხმების დათვლა და განსაზღვრა, მიღებულია თუ არა პროექტი შესაბამისი მოსმენით. ავტომატიზაციის შემდეგი საფეხური იქნებოდა პროგრამის მიერ პარლამენტის დადგენილების ავტომატურად შედგენა, რომელშიც ასახულია გადაწყვეტილება პროექტის შესაბამისი მოსმენით მიღების შესახებ. რადგანაც სისტემაში უკვე, დიდი ხანია, შეყვანილია ყველა მონაცემი პროექტთან დაკავშირებით, შესაბამისი წინაპირობის დადგომის შემთხვევაში - პროექტის მიერ ხმების საჭირო რაოდენობის მიღებისას - დადგენილების ტექსტის შედგენას ნამებიც კი არ დასჭირდებოდა და ეს ავტომატურ რეჟიმში მოხდებოდა.

თავის მხრივ, რადგანაც პროექტთან დაკავშირებული ყველა ნაბიჯი პარლამენტში შესრულებულია პროგრამის გამოყენებით, პარლამენტის წევრს აქვს შესაძლებლობა, ძალიან მარტივად გახსნას ნებისმიერი სასურველი (მათ შორის სტატისტიკური) ინფორმაცია, რო-

მელიც უკავშირდება არა მარტო ამ კანონპროექტს, არამედ მთლიანად საკანონმდლო პროცესს (მაგალითად, რამდენი სხვა პროექტი იქნა განხილული ბიუროზე ამ პროექტთან ერთად, რამდენია ისეთი პროექტი, რომელიც ინიცირებულია იმავე სუბიექტის მიერ ამ პროექტამდე, მაგრამ პლენარულ სხდომაზე ჯერ არ განხილულა და სხვა). ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოძიება იქნება უფრო მარტივი და არ იქნება საჭირო ყოველ ჯერზე მონაცემების თავიდან დამუშავება, რადგანაც ყველა მონაცემი უკვე შეტანილია სისტემაში და მზად არის ნებისმიერ საჭირო ადგილას გამოისახოს ყოველგვარი დროის გარეშე.

**9. ენობრივი კორექტურა**

რეგლამენტის 101 I კ) მუხლით, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვის შემდეგ დგება კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი. პროექტის ენობრივ კორექტურასა და რედაქტირებას საკუთარი სპეციფიკა გააჩნია და ეს პროცესი ისე უნდა წარიმართოს, როგორც კორექტორსა და რედაქტორს სურთ. დღეს სამუშაოს დიდი ნაწილი სრულდება ფურცელზე და არა ელექტრონულად. ეს მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, როგორ კითხულობს სპეციალისტი ტექსტს უკეთ და როგორ უფრო მარტივია მისთვის შეცდომის შემჩნევა. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია პროცესის ნაწილობრივ ავტომატიზაცია. თუ კორექტორსა და რედაქტორს სურთ, შესაძლოა პროგრამას Machine Learning-ის მეშვეობით ასწავლონ გარკვეული გრამატიკული შეცდომების ამოცნობა და ან ავტომატურად გასწორება, ან სავარაუდო შეცდომად მონიშვნა. მაგალითად, ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა ეს კალკების ამოსაცნობად.

გარდა გრამატიკული შეცდომებისა, პროგრამის გამოყენება შეიძლება გარკვეული ტერმინების ამოსაცნობად. ეს მნიშვნელოვანია, მაგალითად, მაშინ, როდესაც კანონში მითითებულია, რომ შემდეგში ეს ტერმინი/სახელწოდება სხვაგვარად იქნება მოხსენიებული. ასეთ დროს მნიშვნელოვანია ამ პრინციპის დაცვა და ყველა მომდევნო მუხლში ამ შემოკლების გა-

<sup>48</sup> ამგვარად მომზადებულ დოკუმენტს ის დადებითი მხარეც გააჩნია, რომ მასში ასახული თითოეული უმცირესი ტექსტობრივი სტრუქტურული ელემენტის უკან დგას შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც მარტივადაა ხელმისაწვდომი. მაგალითად, თუ ბიუროზე დაისმება შეკითხვა გადავადების მიმართვასთან დაკავშირებით, კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლია თითის ერთი დაჭერით გადავიდეს ბიუროს გადაწყვეტილებაზე პროექტის განხილვის დაწყების შესახებ, განმარტებით ბარათზე, წინა საკომიტეტო განხილვის დასკვნაზე, სავალდებულო კომიტეტების დასკვნებზე და ა. შ. როდესაც საკანონმდლო პროცესის ყველა საფეხურის დიგიტალიზაცია და შეძლებისდაგვარად ავტომატიზაცია მოხდება ერთი პროგრამის მეშვეობით, სემანტიკური ბმების შედგენა უმარტივესია და ესეც ავტომატურად მოხდება.

მოყენება. მაგალითად, საჯარო რეესტრის შესახებ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც „სააგენტო“. შესაბამისად, პროგრამას ავტომატურად შეუძლია ამოიცნოს, რომ თუ ამ კანონის მომდევნო მუხლებში შედის ცვლილება და მითითებულია „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, აღნიშნული წარმოადგენს ხარვეზს და უნდა ჩანაცვლდეს მხოლოდ ერთი სიტყვით „სააგენტოთი“. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი შემოკლებები მრავალ კანონშია გამოყენებული, ასეთი შეცდომების ამოცნობა, საკმაოდ ბევრ დროს დაუზოგავდა სპეციალისტებს.

## 10. კანონის მიღება და გამოქვეყნება

საქართველოს კონსტიტუციის 46 I მუხლით პარლამენტის მიერ მიღებული კანონი 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით კი კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. პროექტის პრეზიდენტისთვის გადაცემა და მისი გამოქვეყნება უკვე დიგიტალიზებულია და სინამდვილეში გულისხმობს შემდეგს: პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელი ტვირთავს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდის სპეციალურ გრაფაში პროექტს, რომელზეც წვდომა მხოლოდ შეზღუდულ წრეს აქვს. ატვირთულ ტექსტს ხსნის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელი. პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში ადმინისტრაციის თანამშრომელი დასტურს აძლევს ატვირთულ პროექტს და ახლა მას საკანონმდებლო მაცნის თანამშრომელი ხსნის, რომელიც აქვეყნებს ვებ გვერდზე - ხდის კანონს საჯაროდ ხელმისაწვდომს.

ერთი შეხედვით, ეს საკმაოდ მარტივი და კომფორტული პროცესი ჩანს, მაგრამ დიგიტალიზაციას მთელ აზრს უკარგავს ერთი მცირე

დეტალი. პროგრამა, რომელშიც ხდება საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე პარლამენტის თანამშრომლის მიერ ატვირთვა, რეალურად მხოლოდ სხვა დოკუმენტიდან მასში ტექსტის კოპირების შესაძლებლობას იძლევა და არა ფაილის მიბმისას. კოპირებისას კი შეიძლება მოხდეს ელემენტარული შეცდომა, რაც ფაილის მიმაგრების შემთხვევაში გამოირიცხებოდა. მთავარი ის არის, რომ, სამწუხაროდ, კოპირების შემდეგ ტექსტი ისე ფორმატირდება, რომ შემთხვევით ზოგი ასო თავისით ეჭრება ან ზოგჯერ მთლიანი სიტყვაც კი იშლება. აღნიშნული ყოველად გაუმართლებელია. ამიტომ პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებს ტექსტის ატვირთვის შემდეგ უწევთ თითოეული ასოსა და სასვენი ნიშნის გადამოწმება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ ფუჭი. სპეციალისტი არ უნდა ხარჯავდეს დროს იმის გადამოწმებაში, ხომ არ გააქრო კანონის ტექსტიდან პროგრამამ რამე. ამიტომ დიგიტალიზაციის სათანადო დონის მისაღწევად უმნიშვნელოვანესია ამ პროგრამის დახვეწა. ავტომატიზაციის კუთხით, შესაძლებელია, პლენარულ სხდომაზე სათანადო ხმების მიღების შემთხვევაში ავტომატურად აიტვირთოს პროექტის საბოლოო სახე, როგორც ის მიიღო პარლამენტმა. აღნიშნული დროსაც დაზოგავდა და მექანიკური შეცდომის ალბათობასაც გამოირიცხავდა.

რაც შეეხება თავფურცელს, რომელზეც ხდება ხელმოწერა პროექტის პრეზიდენტისთვის გაგზავნამდე (საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე ატვირთვამდე), ამის დიგიტალიზაცია ძალიან მარტივია, იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა უკვე დიდი ხანია წარმატებით მოქმედებს და შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება.

## III. დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგები

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ უცნობია სამართლის სრული ავტომატიზაციისა და ალგორითმიზაციის შედეგები, რამაც შესაძლოა სამუ-

შაო ადგილების შემცირება გამოიწვიოს. თუმცა აღსანიშნავია ისიც რომ ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია სათანადოდ განვითარებული კოგნიტური აზროვნება<sup>49</sup>, რასაც, თავის მხრივ, დაფარული დოგმატური საფუძველი გააჩნია, რომ კანონები და მათთან დაკავშირებული სოციალური პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს ხელენიფება, რაც ნაწილობრივ სიმართლეა. ამის საპირისპიროდ ტექნიკური სამუშაო, რომელზეც მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსი იხარჯება, უნდა აკეთოს ტექნიკამ.

**1. დროისა და ხარჯების შემცირება**

საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის უმთავრესი შედეგი იქნება დროისა და სხვა რესურსების, მათ შორის, ხარჯების დაზოგვა. მაგალითად, გერმანიაში Logos პროგრამის გამოყენებით ფინანსთა ფედერალური სამინისტროს მიერ პროსპექტების გაცემის ღირებულება 100 000 ევროდან 10 000 ევრომდე შემცირდა<sup>50</sup>. აღნიშნული არ უნდა იქნეს მოაზრებული ისე, თითქოს დანახარჯების ლიკვიდაცია ხდება პარლამენტში უკვე დასაქმებული მოხელეების ტექნოლოგიური სიახლით ჩანაცვლების გამო, არამედ, პირიქით, ყველა ის გაუთვალისწინებელი და ზედმეტი ხარჯი შემცირდება, რომელიც საკანონმდებლო საქმიანობის დროს ტექნიკურ სამუშაოს უკავშირდება.

მნიშვნელოვანია, რომ დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესი არა მხოლოდ დოკუმენტაციის მომზადების დროის ეკონომიურობისკენაა მიმართული, არამედ საკანონმდებლო პროცესს ყოველ ეტაპზე დროის თვალსაზრისით ბევრად უფრო კომპაქტურს ხდის, ვიდრე ეს მექანიკური სამუშაო პროცესის შემთხვევაშია.

**2. მონაცემთა უნივერსალური ბაზა**

ტექნოლოგიური რევოლუციის დამსახურებით, ინფორმაცია ისეთი ხელმისაწვდომი, როგორც დღესაა, არასდროს ყოფილა. უფრო მეტიც, სწორედ ამ ხელმისაწვდომობის გამო გახდა დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესები რეალობა.<sup>51</sup> თუმცა, ყოველივე აღნიშნული აზრს კარგავს, თუ ინფორმაცია მისი მოცულობის მიუხედავად იმდენად გაფანტული იქნება კიბერსივრცეში, რომ მისი მოძიება არაგონივრულ დროს წაიღებს.

მონაცემთა უნივერსალური ბაზის შექმნა საქართველოს პარლამენტისთვის არ გულისხმობს, მისი არსებობის მანძილზე ყველა საკანონმდებლო აქტის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტის მოძიებასა და კონკრეტულ მყარ დისკებზე შენახვას. არამედ არსებული ბაზისა და ყოველი ახალი აქტის საფუძველზე, რომელიც უკვე დიგიტალიზებულია და ავტომატიზაციის საშუალებით არის შექმნილი, სისტემური და ურთიერთდაკავშირებული ბაზის შექმნას, სადაც მისაწვდომია ნებისმიერი ინფორმაცია ინიციატორის, კანონპროექტების, საინფორმაციო ბარათებისა და კომიტეტების შესახებ, რაც, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ პროდუქტის სახით ქმნის პარლამენტისთვის ინტეგრალურ დიდ მონაცემებს (Big Data).

**3. შეცდომებისგან დაზღვევა**

როდესაც ხდება დოკუმენტის ადამიანის მიერ დამუშავება, შეცდომის სრული გამორიცხვა შეუძლებელია. კოპირების შეცდომას, კანონპროექტის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ მიმართვის გაგზავნის დავინყებას და ა. შ. შესაძლოა ბევრი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს. რადგანაც ავტომატიზაციის პროგრამა იყენებს უმცირეს ტექსტობრივ სტრუქტურულ ელემენტებს და ხდება მათი ავტომატური გამოსახვა, ასეთ შემთხვევაში შეცდომა სრულად

<sup>49</sup> F. A. Pasquale / G. Cashwell, Four Futures of Legal Automation, UCLA Law Review Discourse, Vol. 63, 2015, 45.

<sup>50</sup> ბრაიდენბახი/გლატცი (სქ. 28), 3.

<sup>51</sup> რამაც, თავის მხრივ, მაგალითად, გოტფრიდ ლაიბნიცის სამართლებრივი არგუმენტაცია, როგორც ავტომატიზებული სუბსუმცია შექმნა იურისტებისთვის U. Pagallo / M. Durante, The Pros and Cons of Legal Automation and its Governance, European Journal of Risk Regulation, Vol. 7, Issue 2, 2016, 324.

გამორიცხულია, რაც ამ პროცესის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დადებითი მხარეა.

#### IV. შეჯამება

პარლამენტში საკანონმდებლო პროცესი სხვადასხვა უწყებისა და სუბიექტების მიერ მრავალი სხვადასხვა ქმედების განხორციელებას გულისხმობს. ეს ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ხშირად ერთი სუბიექტის მიერ შესრულებულ სამუშაოს იმეო-

რებს და თავიდან აკეთებს სხვა. დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვით მოხდებოდა ტექნიკური სამუშაოს ტექნიკის მიერ შესრულება. სხვადასხვა უწყება არ უნდა ხარჯავდეს დროს ერთი და იმავე ტექსტის თავიდან შედგენაზე. საკანონმდებლო პროცესში ლიგალტეკის დანერგვით დაიზოგება დრო და სხვა რესურსები. ამასთან, სრულიად გამოირიცხება დოკუმენტებში შეცდომის დაშვება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კანონშემოქმედებით საქმიანობას.



# რესტიტუციის ფარგლები ანგლო-ამერიკულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში

ასოც. პროფ. გიორგი რუსიაშვილი

დემეტრე ეგნატაშვილი

## შესავალი

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში ცენტრალური ადგილი უკავია კონდიქციური მოთხოვნის ფარგლების დადგენის პრობლემატიკას. ქართველმა კანონმდებელმა, გერმანელისაგან განსხვავებით (გსკ-ის 818-820-ე პარაგრაფები), ეს რეგულატორული კომპლექსი უფრო დააქუცმაცა (სკ-ის 979-981, 984, 985, 987 II, III მუხლები),<sup>1</sup> თუმცა მათი სტრუქტურა და შინაარსობრივი ბირთვი იდენტურია. ეს დანაწესები წარმოადგენენ გარკვეულწილად იმ ძირითადი პრინციპის განსხეულებას, რომლის გარშემოც არის კონსტრუირებული მთლიანი უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი. მოცემული პრინციპი კი მდგომარეობს იმაში, რომ უკან დაბრუნების ვალდებულებამ (კეთილსინდისიერი) მიმღები არ უნდა გაალარებოს – უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიზანს არ წარმოადგენს მიმღების დასჯა ჩადენილი უმართლობისათვის, არამედ ქონების უსაფუძვლო წანაცვლების უკუქცევა, რის გამოც პასუხისმგებლობის ფარგლების კონსტრუირება, ზოგადად, ბრალისგან დამოუკიდებლად ხდება (გარდა ე. წ. „გამკაცრებული პასუხისმგებლო-

ბის“<sup>2</sup> შემთხვევისა). ამიტომაც, გერმანული სამართლის ოჯახში მიმღები პასუხს აგებს მანამ, სანამ ჯერ კიდევ გამდიდრებულია (გსკ-ის 818 III პარაგრაფი, სკ-ის 979 III მუხლი) და გამდიდრების არარსებობასთან ერთად ის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. გამდიდრების არარსებობის გამო კონდიქციური მოთხოვნის გამორიცხვას ფორმალურად იცნობს ასევე ანგლო-ამერიკული სამართალი **change of position**-შესაგებლის სახელით, თუმცა მხოლოდ ფორმალურად.<sup>3</sup> სინამდვილეში კი, გერმანული მოსაზრების სანინააღმდეგოდ, აქ გამდიდრება, ზოგადად, არ წარმოადგენს ცვალებად სიდიდეს, რომელიც მიღების შემდეგ შეიძლება გაქრეს.<sup>4</sup> თავდაპირველად მიღებული გამდიდრების მოგვიანებით გაქარწყლებასთან ერთად პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ანგლო-ამერიკული პერსპექტივიდან გაკრიტიკებულია იმ შემთხვევებზე მითითებით, როდესაც ეს პრინციპი გერმანულ სამართალშიც არ მოქმედებს, რა არგუმენტიცაა საერთოდ ეჭვქვეშ აყენებენ მის მიზანშეწონილობას. მაგალითად,

<sup>1</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, 2020, 7-ე და მომდევნო გვერდები, <http://lawlibrary.info/ge/> (32.03.2020); გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თბილისი 2017, 81.

<sup>2</sup> რუსიაშვილი, სარეფორმო წინადადება, ზემოთ სქ. 1, 61-ე და მომდევნო გვერდები; გ. რუსიაშვილი/დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, თბილისი 2016, 107-ე და მომდევნო გვერდი.

<sup>3</sup> შდრ. J. Gordley, Restitution without enrichment? Change of position and Wegfall der Bereicherung, in: D. Johnston/R. Zimmermann (eds) Unjustified Enrichment: Key Issues in Comparative Perspective, Cambridge 2002, 227-ე და მომდევნო გვერდები, 240, 241.

<sup>4</sup> J. P. Dawson, Erasable Enrichment in German Law, Boston University Law Review 61 (1981), 271 sqq.

მოტყუებით დადებული ხელშეკრულების<sup>5</sup> შემთხვევაში, პირმა, რომელმაც შეგნებულად ჩაიდინა უმართლობა, უნდა ზღოს ასევე ამ უმართლობის წინასწარ განუჭვრეტელი შედეგებიც; არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ გამდიდრებულია<sup>6</sup> – თუ პირმა მოტყუებით დაადავინა მეორე მხარეს მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც მოგვიანებით განადგურდა, მან მაინც უნდა აანაზღაუროს მანქანის მთლიანი ღირებულება. თუმცა მოცემული მაგალითისათვის კონდიქციური პასუხისმგებლობის მოცულობასთან დაკავშირებული დისკუსიის ფარგლებში ადგილის მიჩენა პრობლემურია, ისევე როგორც პრობლემურია ამ კონტექსტში მოყვანილი ინგლისური სასამართლოს გადაწყვეტილება *Doyle v Olby (Ironmongers) Ltd*,<sup>7</sup> რომელიც ცალსახად დელიქტური სამართლის წესების მიხედვით უნდა დადგინდეს და არაფერი ჰქონდა საერთო კონდიქციური მოთხოვნის ფარგლების დადგენასთან, რადგან მოსარჩელე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას და არა მისი ქონებიდან გადადინებულის დაბრუნებას. ის ფაქტი, რომ უკან დასაბრუნებელი გამდიდრებისა და ანაზღაურებადი ზიანის ფარგლები შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, არ ცვლის იმას, რომ ეს ორი განსხვავებული რეგულატიური კომპლექსის ნაწილებია და ყველა სხვა შემთხვევაში ამას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. *Doyle v Olby*-ზე უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის კონტექსტში მითითებით იშლება ყოველგვარი ზღვარი დელიქტურ და კონდიქციურ პასუხისმგებლობის ფარგლებს შორის. დელიქტური პასუხისმგებლობისათვის უმნიშვნელოა, ა-მ შემთხვევით (მსუბუქი გაუფრთხილებლობით) ჩაღვნა ბ-ს ფანჯრები, თუ, ასევე, შემთხვევით (ისე რომ საკუთარი ეგონა) წაიღო და საკუთარ სახლში ჩააშენა. დელიქტური სამართლის მიხედვით ორივე შემთხვევაში მხოლოდ ფანჯრების ობიექტური ღირებულება ანაზღაურდება; კონდიქციით კი, პირველ შე-

მთხვევაში – არაფერი, რადგან ა-ს ბ-ს ფანჯრების განადგურებით არაფერი მოუპოვებია, ხოლო მეორე შემთხვევაში ანაზღაურდება ის თანხა, რითიც ა ჯერ კიდევ გამდიდრებულია ბ-ს ფანჯრების საკუთარ სახლში ჩაშენების შედეგად – ანუ თანხა, რაც მან დაზოგა ფანჯრების ამ ფორმით მოპოვებით, მათი ყიდვის მაგივრად. დანაზოგისაგან შედგენილი გამდიდრება შეიძლება იყოს საგნის ობიექტური ღირებულება (თუ ა ზუსტად ამ ღირებულების ფანჯრებს შეიძენდა) ან უფრო ნაკლები (თუ ა ნივთს იაფად იყიდდა).

თუ ა-ს მსუბუქი გაუფრთხილებლობით საკუთარში აერევა ბ-ს ფანჯრები და მითთვისებს, ხოლო შემდეგ კი ორმაგ ფასად გაყიდის, ამ დროს მან დელიქტით უნდა აანაზღაუროს მხოლოდ ობიექტური ღირებულება, ხოლო კონდიქციით – მთლიანი მოგება, რაც მიიღო ნივთის განკარგვით (სკ-ის 982 II მუხლი).<sup>8</sup> განზრახ ხელყოფის შემთხვევაში, არა მხოლოდ კონკრეტული განკარგვით მიღებული, არამედ ის მთლიანი სარგებელი, რომელიც აღემატება შესაბამისი უფლების კანონიერი გზით მოპოვების ხარჯებს (სკ-ის 985 I მუხლი).<sup>9</sup> ეს უკანასკნელი წარმოადგენს სანქციას სხვისი სიკეთის განზრახ ხელყოფისათვის (იხ. ასევე ქვევით) და ამ სანქციის გაგრძელებაა კონდიქციის მოვალის მხრიდან განმდიდრებაზე<sup>10</sup> (გამდიდრების არარსებობაზე) მითითების უფლების ჩამორთმევა (სკ-ის 984 I მუხლი). შესაბამისად, მაგალითად, თუ ა მოიპარავს ბ-ს ფანჯარას მისი გაყიდვის მიზნით, თუმცა ჩანაფიქრის ასრულებამდე (ბრალეულად ან ბრალის გარეშე) გაუნადგურდება, ის არა მხოლოდ დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში ანაზღაურებს მთლიან ობიექტურ ღირებულებას, არამედ ზუსტად ასევე – კონდიქციურითაც (სკ-ის 981-ე მუხლში გათვალისწინებული თანმდევი შედეგებით). მაგრამ ა-მ, როგორც ეს პირველ შემთხვევაშია, განზრახაც რომ ჩაამტვრიოს ბ-ს ფანჯრები, კონდიქციური პასუხი-

<sup>5</sup> Gordley, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 3, 231.

<sup>6</sup> Gordley, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 3, 231.

<sup>7</sup> *Doyle v. Olby* [1969] 2 All ER 199 (CA).

<sup>8</sup> *რუსიაშვილი*, სარეფორმო წინადადება, ზემოთ სქ. 1, 77.

<sup>9</sup> *რუსიაშვილი*, სარეფორმო წინადადება, ზემოთ სქ. 1, 87-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>10</sup> ტერმინთან დაკავშირებით იხ. *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, ზემოთ სქ. 1, 42 სქ. 108.

სმგებლობისაგან მაინც გათავისუფლდება, რადგან ამით ბ-ს ქონებიდან არაფერს არ მოიპოვებს და ბრალი ამასთან დაკავშირებით ვერაფერს შეცვლის. ეს, ერთი შეხედვით, თავისთავადი განსხვავება კონდიქციურ და დელიქტურ პასუხისმგებლობებს შორის, როგორც ჩანს, არც თუ ისე ცალსახა ანგლო-ამერიკულ ტრადიციაში. მხოლოდ ის ფაქტობრივი მსგავსება, რაც ხსენებულ ორ შემთხვევას (1. ნივთის განადგურება პირდაპირ; 2. ნივთის ჯერ მითვისება, ხოლო მომდევნო მომენტში მისი განადგურება) შორის არსებობს, მათ იდენტურ სამართლებრივ გადანყვეტას არ უნდა განაპირობებდეს. დელიქტური (ისევე, როგორც სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების) მოთხოვნა კონსტრუირებულია ზიანის გარშემო და იძლევა ზიანის წარმოშობის იმგვარი ვარიაციული პალიტრის გათვალისწინების შესაძლებლობას, რასაც კონდიქციური სამართალი პრინციპულად ვერ განვლავს. ასევე, პირიქით, კონდიქციური სამართლისათვის საინტერესოა არა კონდიქციის კრედიტორის ქონებაში წარმოშობილი დანაკლისი, არამედ მისი ქონებიდან სხვა პირის ქონებაში გადადინებული ქონებრივი სიკეთეები, მთელი თანმდევი შედეგებით, რაც პრინციპულად უინტერესოა დელიქტური მოთხოვნისათვის. ამიტომაც, პირველისათვის გადანყვეტა, თუ რა დააკლო ერთმა პირმა მეორეს (ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით) ხოლო მეორე შემთხვევაში – რა მოიპოვა სხვისი ქონებიდან. ხსენებული განსხვავება ნივთის პირდაპირ განადგურებასა და ჯერ მითვისებასა და მხოლოდ შემდგომ განადგურებას შორის, რაზეც ანგლო-ამერიკული სამართალი უარს ამბობს, სწორი და გამართლებულია. გამართლებულია იმიტომ, რომ სხვისი ქონებისათვის რაიმეს დაკლება და სხვისი ქონებიდან რაიმეს მოპოვება, არა მხოლოდ არაკორელატურია, არამედ პრინციპულად სხვადასხვა სიბრტყეში მდებარე კატეგორიებია და მათი ერთმანეთზე მიბმით (ან ერთმანეთში აღრევით) შეუძლებელი ხდება მთელი რიგი პრაქტიკული შემთხვევების დამაკმაყოფილებლად გადანყვეტა. მაგალითად, იმის დაშვება, რომ პირმა შეიძლება ისე მოიპოვოს სხვისი ქონებიდან

რაიმე, რომ ამით სხვის ქონებას არაფერი დააკლოს.

იმ ფაქტს, რომ არსებითი განსხვავებაა სხვისი ქონების უბრალო განადგურებასა და ამ ქონების ჯერ მოპოვებასა და შემდეგ თუნდაც განადგურებას შორის, ნათელყოფს შემდეგი მაგალითი: ა და ბ იყოფენ პლიაჟის ტერიტორიას, სადაც ისინი შეზღონების გაქირავებით არიან დაკავებული. ერთ სალამოსაც ა მოპარავს ბ-ს 5 ცალ შეზღონგს, რათა მეორე დღეს თავის სხვა შეზღონგებთან ერთად გააქირაოს. თუმცა მოგვიანებით გადაიფიქრებს და ხუთივეს დაწვავს. ბ ამ 5 შეზღონგს მეორე დღეს თავადაც ველარ გააქირავებდა, რადგან იმავე სალამოს გარდაიცვალა, ხოლო მისი მემკვიდრეები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას უმოკლეს პერიოდში გადაეხარებინათ ბიზნესი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეებს არ შეუძლიათ მოსთხოვონ ა-ს, ზიანის ანაზღაურების სახით, მიუღებელი შემოსავალი (სკ-ის 992, 411-ე მუხლები), მართებულია, რომ მოსთხოვონ მას, როგორც გამკაცრებულად პასუხისმგებ ხელმყოფს, მიუღებელი სარგებელი სკ-ის 984, 981 II 1 მუხლების მიხედვით. ეს შეზღონგები (მათზე მფლობელობა) მოხვდა ა-ს ქონებაში და მას შეიძლება მოეთხოვოს პასუხი მათი დანიშნულებისამებრ გამოუყენებლობისათვის, მაშინაც კი, როდესაც თავად უფლებამოსილი პირი მოცემულ მომენტში ვერ მოახერხებდა ამ სარგებლის რეალიზებას – ამ გადანყვეტის გარეშე ნებისმიერი პირი მიითვისებდა სხვისი სიკეთეს და გამოიყენებდა მას, თუ ამით ამ სხვა, უფლებამოსილ პირს ზიანს არ მიაყენებდა. სწორედ ამ არგუმენტით აბრუნებს სხვისი ნივთის განზრახ განმკარგავი მთლიან მოგებას და არა მხოლოდ მის ღირებულებას, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული. თუმცა, რამდენადაც გამართლებულია მოცემული გადანყვეტა სხვისი ნივთის მითვისებისას, იმდენად აბსურდული იქნებოდა ის მაშინ, ა-ს პირდაპირ რომ გაენადგურებინა ბ-ის ნივთები და მაინც დაკისრებოდა იმ სარგებლის რესტიტუცია, რომელსაც მხოლოდ თავად მიიღებდა და რომელსაც ვერ მიიღებდა უფლებამოსილი პირი, ნივთი მასთან რომ დარჩენილიყო. ან პირველ კაზუსში, ფანჯრების ჩამტვრევის შემდეგ, დამზიანებე-

ლს დავაკისროთ მათი ორმაგ ფასად გადაყიდვიდან მიღებული (ჰიპოთეტური) მოგების ანაზღაურება, რომელსაც მესაკუთრე, თავის მხრივ, ვერ მიიღებდა.

დელიქტური სამართალი პრინციპულად ვერ შეეხება და ვერც გასწვდება საკითხს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ფანჯრებიდან მიღებული სარგებლის (რომელიც არ არის ბ-ს მიერ დაკარგული სარგებლის, ანუ ზიანის, კორელატური) ან მათი განკარგვის შედეგად მიღებული მოგების რესტიტუცია. მაგალითად, დელიქტური სამართლის დოგმატიკა ვერ გადაწყვეტს (რადგან ეს არც არის მისი მიზანი) შემთხვევას, როდესაც ა-მ იმიტომ ჩაამტვრია ბ-ს ფანჯრები, რომ თავიდან მოეშორებინა კონკურენტი და ამით მისი კუთვნილი იდენტური ფანჯრები მომდევნო დღეებში ორმაგ ფასად გაეყიდა. ამ დროს დელიქტური ზიანი ზემოთ მოყვანილი შემთხვევების იდენტური რჩება და ისევ (დაკარგული) ფანჯრების ობიექტური ღირებულებით განისაზღვრება. ამის საპირისპიროდ, კონდიქციურ სამართალს, პასუხის გასაცემად იმ შეკითხვაზე, თუ რამდენად შეიძლება ჰქონდეს ბ-ს უფლება იმ მოგებაზე, რომლის რეალიზაციაც მოახერხა ა-მ კონკურენტის თავიდან მოშორებით, საკმაოდ დახვეწილი და ზუსტი ინსტრუმენტი აქვს საკუთარ არსენალში.<sup>11</sup>

ყოველი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკმაოდ უსუსურად გამოიყურება არგუმენტი, რომ გერმანული კონდიქციური სამართლის გადაწყვეტა, რომელიც გამდიდრებას ცვალებად სიდიდედ მიიჩნევს, არასწორია, რადგან ერთ კონკრეტულ (ან რამდენიმე) შემთხვევაში მიღებს მაინც უნევს განმდიდრების (გამდიდრების არარსებობის) მიუხედავად დელიქტური წესით ზიანის ანაზღაურება. გერმანული სამართალი ამ შემთხვევაში გამართლებულ შედეგამდე მიდის “გამკაცრებული პასუხისმგებლობის” (როგორც არაკეთილსინდისიერი კონდიქციის მოვალის დასჯის მექანიზმის) სამართლებრივი ფიგურის მეშვეობით, დელიქტური

თუ უსაფუძვლო გამდიდრების დოგმატიკის მორღვევის გარეშე. გამდიდრების კატეგორიის ცვალებადობაზე უარის თქმა კონდიქციურ მოთხოვნას აქცევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნად ბრალის წინაპირობის გარეშე, რაც სრული აბსურდია. კიდევ ერთხელ: ისევე, როგორც შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ პირმა სხვისი ქონებიდან მოიპოვა რაიმე მხოლოდ იმის გამო, რომ მას ქონებრივი დანაკლისი მიაყენა, ზუსტად ასევე უკუსაგდება მცდელობა იმისა, რომ ის ჯერ კიდევ გამდიდრებულად ჩაითვალოს, მიუხედავად მისი ქონებიდან თავდაპირველად მოპოვებულის უკვალოდ გაქრობისა, მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ ამით სხვას ზიანი მიაყენა.

### I. ქონების არამართლზომიერი მითვისება, რომლის მიღებაც მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლებოდა

ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში გამდიდრებისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრენი<sup>12</sup> უთითებენ შემთხვევებზე, როდესაც პირი არამართლზომიერად ითვისებს იმას, რაც უნდა მიეღო ხელშეკრულებით (Wrongful appropriation of a benefit which one should have obtained by Contract). აქაც, ქონებიდან მიღებულის უკვალოდ გაქრობის შემთხვევაში გამდიდრებულმა სრულად უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება, რაც გამოყენებულია არგუმენტად გამდიდრების ცვალებად სიდიდედ აღქმის წინააღმდეგ. იმავე შედეგს გერმანული დოქტრინა ცალკეულ შემთხვევებში იღებს, უკვე ნახსენები, გამკაცრებული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მეშვეობით, რომლის მიხედვითაც, მთელ რიგ შემთხვევებში, პირი აგებს პასუხს, მიუხედავად იმისა, რომ აღარ არის გამდიდრებული: რკინიგზამ შესაბამისი უფლების მოპოვების გარეშე გაიყვანა სარკინიგზო გზა მოსარჩელის ტერიტორიაზე, რისთვისაც სასამართლომ მას დააკისრა იმ კომპენსაციის გადახდა, რისი გადახდაც მოუწევდა შესაბამისი უფლების მოპოვების შემთხვე-

<sup>11</sup> კერძოდ, “სხვისთვის მიკუთვნილებული სამართლებრივი სიკეთის დაცული სფეროს” ცნება, იხ. დეტალურად რუსიაშვილი, სარეფორმო წინადადება, ზემოთ სქ. 1, 71-ე და მომდევნო გვერდები; გ. რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, 48-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>12</sup> Gordley, in: Johnston/Zimmermann (eds) Unjustified Enrichment, ზემოთ სქ. 3, 232.

ვაში. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის არგუმენტი, რომ ის ამ უფლების მოპოვებას საერთოდ არ აპირებდა.<sup>13</sup> მოტოციკლეტების ფაბრიკამ გამოიყენა ცნობილი მსახიობის სურათი საკუთარი რეკლამისათვის, ნებართვის გარეშე, რისთვისაც სასამართლომ მას დააკისრა შესაბამისი თანხის გადახდა.<sup>14</sup> მოცემულ კატეგორიაში გაერთიანებული შემთხვევებიდან ყველაზე ცნობილია “ავია მოგზაურობის”-გადაწყვეტილება<sup>15</sup>, რომელიც დღესდღეობით ყველა სახელმძღვანელოშია შეტანილი. მოპასუხემ (კონდიქციის მოვალემ) მოახერხა გადაფრენილიყო ჰამბურგიდან ნიუ-იორკში და უკან, ბილეთის ყიდვის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ის ბილეთის დაზოგილი თანხით არ გამდიდრებულა – ის საკუთარი ჯიბიდან შესაბამის თანხას ვერ გაიღებდა და მისთვის ერთადერთი გზა, რომ მიეღო ეს გადაყვანის მომსახურება, იყო მისი უფასოდ მიღება, სასამართლომ მაინც არ ჩათვალა ის განმდიდრებულად და არ მიიჩნია ეს საკმარისად მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის.<sup>16</sup> თუმცა, მიუხედავად ამ ნაწილში განვითარებული სწორი მსჯელობისა, გერმანულმა სასამართლომ აქ მაინც აურია ერთმანეთში კონდიქციური პასუხისმგებლობის ორი წინაპირობა. კერძოდ, ამ პასუხისმგებლობის პირველი წინაპირობის, სხვისი ქონებიდან მოპოვებული „რაიმეს“, ქვეშ სასამართლომ მოიაზრა ის დაზოგილი თანხა, რისი გადახდაც მოუწევდა მოვალეს ბილეთის შესაძენად შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ეს მიდგომა, დოგმატური კუთხით, არასწორია.<sup>17</sup> „გამდიდრება“ (გსკ-ის 818-ე პარაგრაფი, სკ-ის 979-ე მუხლი) და მისი არარსებობა წარმოადგენს კონდიქციური მოთხოვნის ფარგლების ეტაპზე განსახილველ საკითხს და კატეგორიას ამ სიბრტყიდან, მაშინ როდესაც,

მოპოვებული „რაიმე“ არის ამ პასუხისმგებლობის პირველადი წინაპირობა, როდესაც უნდა გადაწყდეს საკითხი, საერთოდ გადადინდა თუ არა რაიმე ერთი პირის ქონებიდან მეორის ქონებაში.<sup>18</sup> „გამდიდრება“ ეხება უკვე იმ საკითხს, თუ რა დარჩა მიმღების ქონებაში ამ თავდაპირველად მიღებულიდან მისი უკუდაბრუნების მომენტიდან. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ „მოპოვებული“ იყო ავიაკომპანიის მომსახურება (გადაფრენა), როგორც არამატერიალური ქონებრივი სარგებელი. თუმცა გამომდინარე ამ არამატერიალური ხასიათიდან მისი დარჩენა-შენარჩუნება მიმღების ქონებაში შესაძლებელი იყო მხოლოდ დანაზოგის (შესაბამისი დანახარჯების დაზოგვის) ფორმით, რაც უკვე განეკუთვნებოდა „გამდიდრების“ კატეგორიას და გადამწყვეტი იყო უკუმოთხოვნის ფარგლებისათვის. ამ ორი სიბრტყის, „რაიმეს მოპოვება“-„გამდიდრება“ ერთმანეთისაგან გამიჯვნა არსებითია კონდიქციური პასუხისმგებლობის გამართულად კონსტრუირებისათვის, რადგან თუ პირმა მოიპოვა რაიმე სხვისი ქონებიდან, თუმცა მოგვიანებით განმდიდრდა (მოპოვებულის უკვალოდ გახარჯვის თუ დანაზოგის არარსებობის გამო), მან მაინც შეიძლება აგოს პასუხი კონდიქციით, თუ არსებობს რაიმე სპეციალური გარემოება, რომელიც ამართლებს მის ამ გამკაცრებულ (გამდიდრებისაგან დამოუკიდებელ) პასუხისმგებლობას. ამის საპირისპიროდ, კონდიქციური პასუხისმგებლობის საკითხი თავიდანვე გამორიცხულია, თუ პირმა საერთოდ არაფერი არ მოიპოვა სხვისი ქონებიდან. მაგალითად, თუ აშეზღუდეს ბ-ს ლაბორატორიაში და კოლბიდან დაღვეს ძვირადღირებულ მჟავას, მიუხედავად იმისა, რომ ამით ბ-ს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს<sup>19</sup>, ის მაინც არაფრით არ მდიდრდება, რადგან მჟავის ამ ფორმით საკუთარ სხეულში ინკორპორირება (განსხვავებით მჟავით სავსე კოლბის ჯიბეში ჩადებისგან) არაფრით არ ზრდის მის ქონებას. შესაბამისად, ა-

<sup>13</sup> RGZ 97, 310.

<sup>14</sup> RGZ 97, 310.

<sup>15</sup> BGH NJW 1971, 609.

<sup>16</sup> იხ. დეტალურად მოცემულ საქმესთან დაკავშირებით რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 126-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>17</sup> ამ არასწორ გაგებას ემყარება ასევე Gordley, in: Johnston/Zimmermann (eds) Unjustified Enrichment, ზემოთ სქ. 3, 232, შესაბამისი არასწორი დასკვნებით შედარებითსამართლებრივ ჭრილში.

<sup>18</sup> რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 130.

<sup>19</sup> რაც შეიძლება გახდეს მისი დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველი.

კონდიქციური პასუხისმგებლობის საკითხი აქვერ დადგება.

ანგლო-ამერიკული სამართალი „რაიმეს“ მოპოვებისა და „გამდიდრების“ შრეებს არ განასხვავებს, არამედ ოპერირებს ისეთი (საკმაოდ უცნაური) კატეგორიებით, როგორცაა სახელშეკრულებო ბენეფიტის მითვისება, რის საფუძველზეც უარყოფს განმდიდრების (გამდიდრების არარსებობასთან ერთად პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების) კონცეპტს. ამერიკულ სამართალში ეს პრინციპი დაფიქსირებულია დელიქტურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რესთიტუციურ მენტიში, თუმცა მასზე უთითებენ ასევე კონდიქციურ სამართალთან დაკავშირებული დისკუსიის ფარგლებშიც:<sup>20</sup> *მიმღების დუმილი შეთავაზებაზე განიმარტება, როგორც აქცეპტი, თუ ის იღებს შეთავაზებულ მომსახურებიდან სარგებელს, მიუხედავად იმისა, რომ აქვს ამ სარგებლის უარყოფის საშუალება და მიზეზი ივარაუდოს, რომ შეთავაზება იყო სასყიდლიანი*<sup>21, 22</sup>.

მოცემული პრინციპის მეშვეობით ამერიკული სასამართლოები ხელშეკრულების ფიქციის გზით მიდიან გამდიდრებისგან დამოუკიდებელ პასუხისმგებლობამდე. თვალსაჩინოებისათვის შესაძლებელია *Austin v. Burge*-ს შემთხვევის მოყვანა.<sup>23</sup> მოპასუხე ბარგმა მიიღო საჩუქრის სახით მოსარჩელე ოსტინის საგაზეთო აბონემენტი, თუმცა აბონემენტის ვადის ამონურვის შემდეგაც ოსტინი აგრძელებდა გაზეთების დაგზავნას, საბოლოოდ კი მოითხოვა ამისათვის შესაბამისი ანაზღაურება. ბარგმა დაფარა ეს ანგარიში და მოითხოვა გაზეთების მიწოდების შეწყვეტა. მიუხედავად ამისა, ოსტინმა გააგრძელა გაზეთების მიწოდება, ბარგმა კი ამჯე-

რად უარი თქვა გადახდაზე, რის შემდეგაც ოსტინმა სარჩელის მეშვეობით მოსთხოვა მას ამის გაკეთება. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე ბარგის სასარგებლოდ გადაწყვიტა, მიიჩნია რა, რომ მას არ დაუდია ხელშეკრულება ოსტინთან, შესაბამისად, არც უნდა ყოფილიყო ვალდებული გადაეხადა, თუმცა ეს მოსაზრება არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ: თუ ბარგი აგრძელებდა გაზეთების მიღებას სახეზე გვექონდა ე. წ. ფაქტობრივი ხელშეკრულება (*implicit contract*), რომლის ძალითაც ბარგს ეკისრებოდა გადახდის ვალდებულება. ამგვარად, თუ პირი კითხულობდა ყოველდღიურ გაზეთებს, რომელიც მასთან მიჰქონდათ, მიიჩნევა, რომ ყიდულობდა მათ, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონია ამის სურვილი.

მსგავსი კონსტრუქცია, კერძოდ კი, ფაქტობრივი ხელშეკრულება, ანუ ხელშეკრულება, რომელიც იდება ე. წ. სოციო-ტიპური ქცევით (*Vertragsschluss durch sozialtypisches Verhalten*), რეალური ნების გამოხატვის გარეშე, წარსულში გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ფართო დისკუსიის საგნად იყო ქცეული და ნაწილობრივ მას სასამართლო პრაქტიკაც აღიარებდა.<sup>24</sup> მიუხედავად ამისა, დღეს ის უკუგდებულია, როგორ გადაწყვეტა, რომელიც მხარეს სახელშეკრულებო ბოჭვას აკისრებს შესაბამისი ნების გამოხატვის გარეშე და ამით წინააღმდეგობაში მოდის კერძო ავტონომიის პრინციპთან, რომელიც წარმოადგენს ყოველგვარი გარიგებისმიერი ბოჭვის ფუნდამენტს.<sup>25</sup> სხვა პირისგან მხოლოდ ხელშეკრულებით მოსაპოვებელი სიკეთის პირდაპირ მითვისების უკუსაქცევად არსებობს კონდიქციური და დელიქტური სამართალი, ნაწილობრივ ასევე დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტიც, თუმცა გაუგებარია, თუ საერთოდ რატომ იძენს ეს შემთხვევა კონდიქციური მოთხოვნის ფარგლების დადგენის კონტექსტში მნიშვნელობას, უფრო ზუსტად კი, თუ როგორ უნდა გაამართლოს მან განმდიდრების შესაგებლის არსებობის ზოგადი უა-

<sup>20</sup> ამ ორ ინსტიტუტს შორის ზღვრის ნაშლა ნამდვილად ვერ ჩაითვლება დახვეწილ მიდგომად.

<sup>21</sup> Restatement (Second) of Torts, § 283 A (1963).

<sup>22</sup> ამ ამერიკული მიდგომის საპირისპიროდ დღესდღეობით გერმანული სამართალი (მენარმისაგან) შეუკვეთავი ნივთების მიმღებს, თუ ის მომხმარებელია, ანიჭებს უფლებას, უბრალოდ გვერდზე გადადოს ეს ნივთი ისე, რომ აღარასოდეს არ დაუბრუნოს ის უფლებამოსილ პირს: – გსკ-ის 241ა პარაგრაფი: (1) *მენარმეს მომხმარებლისათვის შეუკვეთავი ნივთების მიწოდება ან შეკვეთის შეუსაბამო სხვა შესრულების განხორციელება არ წარმოშობს ამ უკანასკნელისადმი მოთხოვნის უფლებას. ...*

<sup>23</sup> *Austin v. Burge* 137 SW 618 (Mo App 1911).

<sup>24</sup> BGHZ 21, 319; BGHZ 23, 177.

<sup>25</sup> შდრ. *M. Wolf/J. Neuner*, Allgemeiner Teil des deutschen bürgerlichen Rechts, 10. Aufl, München 2012, § 37 Rn. 47.

რყოფა.<sup>26</sup> იმ ფაქტს, რომ ზემოთ მოყვანილი შემთხვევებიდან შეუძლებელია კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით რაიმე მბოჭავი დასკვნის გაკეთება (რადგან აქ არ არის გადამწყვეტი, გამდიდრდა თუ არა პირი), საბოლოო ჯამში, თავად ამ მოსაზრების მიმდევარიც (გორდლიც) აღიარებს.<sup>27</sup>

## II. არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევა

იმ მიზეზს, თუ რატომ ხდება ზემოთ მოყვანილი შემთხვევების კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლების კონტექსტში გაერთიანება (რომელსაც ის რეალურად არ განეკუთვნება), ოდნავ უფრო მეტ ნათელს ჰყენს არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევის პრობლემატიკაზე მითითება, რომელიც რეალურად განეკუთვნება მოცემულ კონტექსტს და რომელთან სიახლოვის გამოც ხდება ზემოთ ხსენებული კაზუსები ამავე დისკუსიის ნაწილი (თუმცა არასწორად). არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე მოთხოვნილი და მიღებული შესრულების პრობლემატიკა ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის იყო ცნობილი და სწორედ აქედან იღებს სათავეს კამათი, მოცემულ სიტუაციაში, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების-წესებისა თუ შესრულების კონდიქციის ინსტრუმენტის უპირატესად გამოყენებასთან დაკავშირებით. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების<sup>28</sup> მიხედ-

ვით, არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევა ყოველთვის შესრულების კონდიქციის მეშვეობით უნდა მოხდეს, რადგან უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი წარმოადგენს *lex specialis* დავალების გარეშესთან მიმართებით და შეიცავს სპეციალურ რეგულაციებს (მაგ. სკ-ის 976 II ა)-დ), 977 II, 979-ე მუხლები), რომელთა გვერდის ავლაც მოხდებოდა არანამდვილი ხელშეკრულების პირდაპირ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით (*negotiorum gestio*) უკუქცევისას.<sup>29</sup> ინგლისური სამართალიც ამ პრობლემატიკას უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნაწილში ათავსებს, რისი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი სავარაუდოდ ის არის, რომ *negotiorum gestio* ანგლო-ამერიკულ სამართალში მესამეხარისხოვანი ფუნქციითაა აღჭურვილი და ნაწილობრივ მისი აუცილებლობა საერთოდ უარყოფილიც კია.<sup>30</sup>

თუმცა, თუ არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევად უსაფუძვლო გამდიდრების დანაწესებს გამოვიყენებთ, შესრულების უკუმოთხოვნა უნდა გამოირიცხოს ყოველთვის, როდესაც შემსრულებლის მიერ მიმღებისათვის მინიჭებული ქონებრივი სიკეთე თავიდანვე არაღიარებულია, ანუ შესრულების მიმღებს მეორე მხარის შესრულებით არ მოუპოვებია ქონებრივი სარგებელი („რაიმე“). მაგალითად, გერმანულმა სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა მოპასუხის მიწის ნაკვეთზე, არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე, 800 მეტრიანი ორმოს გათხრის ხარჯების ანაზღაურებაზე, რადგან მიიჩნია, რომ მოპასუხის ქონება ამით არ გაზრდილა.<sup>31</sup> ჩვეულებისამებრ, საპირისპირო გზას ირჩევენ ამერიკული სასამართლოები და მიიჩნევენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არანამდვილია, შე-

<sup>26</sup> არც თუ ისე ცხადია, თუ რას ცვლის ზოგადად კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლებისათვის (გარდა იმისა, რომ ერთ შემთხვევაში შესრულების კონდიქციით აგებს პასუხს და მეორეში კი ხელყოფის) ის გარემოება, რომ მოცემულ სიკეთესთან დაკავშირებით, ერთ შემთხვევაში, თავად კონდიქციის კრედიტორმა გააკეთა ოფერტი, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს სიკეთე კონდიქციის მოვალემ პირდაპირ მიითვისა. კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლების მხრივ (თუ ხელყოფის კონდიქციის თავისებურებებს არ გავითვალისწინებთ, მაგ. სკ-ის 985 I მუხლი) არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს კონდიქციის მოვალე ჯიბიდან ამოაცლის კრედიტორს ნივთს, თუ მას თაღლითური ქცევით გამოსძალავს შესრულებას.

<sup>27</sup> Gordley, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 3, 233.

<sup>28</sup> Seiler, in MünchKommBGB, 7. Aufl. 2017, § 677 Rn. 48; S. Lorenz, *Gescheiterte Vertragsbeziehungen zwischen Geschäftsführung ohne Auftrag und Bereicherungsrecht - späte Einsicht des*

BGH? NJW 1996, 884; H. Eidenmüller, *Wertersatz für rechtsgrundlos erbrachte Bauleistungen*, JZ 1996, 892; Gehrlein, in Bamberger/Roth, BGB Kommentar, 3. Aufl. 2011, § 577 Rn. 18.

<sup>29</sup> შდრ. რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 33-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>30</sup> რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 45-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>31</sup> RG JW 1911, 756.

მკვეთი ატარებს არა მხოლოდ მიღებული გამდიდრების შენარჩუნების რისკს, არამედ ასევე რისკს, რომ მიღებული მისთვის თავიდანვე არალირებული აღმოჩნდება.<sup>32</sup> ამიტომაც **Dowling v McKenny**-ში<sup>33</sup>, როდესაც მოპასუხემ შეუკვეთა მოსარჩელეს მის მიწის ნაკვეთზე ქანდაკების წამომართვა, რომლისათვისაც ამოთხარა ორმო, თვითონ ქანდაკება კი სარჩელის აღძვრის მომენტისათვის ჯერ არ ჰქონდა დასრულებული, სასამართლომ მოსარჩელეს მიანიჭა უფლება, მოეთხოვა ანაზღაურება გაჭრილი ორმოსათვის, თუმცა არა დაუსრულებელი ქანდაკებისათვის. ეს გადაწყვეტა – ანაზღაურების მოთხოვნა ამოთხრილი ორმოსთვის – იურიდიულ ლიტერატურაშიც<sup>34</sup> სწორად არის მიჩნეული, რადგან მოპასუხე-შემკვეთი ატარებდა რისკს, რომ შეკვეთილი სამუშაოების შედეგი მისთვის არალირებული აღმოჩნდებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ მან თვითონ შეუკვეთა ეს სამუშაოები. დღესდღეობით ეს პრინციპი ანგლო-ამერიკულ სამართალში საყოველთაოდ აღიარებულია.<sup>35</sup> თუ მოპასუხემ დადო (არანამდვილი) ხელშეკრულება არქიტექტორთან, რომლის საფუძველზეც არქიტექტორმა დაამზადა პროექტი, ის ვალდებულია გადაუხადოს შესაბამისი ფასი, მაშინაც კი, თუ ამ პროექტს არასოდეს გამოიყენებს.<sup>36</sup> **Fabian v. Wasatch Orchard Company**-ს შემთხვევაში, მოპასუხემ დაიქირავა ფაბიანი მის მიერ წარმოებული დაკონსერვებული ასპარაგუსის გასაყიდად. მოპასუხის თანხმობით მოსარჩელემ გაყიდა გარკვეული რაოდენობის ასპარაგუსი საწარმოო ღირებულებაზე უფრო იაფად. ხელშეკრულება არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგს მოტყუების შესახებ კანონის დარღვევის გამო. სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთი არ გამდიდრდა, მაინც მიანიჭა მოსარჩელეს მის მიერ განეული მომსახურების ანაზღაურების

უფლება. მოპასუხეს შეუძლია დაიბრუნოს მის მიერ განეული სამუშაოების ღირებულება, მიუხედავად იმისა, რომ ეს განეული სამუშაო მიღებისათვის რაიმე ღირებულების მქონე არ ყოფილა.<sup>37</sup>

მოცემული ანგლო-ამერიკული გადაწყვეტის გაზიარება, როდესაც ხდება უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოთხოვნის მინიჭება, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მხარეებს შორის არანამდვილი გარიგება იყო სახეზე, გამდიდრებისაგან დამოუკიდებლად, ანუ, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის შესრულებით მეორე მხარეს არაფერი არ მიუღია, შეუძლებელია. კონდიქციური მოთხოვნა ვერ იარსებებს ერთი პირის ქონებიდან მეორის ქონებაში სიკეთეების გადადინების გარეშე. რეალურად, რასაც აქ ანგლო-ამერიკული სასამართლოები აკეთებენ, ეს არის (სხვისი საქმეების დავალების გარეშე შესრულებიდან) დანახარჯების წინაპირობების საფუძველზე კონდიქციური მოთხოვნის მინიჭება. დანახარჯების, რომელიც მხოლოდ დავალების გარეშე სხვისი საქმეების ინსტრუმენტის მეშვეობით შეიძლება ანაზღაურდეს, გამდიდრებად მიჩნევა და მისი ამ ფორმით რესტიტუცია აბსურდულია. ეს რეალურად შლის ზღვარს არა მხოლოდ კონდიქციურ სამართალსა და „დავალების გარეშეს“ შორის (რასაც შეიძლება ანგლო-ამერიკული დოქტრინა სკეპტიკურად უყურებს), არამედ ნადვილ და არანამდვილ ხელშეკრულებებს შორისაც. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ რეალურად შესრულების კონდიქციაა ის მოთხოვნა, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს არანამდვილი გარიგების უკუქცევა<sup>38</sup>, „დავალების გარეშედან“ შეიძლება მხოლოდ რეალური ხარჯების მოთხოვნა, ანუ იმის, რაც გაიღო შემსრულებელმა და არა ის, რაც ამით მეორე მხარემ მოიპოვა. ამასთან, საქმიანობა, როგორც ასეთი (გამონაკლისი: პროფესიული საქმიანობა), „დავალების გარეშეს“ უსასყიდლო ხასიათის გამო, არ ანაზღაურდ-

<sup>32</sup> *Gordley*, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 3, 236.

<sup>33</sup> *Dowling v. McKenny* 124 Mass 478 (1878).

<sup>34</sup> *Gordley*, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 3, 236.

<sup>35</sup> *Dawson*, *Restitution without enrichment*, ზემოთ სქ. 4, 584.

<sup>36</sup> *Barnes v. Lozoff* 123 NW 2d 543 (1963); *Parrish v. Tahtaras* 318 P 2d 642 (1957); *Sterling v. Marshall* 54 A 2d 353 (DC 1947).

<sup>37</sup> *Fabian v. Wasatch Orchard Co.* 125 P 860 (Utah 1912).

<sup>38</sup> გერმანული სასამართლოც ნაწილობრივ დღემდე საპირისპირო აზრზეა, შდრ. BGHZ 37, 258; BGHZ 101, 399; BGH NJW 1993, 3196; BGH NJW 1997, 48; BGH NJW 2000, 72 და იქ მითითებული ლიტერატურა.



ბა.<sup>39</sup> ამიტომაც, ამერიკულ სასამართლოს *Dowling v. McKenny*-ში, თუ მოსარჩელისათვის მოთხოვნის მინიჭება სურდა (რაც ზოგადად ასევე გაუმართლებელი იყო, იხ. ზემოთ), უნდა მიენიჭებინა არა კონდიქციური, არამედ *negotiorum gestio*-დან მოთხოვნა და ისიც ორმოს ამოთხრისა და ქანდაკების მასალის ხარჯების ოდენობით და არა იმის მიხედვით, თუ რა ღირდა ბაზარზე შესაბამისი მომსახურება. *Fabian v. Wasatch Orchard Company*-ში ნაკლებსავარაუდოა, რომ *negotiorum gestio*-ს ინსტიტუტს საერთოდ რამის მოთხოვნა მიენიჭებინა ფაბიანისათვის, რადგან აქ მხოლოდ საქმიანობას, და ისიც არაპროფესიულს, ეხებოდა საქმე.

ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის არსებობს სახელშეკრულებო შეთანხმება, რომელიც შესრულდა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მეორე მხარემ ამით რაიმე ქონებრივი სარგებელი მიიღო. ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება შეათანხმონ ნებისმიერი, მათ შორის ქონებრივი ღირებულების არმქონე ან სულაც აბსურდული შესრულება – მაგალითად, ის, რომ ბჰაერში ახტეს და სამჯერ მძლავრად დაიყვიროს, რაშიც ა მას 1000 ლარს გადაუხდის. თუ ბმართლაც შეასრულებს ამას და გარიგება ნამდვილი იქნება, ა ვალდებულია მას ფული გადაუხადოს. თუმცა თუ ეს გარიგება ბათილი აღმოჩნდება, მაშინ ვერაფერი გაამართლებს იმას, რომ ბ-მ მიიღოს იგივე ან საერთოდ რაიმე ტიპის ანაზღაურება. *negotiorum gestio*-ს მეშვეობით არანამდვილი გარიგების შესრულების უკუქცევა პრობლემურია და, საბოლოო ჯამში, არასწორი. მაგრამ, თუ ანგლო-ამერიკული, სასამართლოები ამ გზას ადგანან, მაშინ, პირველ რიგში, აუცილებელია ამის ექსპლიციტური სახელდება (კონდიქციური პასუხისმგებლობისაგან გამიჯვნა) და გარდა ამისა, იმ ფაქტის გასიგრძეგანება, რომ ამ ინსტრუმენტის მეშვეობით ანაზღაურდება მხოლოდ ის, რაც შემსრულებელმა რეალურად გაიღო (საქმიანობის ღირებულების გამოკლებით) და არა ის, რაც მეორე მხარემ ამით მიიღო.<sup>40</sup> მაგალითად, თუ ჟურნალისტი შეუთანხმდება ცნობილ მწერალს მისი ფოტოს გადაღების სანაცვლოდ გარკვეული ანაზღაურების გადახდას და ამ გადაღების შემდეგ ეს გარიგება ბათილი აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოს გარკვეული ღირებულება გააჩნია, (მწერლის მხრიდან გაღებული დანახარჯების არარსებობის გამო) *negotiorum gestio*-დან მოთხოვნა გამორიცხულია. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტს საფუძვლად უდევს სრულებით საპირისპირო პრინციპი, ვიდრე უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს. დანახარჯების ანაზღაურება, რომელიც ენიჭება *gestio*-ს (შემსრულებელს), წარმოადგენს ჯილდოს მის მიერ ალტრუისტული მოტივებით სხვისი საქმისათვის ხელის მოკიდებისათვის და ქონების რეალურ გადადინებას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება. პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს ანგლო-ამერიკული დოქტრინა: „უმნიშვნელოა, გამდიდრდა თუ არა მიმღები, როდესაც მან ნებაყოფლობით გადაწყვიტა მიეღო მოსარჩელის რესურსები“<sup>41</sup>, წარმოადგენს რაღაც შუალედურ პრინციპს, რომელიც არ შეესაბამება არც კონდიქციურ და არც *negotiorum gestio*-დან<sup>42</sup> წარმომდგარ პასუხისმგებლობას. ამ დოგმატური აღრეულობის შედეგია ის, რომ ინგლისური სასამართლოს გადაწყვეტილება *Planche v Colburn*<sup>43</sup>, დღეს უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნაწილად არის მიჩნეული,<sup>44</sup> მიუხედავად იმისა, რომ აქ ნამდვილი გარიგების შესასრულებლად გაცემული სათანადო კომპენსაციას ეხებოდა საქმე.<sup>45</sup>

რე მხარემ ამით მიიღო.<sup>40</sup> მაგალითად, თუ ჟურნალისტი შეუთანხმდება ცნობილ მწერალს მისი ფოტოს გადაღების სანაცვლოდ გარკვეული ანაზღაურების გადახდას და ამ გადაღების შემდეგ ეს გარიგება ბათილი აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოს გარკვეული ღირებულება გააჩნია, (მწერლის მხრიდან გაღებული დანახარჯების არარსებობის გამო) *negotiorum gestio*-დან მოთხოვნა გამორიცხულია. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტს საფუძვლად უდევს სრულებით საპირისპირო პრინციპი, ვიდრე უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს. დანახარჯების ანაზღაურება, რომელიც ენიჭება *gestio*-ს (შემსრულებელს), წარმოადგენს ჯილდოს მის მიერ ალტრუისტული მოტივებით სხვისი საქმისათვის ხელის მოკიდებისათვის და ქონების რეალურ გადადინებას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება. პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს ანგლო-ამერიკული დოქტრინა: „უმნიშვნელოა, გამდიდრდა თუ არა მიმღები, როდესაც მან ნებაყოფლობით გადაწყვიტა მიეღო მოსარჩელის რესურსები“<sup>41</sup>, წარმოადგენს რაღაც შუალედურ პრინციპს, რომელიც არ შეესაბამება არც კონდიქციურ და არც *negotiorum gestio*-დან<sup>42</sup> წარმომდგარ პასუხისმგებლობას. ამ დოგმატური აღრეულობის შედეგია ის, რომ ინგლისური სასამართლოს გადაწყვეტილება *Planche v Colburn*<sup>43</sup>, დღეს უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნაწილად არის მიჩნეული,<sup>44</sup> მიუხედავად იმისა, რომ აქ ნამდვილი გარიგების შესასრულებლად გაცემული სათანადო კომპენსაციას ეხებოდა საქმე.<sup>45</sup>

<sup>40</sup> რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 33-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>41</sup> Gordley, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 3, 238.

<sup>42</sup> ამ უკანასკნელს არ შეესაბამება იმიტომ, რომ „რესურსების“ ქვეშ არ ახვავებს რეალურ ხარჯებსა და უსასყიდლოდ გასანევ საქმიანობას შორის. ნებისმიერ შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებთან დაკავშირებულ დისკუსიისას ამ ტიპის კეისებზე მითითება არასწორია.

<sup>43</sup> *Planche v Colburn* [1831] EWHC KB J56.

<sup>44</sup> Gordley, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 3, 238.

<sup>45</sup> გამომცემელმა შეუკვეთა მწერალს წიგნის დაწერა, რომლის დასრულებამდეც გადაიფიქრა მისი გამოქვეყნება. სასამართლომ გამომცემლობას დააკისრა გადახდის ვალდებულება.

<sup>39</sup> რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 29.

მოცემული ნაწილის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ არასწორია, უსაფუძვლო გამდიდრების, რომლის მიზანსაც უსაფუძვლოდ წანაცვლებული ქონებრივი სარგებლის კომპენსირება წარმოადგენს, დანახარჯების საკომპენსაციოდ გამოყენება.<sup>46</sup> მხოლოდ „შიშველი“ დანახარჯები, როგორც ასეთი, შესაძლებელია მხოლოდ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საგანს წარმოადგენდეს, თუმცა ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა მეორე მხარის ქონებისათვის შემატებული გათვალისწინება. ის, რომ ანგლო-ამერიკული სამართალი, მთელ რიგ შემთხვევებში, *negotiorum gestio*-დან წარმომდგარ მოთხოვნასა და კონდიქციურ მოთხოვნას ერთიანი „რესტიტუციული მოთხოვნის“ ქვეშ აერთიანებს, ამ პრობლემის გადაწყვეტა ვერ იქნება, რადგან ეს პრინციპულად ორი სხვადასხვა მოთხოვნაა. პრინციპი, რომ „შემკვეთი ატარებს რისკს, რომ მიღებული გამდიდრება მისთვის თავიდანვე არალირებული აღმოჩნდება“, საერთოდ შლის ზღვარს ნამდვილ და არანამდვილ ხელშეკრულებებს შორის. ხელშეკრულების არანამდვილობა ნიშნავს იმას, რომ მის ფარგლებში შეთანხმებული რეგულატორული რეჟიმი არ მოქმედებს<sup>47</sup> და რისკების გადანაწილებისათვის რომელიმე სხვა, არასახელშეკრულებო ინსტრუმენტზე უნდა მოხდეს მითითება.

### III. საპირისპირო რესტიტუციის შეუძლებლობა

ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების დარღვეული<sup>48</sup> უკუქცევა – როდესაც ორმხრი-

ვად შესრულებული არანამდვილი ხელშეკრულებიდან ერთი მხარე ვერ აბრუნებს მიღებულს – ცალკეა გამოსაყოფი უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი პასუხისმგებლობის ფარგლებში. ცალსახაა, რომ არანამდვილი, ორმხრივადმავალდებულებელი ხელშეკრულების უკუქცევა ვერ მოხდება ისე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების სხვა შემთხვევებისა (მათ შორის ვერც სხვა გარიგებების და თუნდაც არასინალაგმატური ხელშეკრულებების). აქედან გამომდინარე, გერმანულ და მისი გავლენით ქართულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში აღიარებულია სალდოს თეორია<sup>49</sup> (სკ-ის 979 IV მუხლი), რომელიც ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ორმხრივი (არანამდვილი) ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, მისი უკუქცევაც ასევე ორმხრივად უნდა მოხდეს – ურთიერთდაპირისპირებული კონდიქციური მოთხოვნები უნდა განხორციელდეს ერთმანეთზე დამოკიდებულად/ორიენტირებულად. მაგალითად, ა-მ მიიღო ბათილი ნასყიდობის საფუძველზე ნივთი, რომელიც მასთან განადგურდა. თუ მას ექნებოდა ნივთის განადგურებაზე, როგორც განმდიდრებაზე მითითების უფლება (სკ-ის 979 III მუხლი) და ამასთან შეინარჩუნებდა გადაცემული თანხის უკუმოთხოვნის შესაძლებლობას, შედეგად მივიღებდით იმას, რომ ერთი მხარე მიიღებდა ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ნივთი მასთან განადგურდა, ხოლო მეორე კი – არაფერს. ამ უსამართლო შედეგის თავიდან ასაცილებლად, გერმანულმა იურიდიულმა აზროვნებამ შეიმუშავა ე. წ. სალდოს თეორია, რომელიც უკვე საუკუნეზე მეტს ითვლის და უმრავი ვარიაცია თუ ალტერნატივა აქვს, თუმცა მისი მთავარი აზრი გამარტივებული სახით შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს: ორმხრივად შესრულებული არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევისას თითოეულ მხარეს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოითხოვოს გაცემული, თუ აბრუნებს მიღებულს

ლდებულება, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი დაუსრულებელი დარჩა.

<sup>46</sup> გარდა იმისა, რომ ეს წინააღმდეგობაში მოდის ამ ინსტიტუტის რესტრიქციული გამოყენების მიზანთან, რისკენაც იხრება ანგლო-ამერიკული დოქტრინა „გაუმართლებელი ფაქტორების“ ამომწურავი ტიპოლოგიის გზით, იხ. გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ინგლისში, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2020, 1-ლი და მომდევნო გვერდები.

<sup>47</sup> და არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს არანამდვილობა მეორე მხარის დაცვას ემსახურება, ანუ სწორედ იმიტომ არის ხელშეკრულება არანამდვილი, რომ მეორე მხარემ არ ატაროს ეს რისკი.

<sup>48</sup> იხ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, ზემოთ სქ. 1, 151-ე და მომდევნო გვერდები; რუსია-

შვილი/ვენატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 157-ე და მომდევნო გვერდები; რუსიაშვილი, სარეფორმო წინადადება, ზემოთ სქ. 1, 43-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>49</sup> შდრ. სალდოს თეორიასთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი ლიტერატურა.

და მხოლოდ იმ ფარგლებში აქვს უკუმოთხოვნის უფლება, რა ფარგლებშიც აბრუნებს.

ორმხრივი ხელშეკრულების უკუქცევა ასევე ანგლო-ამერიკულ ტრადიციაშიც ცალკე დისკუსიის საგნად არის ქცეული და გამიჯნულია კონდიქციური პასუხისმგებლობის სხვა შემთხვევებისაგან. ზოგადი წესის თანახმად, მოსარჩელემ, რომელსაც უნდა საკუთარი შესრულების დაბრუნება, უნდა დააბრუნოს ასევე მიღებული. მიმღების პასუხისმგებლობა დამოკიდებულია.<sup>50</sup> გამდიდრების არსებობაზე დაბრუნების მომენტიდან და კონდიქციის კრედიტორის მიერ მიღებული შესრულების დაბრუნებაზე. მოცემული დათქმა საკმაოდ არათანმიმდევრულად ჯდება კონდიქციური პასუხისმგებლობის სისტემატიკაში – თუ გამდიდრება არაცვალებადი სიკეთეა (იხ. დასაწყისში), მაშინ რა აზრი აქვს ამ არაცვალებადობას, თუ ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობისას, ის საერთოდ ვერ ბრუნდება. ანუ, შესრულების კონდიქციის მოვალე შეიძლება ჯერ კიდევ გამდიდრებული იყოს ორმხრივი ხელშეკრულებიდან, მაგრამ, იმის გამო, რომ კრედიტორი ვერ აბრუნებს მიღებულს ნატურით, ერთმევა გაცემულის დაბრუნების უფლებაც და გამოირიცხება ყოველგვარი უკუქცევა.

ინგლისური და გერმანული სამართალი თანხმდება იმასთან დაკავშირებით, რომ გაცემულის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ მიღებულის დაბრუნების პირობით, თუმცა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საპირისპირო რესტიტუციის ფორმის მიხედვით.<sup>51</sup> გერმანიაში საპირისპირო შესრულების შეუძლებლობისას დასაშვებია მისი გადაანგარიშება ფულად (ღირებულების ანაზღაურების) ვალდებულებად. ინგლისში უნდა დაბრუნდეს ზუსტად ის ნივთი, რომელიც გასცა შემსრულებელმა. თუმცა, ამასთან, თუ ქონება კიდევ არსებობს, მიუხედავად ნაწილობრივი გაუფასურების, განადგურებისა და ა. შ., საპირისპირო შესრულების მოთხოვნა ძალაშია, მიუხედავად იმისა, რომ არაკეთილსი-

ნდისიერი მოვალეც კი არ არის ვალდებული გადაიხადოს შემცირებული ღირებულებისათვის ფულადი კომპენსაცია. შესრულების მოთხოვნა გამორიცხულია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც საპირისპირო შესრულების დაბრუნება შემდგომში გახდა შეუძლებელი, იმის გამო, რომ ეს საპირისპირო შესრულება გამოყენების შედეგად გაილია, განადგურდა ან მესამე პირზე გასხვისდა.<sup>52</sup> მაგალითად, მოსარჩელემ იყიდა მოპასუხისაგან კომანდიტური საზოგადოება, რომელიც გადააკეთა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად<sup>53</sup> ან მოსარჩელემ შეიძინა მალარო და აპირებდა მის უკან დაბრუნებას მარაგის ამონურვის შემდეგ.<sup>54</sup> ამ პრიციპიდანვე გამომდინარეობს ის გადანყვეტა, რომ ინგლისში დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ საპირისპირო შესრულების დაბრუნება თავიდანვე შეუძლებელი იყო, მაგალითად, იმიტომ, რომ ეს შესრულება მდგომარეობდა მომსახურებაში: მოსარჩელემ იკისრა რკინიგზის გაყვანა, თუმცა ეს მისი მცდარი წარმოდგენით იყო განპირობებული. მოსარჩელის მოთხოვნა გარიგების გაუქმებასთან დაკავშირებით და განუელი მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც გარიგებით შეთანხმებულ ანაზღაურებას აღემატებოდა, არ დაკმაყოფილდა, რადგან ამ მომსახურების რესტიტუცია შეუძლებელი იყო.<sup>55</sup> *Clarke v Dickson*-ში<sup>56</sup> მოსარჩელემ მოპასუხისაგან შეიძინა წილი მის სამთო კომპანიაში (*The Welsh Potosi Lead and Copper Mining Company*). წილის შეძენა განაპირობა მოპასუხის მიერ გაკეთებულმა სამმა განცხადებამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. 1857 წელს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა ძალზე მცირე თანხა და ის საბოლოოდ გაუქმდა შესაბამისი კანონის საფუძველზე. მოგვიანებით კი, მოსარჩელემ აღმოაჩინა, რომ ეს განცხადებები, კომპანიის მოგების მომტან პრაქტიკასთან დაკავშირებით, იყო არასწორი და მისი შეცდომაში შეყვანისკენ მიმართული. მან სასამა-

<sup>50</sup> *M. Chen-Wishart*, In defence of unjust factors: a study of rescission for duress, fraud and exploitation, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, 174.  
<sup>51</sup> *Chen-Wishart*, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 52, 175.

<sup>52</sup> *White v. Garden* (1851) 10 CB 919.  
<sup>53</sup> *Clarke v Dickson* (1858) EB & E 148.  
<sup>54</sup> *Vigers v. Pike* (1842) 8 Cl & F 562.  
<sup>55</sup> *Boyd & Forrest v. Glasgow & South Western Railway Co.* 1915 SC (HL) 20.  
<sup>56</sup> *Clarke v Dickson* (1858) EB & E 148.

რთლოს გზით მოითხოვა წილების უკან დაბრუნება. მოსამართლე კრომპტონმა ხელშეკრულების ბათილად ცნობა შეუძლებლად მიიჩნია, რადგან კომპანიის წილს უკვე დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ფასი. „მაშინ, როდესაც ერთ მხარეს უნდა გარიგების არანამდვილობაზე მითითება, ... მას უნდა ჰქონდეს საშუალება მიღებული თავდაპირველ [გარიგების დადებამდე არსებულ] მდგომარეობაში დაბრუნებისა ... მაშინ რა იყიდა მან? წილი კომპანიაში, რომელსაც ის ფლობდა სხვებთან ერთად. მას არ შეუძლია მისი დაბრუნება ... ამ კაზუსის კონტექსტში არგუმენტად მინდა მოვიყვანო ყასბის შემთხვევა, რომელიც ყიდულობს ცოცხალ პირუტყვს, კლავს მას და ყიდის ხორცს თავის კლიენტებზე. თუ სამართალი მოგვცემდა იმის საშუალებას, რომ, როგორც მოსარჩელე მოითხოვს, ყასაბს ჰქონოდა უფლება, ფერმერის მიერ მისი მოტყუების აღმოჩენის შემთხვევაში, მოეთხოვა გარიგების ბათილობა და უკან გამოეთხოვა მთლიანი ფასი: რა სამართლიანობა იქნებოდა ეს?“ მოსამართლე ერლმა და კემბელმა აღნიშნული მსჯელობა გაიზიარეს. ანუ მოსარჩელეს, რომელმაც იყიდა კომპანია, რომლის რეალური შემოსავალი იყო გაცილებით ნაკლები, უარი ეთქვა საერთოდ რამის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ დაბრუნების მომენტისათვის ეს კომპანია საერთოდ აღარ არსებობდა. ეს გადანწყვეტა გერმანული სალდოს თეორიის შებრუნებული ვარიანტია: იმის გამო, რომ ერთი მხარე (ნატურით) ვერ აბრუნებს მიღებულს, გამოირიცხება არა მხოლოდ მის მიერ გაცემულის ცალმხრივად უკუმოთხოვნა, არამედ საერთოდ ხელშეკრულების უკუქცევა. ამასთან, ორივე გადანწყვეტას საფუძვლად უდევს ის საერთო მოსაზრება რომ ორმხრივად შესრულებული გარიგება არ შეიძლება უკუქცეს ცალმხრივად. თუმცა გერმანელები ვერ ხედავენ პრობლემას ნატურით დაბრუნების ვალდებულების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებად გადაანგარიშებაში და, ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის მიუხედავად, ხელშეკრულების მაინც ორმხრივად უკუქცევაში.

გარდა ამისა, ინგლისური სასამართლოს, ერთი შეხედვით, საკმაოდ გაუგებარი დასაბუ-

თება, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ უკან დაბრუნების შეუძლებლობამ გადაფაროს მოტყუების შედეგები, რეალურად სწორ პლასტს აშიშვლებს (თუმცა საბოლოო ჯამში არასწორად წყვეტს მას) – კონდიქციურ მოთხოვნას გამორიცხავს არა ნატურით დაბრუნების შეუძლებლობა, რომელიც შეიძლება გადაანგარიშდეს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნაში (და გაუგებარია, თუ რატომ არ დგამს ინგლისური დოქტრინა ამ ნაბიჯს), არამედ ის, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ეს ღირებულება, როდესაც გამყიდველმა, მაგალითად, მოატყუა მყიდველი ნივთის ფასთან დაკავშირებით, ან როგორც ჩვენს შემთხვევაში, კომპანიის წილს ჰქონდა გაცილებით ნაკლები ღირებულება. ამ პრობლემის გადაჭრისათვის, დასაშვებია გერმანული სასამართლოს პრაქტიკიდან ორ, სამართლებრივად იდენტურ, კონსტელაციებზე მითითება. პირველ შემთხვევაში<sup>57</sup> საქმე ეხებოდა კომპანიის ნასყიდობას. მოპასუხის მიერ ხელმოწერილ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მის ერთ-ერთ პირობად მითითებული იყო, რომ „გარანტირებულია მანქანის უნაკლო ფუნქციონირება“. კომპანიი გადაცემის შემდეგ მალევე გამოვიდა მწყობრიდან. მოგვიანებით კი მოსარჩელემ ნასყიდობა ცნო ბათილად იმ მოტივით, რომ მოპასუხემ ის მოატყუა მანქანის მდგომარეობასთან დაკავშირებით. ალტერნატივის სახით, მან განაცხადა ნასყიდობიდან გასვლა. პროცესის მიმდინარეობისას მოსარჩელემ საკუთარი შეცდება დააფუძნა ასევე იმ გარემოებას, რომ მოპასუხემ ის მოატყუა ნასყიდობის საგნის გამოშვების თარიღთან დაკავშირებით, სინამდვილეში ის იყო არა სამი, არამედ ცხრა წლის წინ გამოშვებული. მოცემულ შემთხვევაში გერმანულმა სასამართლომ დაადგინა (რაც ზოგადად შეესატყვისებოდა უკვე მანამდე არსებულ პრაქტიკას), რომ ნივთის განადგურების შემთხვევაში, როდესაც ეს მისი ნაკლითაა განპირობებული, სალდოს თეორიის გამოყენებაზე უარი უნდა ითქვას „ორი კონდიქციის თეორიის“ სასარგებლოდ,<sup>58</sup> რომლის მიხედვითაც პირს შეუძლია მოითხოვოს საკუთა-

<sup>57</sup> BGH, 09.10.1980 - VII ZR 332/79.

<sup>58</sup> რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, ზემოთ სქ. 1, 152.

რი შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ ვერ აბრუნებს მიღებულს. ამ გადაწყვეტის გასამყარებლად შეიძლება მითითება, როგორც გასვლისმიერ რესტიტუციასთან პარალელზე,<sup>59</sup> ასევე გამყიდველის არაკეთილსინდისიერებაზე, როგორც მისი გამკაცრებული პასუხისგების წინაპირობაზე. გამკაცრებული პასუხისმგებლობისას მოპასუხეს, რომლის მიზეზითაც იყო ხელშეკრულება არანამდვილი და რომელმაც იცოდა ამის შესახებ, მოუწევდა მიღებულის ღირებულების ანაზღაურება, მიუხედავად გამდიდრების არსებობა-არარსებობისა. მისი ეს არაკეთილსინდისიერება მოქმედებს პირიქითაც – მოცემულ სიტუაციაში დგება ზემოთ აღწერილის შებრუნებული შედეგი. მას უწევს მიღებულის დაბრუნება ისე, რომ ვერ იბრუნებს გაცემულს, რაც ამერიკულ გადაწყვეტასთან შედარებით ცალსახად უფრო გამართლებულია.

მეორე შემთხვევაში<sup>60</sup>, მხარეებმა დადეს მერსედესის მარკის მეორადი ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ტაქომეტრის მონაცემები მოპასუხე-გამყიდველმა მანქანის გადაცემამდე ჩამოყარა და მოატყუა ამის შესახებ მოპასუხე. მანქანის მიწოდების შემდეგ, მალევე, მოსარჩელემ ის ავტომანქანა მოძრაობისას მძიმედ დააზიანა, რის შემდეგაც მან გაიგო მოტყუების შესახებ და განაცხადა შეცილება. სარჩელით ის უკან ითხოვდა გადაცემულ ფულსა და ფასის ანგარიშში ჩათვლილ ნივთობრივ შესრულებას (სხვა მეორადი მანქანის გადაცემას).<sup>61</sup> გერმანულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მყიდველს, რომელიც ნასყიდობას საცილოდ ხდის მოტყუების გამო (რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი), შეუძლია უკან მოითხოვოს ნასყიდობის ფასი, მაშინაც კი, როდესაც ნასყიდობის საგანი მასთან განადგურდა ან დაზიანდა და მისი დაბრუნება გამყიდველისათვის შეუძლებელია ან მხოლოდ გაუფასურებულ მდგომარეობაშია შესაძლებელი. ამგვარად, გერმანული სასამართლო **Clarke v**

**Dickson**-ის მსგავს შემთხვევებში მიდის სრულებით საპირისპირო გადაწყვეტამდე, მიუხედავად იმისა, რომ როგორც გერმანულ, ისე ანგლო-ამერიკულ გადაწყვეტას იდენტური პრობლემის გაცნობიერება უდევს საფუძვლად. მაგრამ ინგლისური სასამართლო ორმხრივი გარიგების ცალმხრივად უკუქცევის აღკვეთის მიზნით, საერთოდ უარყოფს მისი უკუქცევის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც გერმანული, ნატურით დაბრუნების ვალდებულების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებად გარდაქმნის გზით, მარტივად აღწევს გამართლებულ და ელასტიურ შედეგს – ზოგადად მოქმედებს სალდოს თეორია (ორმხრივი რესტიტუცია), თუმცა, თუ ერთი მხარე (მაგ. მისი მხრიდან მოტყუების გამო) არ იმსახურებს დაცვას, დასაშვებია ცალმხრივი უკუმოთხოვნა.<sup>62</sup>

ანგლო-ამერიკული დოქტრინა, საბოლოო ჯამში, თავადაც აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მის მიერ არჩეული გადაწყვეტა ხისტი და არასწორ შედეგებამდე მიმყვანია, რის გამოც ცდილობს **Clarke v Dickson**-ში ჩამოყალიბებული პრინციპის ამა თუ იმ ფორმით შერბილებას. მაგალითად, რესტიტუცია შესაძლებელია, თუ ქონება კიდევ არსებობს, მიუხედავად ნაწილობრივი გაუფასურებისა (**Spence v Crawford**): მოპასუხემ შეგნებულად შეიყვანა მოსარჩელე შეცდომაში კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით – არასწორად წარმოაჩინა კომპანიის საქმეები და აიძულა ამით კუთვნილი წილის მიყიდვა. რამდენიმე წლის შემდეგ მოსარჩელე შეეცადა გაყიდული წილის დაბრუნებას. მოპასუხე უთითებდა დამატებითი სარგებლის რესტიტუციის შეუძლებლობაზე; მან მოსარჩელის მაგივრად იკისრა თავდებობა ბანკის მიმართ და გაყიდა საკუთარი აქციები, საიდანაც მიღებული თანხა გაასესხა, რათა ამგვარად უზრუნველყო კომპანიის ლი-

<sup>59</sup> შდრ. *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 173.  
<sup>60</sup> BGH, Urt. v. 8. Januar 1970, VII ZR 130/68.  
<sup>61</sup> შდრ. *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 173.

<sup>62</sup> მიუხედავად იმისა, რომ გერმანული სასამართლოს ეს კონკრეტული გადაწყვეტილება გაკრიტიკებულია იმ არგუმენტით, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო აუცილებელი სალდოს თეორიიდან გამონაკლისის დაშვება, რადგან ტაქომეტრის ჩამოყარას არაფერი საერთო არ ჰქონდა მოგვიანებით მანქანის დამტვრევასთან, იხ. *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, ზემოთ სქ. 1, 172.

კვიდურობა.<sup>63</sup> სასამართლომ მაინც დაუშვა საპირისპირო შესრულების ფულადი ღირებულების დაბრუნება. რაც შეეხება გაყიდულ აქციებს, მოსარჩელე მზად აღმოჩნდა გადაეხადა მათი ფასი გაზრდილი საბაზრო ღირებულების შესაბამისად. ამით სასამართლომ, საბოლოო ჯამში, დაუშვა საპირისპირო შესრულების ფულადი ღირებულების დაბრუნება, რაც მოსარჩელისათვის არახელსაყრელი იყო, თუმცა ამაზე ნებაყოფლობით გამოთქვა თანხმობა. გერმანიასა და საქართველოში ბანკის მიმართ თავდებობა და აქციების გაყიდვა იქნებოდა დანახარჯები, რომლის ანაზღაურებასაც არაკეთილსინდისიერი მიმღები ვერ მიიღებდა (სკ-ის 984 I, 981).<sup>64</sup> საპირისპირო რესტიტუციის შეუძლებლობასთან ერთად კონდიქციური მოთხოვნის გამორიცხვის წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს ინგლისური სასამართლო ასევე *Erlanger v New Sombrero Phosphate Co*-ს გადაწყვეტილებაში<sup>65</sup> და ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობისას ამ ვალდებულებას ფულადი ვალდებულებით ანაცვლებს. ასევე *Smith New Court Securities Ltd v Scrimgeour Vickers*-ის შემთხვევაშიც, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია გვაროვნული ვალდებულების ჩანაცვლება და კრედიტორისათვის იმავე ღირებულების, იმავე გვაროვნული ნივთის შეთავაზება, მაგ., წილი საჯარო კომპანიაში. მართალია, ეს მოსაზრება გაკრიტიკებულია იმ არგუმენტით, რომ მოსარჩელემ შეიძლება ძვირად გასხვისებული წილი უფრო იაფად შეიძინოს,<sup>66</sup> თუმცა ამ კრიტიკის საპასუხოდ მართებულად არის მითითებული იმ გარემოებაზე, რომ ეს არასავალდებულო გართულება თავიდან შეიძლება იქნეს აცილებული იმგვარად, რომ საპირისპირო რესტიტუცია მთლიანად ფულში გადაანგარიშდეს,<sup>67</sup> ზუსტად ისე, როგორც ეს გერმანულ სამართალში ხდება.

<sup>63</sup> *Spence v. Crawford* [1939] 3 All ER 271.

<sup>64</sup> რუსიაშვილი, სარეფორმო წინადადება, ზემოთ სქ. 1, 83.

<sup>65</sup> *Erlanger v. New Sombrero Phosphate Co.* (1878) 3 App Cas 1218.

<sup>66</sup> *E. McKendrick*, Total Failure of Consideration and Counter-restitution: Two Issues or One? in: Peter Birks (ed.), *Laundry and Tracing*, Oxford 1995, 233.

<sup>67</sup> *Chen-Wishart*, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 52, 176 სქ. 70.

ამგვარად, საპირისპირო რესტიტუციის შეუძლებლობის შემთხვევებში ზოგადად გამორიცხულია ხელშეკრულების უკუქცევა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს შედეგი ძირითადად გაუმართლებელია ხოლმე, გამონაკლისის სახით, ანგლო-ამერიკული სამართალი უშვებს ვალდებულების ფულში გადაანგარიშებას, მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც გარიგების საგნის იდენტობა არ იცვლება. ყველაზე მეტად მომტყუებლის მიმართ არის შესაძლებელი ფულში გადაანგარიშების დაშვება (*Spence v Crawford*).<sup>68</sup>

### შეჯამება

ანგლო-ამერიკული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი საკმაოდ უცნაურად წყვეტს კონდიქციური მოთხოვნის ფარგლების საკითხს. საგამონაკლისო შემთხვევების განზოგადების გზით, კერძოდ, ნაწილობრივ იმ კონსტელაციებზე სწორად მითითებით, როდესაც კონდიქციის მოვალემ გამდიდრებისგან დამოუკიდებლად უნდა აგოს პასუხი, საბოლოო შედეგის სახით მიდის განმდიდრების შეუძლებლობის აღიარებამდე. პირველ რიგში, ამ მართლწესრიგში არ ხდება რა, „რაიმეს“ მოპოვებისა (როგორც კონდიქციური პასუხისმგებლობის ამოსავალი წინაპირობისა) და ამ „რაიმედან“ მიმღების ქონებაში დაღეჩილი ქონებრივი სალდოს – გამდიდრების – სიბრტყეებს შორის გამიჯვნა, შეუძლებელი ხდება კონდიქციური სამართლის გამართული დოგმატიკის აგება. თუმცა ეს გადაწყვეტა პრობლემურია არა მხოლოდ შედეგის მხრივ, არამედ, პირველ რიგში, იმ მეთოდოლოგიის კუთხით, რომლითაც ის საბუთდება. განმდიდრების შეუძლებლობის გასამყარებლად მოყვანილი შემთხვევების უმეტესი ნაწილი განეკუთვნება ან დელიქტურ სამართალს, ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის პრობლემატიკას. ამ, სხვადასხვა ინსტიტუტების წინაპირობებისა და სამართლებრივი შედეგების ერთმანეთში აღრევა იწვევს იმას, რომ კონდიქციური მოთხოვნა გა-

<sup>68</sup> *Chen-Wishart*, in: Johnston/Zimmermann (eds) *Unjustified Enrichment*, ზემოთ სქ. 52, 176.

დაიქცევა ზიანის ანაზღაურების ინსტრუმენტად, ზიანის არსებობის წინაპირობების გარეშე და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნად, ამ დანახარჯების რეალურად განწევის წინაპირობის გარეშე. ის უამრავი

გამონაკლისი და გამონაკლისიდან გამონაკლისი, რომელზეც უთითებს ანგლო-ამერიკული სამართალი საპირისპირო რესტიტუციის შეუძლებლობის შემთხვევებში, კიდევ ერთხელ ამტკიცებს გერმანული სალდოს თეორიის მართებულობას.

## სკ-ის 300 I მუხლის შედეგები უძრავ ნივთში არსებულ მოძრავ ნივთებთან მიმართებაში

სკ-ის მე-300 მუხლი, როგორც საგამონაკლისო შემთხვევა *lex commissoria*-ს აკრძალვიდან,<sup>1</sup> უშვებს იპოთეკარის დაკმაყოფილებას მის მიერ იპოთეკის საგანზე საკუთრების მოპოვებით. თუმცა იგივე დანაწესი არ ანესრიგებს უძრავ ნივთში მოთავსებული მოძრავი ნივთების სამართლებრივ ბედს. მათი სამართლებრივი ბედი დამოკიდებულია ნივთების იპოთეკის საგანთან მიმართებასა და მოვალის საკუთრების მიტოვების ნების არსებობაზე.

### I. მოთავსებული მოძრავი ნივთების ბუნება

გამომდინარე იქიდან, რომ ვალდებულების შესრულების გაჭიანურების შემდეგ სკ-ის 300 I მუხლით განსაზღვრული შეთანხმების მიზანი კრედიტორის დაკმაყოფილებაა და, ნორმის მიხედვით, მისი საგანი მხოლოდ დატვირთული ნივთია, ის არ მოიცავს უძრავ ნივთში მოთავსებულ მოძრავ ნივთებს. იპოთეკის მასად მოიაზრება უძრავი ნივთი მისი არსებითი თუ არა-არსებითი<sup>2</sup> შემადგენელი ნაწილებით.<sup>3</sup> დასატვირთ ნივთზე იპოთეკის დადგენით, თუკი სხვა რაიმე განსაზღვრული არ არის, იპოთეკა ვრცელდება საკუთვნივთებზეც, რაც მისი მთავარ ნივთთან ეკონომიკური ერთიანობის შენარჩუნების პრინციპს ემსახურება.<sup>4</sup> საკუთვნივთები, რომელიც იპოთეკის დადგენამდე სხვისი

საკუთრება გახდა, იპოთეკის მასაში არ ექცევა.<sup>5</sup> საპირისპიროდ წყდება იმ საკუთვნივთების ბედი, რომელიც, მართალია, თავიდანვე სხვისი ნივთი იყო, თუმცა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მასზე მოლოდინის უფლება აქვს.<sup>6</sup>

ისეთ შემთხვევებში, როდესაც უძრავ ნივთში დარჩენილი მოძრავი ნივთები ვერ მიიჩნევა მის შემადგენელ ნაწილებად ან საკუთვნივთებად, იპოთეკით იტვირთება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ნივთი, შესაბამისად, სკ-ის 300-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორი საკუთრებაში მხოლოდ მას იღებს.

### II. მოძრავი ნივთების მესაკუთრის ვინაობის დადგენის ვალდებულება

სკ-ის მე-300 მუხლით გადაცემულ უძრავ ნივთში მოთავსებული მოძრავი ნივთების კონკრეტული პირისადმი კუთვნილება უნდა გადამწყდეს სანივთოსამართლებრივი პრეზუმციების გამოყენებით. საკუთრება განსაზღვრულ სივრცეზე (მაგალითად, ბინაზე) ვრცელდება მასში მოთავსებულ საგნებზეც. ამდენად, სკ-ის მე-300 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებამდე იპოთეკით დატვირთული საგანში არსებულ იპოთეკით დაუტვირთავი ნივთები მიეკუთვნება თავდაპირველ მესაკუთრეს. ამ ვარაუდის გამაქარწყლებელი გარემოებების მოკვლევა იპოთეკარს<sup>7</sup> არ ევალება - ამ ვალდებულების მისთვის დაკისრება აზრს უკარგავს საკუთრების პრეზუმციის არსებო-

<sup>1</sup> *Lieder*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 8. Aufl. 2020, § 1149 Rn. 1-2; გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, II ტომი, თბილისი, 2018, 300-ე მუხლი, ველი 1.

<sup>2</sup> არაარსებით შემადგენელ ნაწილზე დამოუკიდებელი უფლების არსებობის შესაძლებლობის მიუხედავად, *Stresemann*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 8. Aufl. 2018, &93 Rn. 32.

<sup>3</sup> *Lieder*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 8. Aufl. 2020, § 1120 Rn. 11.

<sup>4</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, II ტომი, თბილისი, 2018, 293-ე მუხლი, ველი 5.

<sup>5</sup> *Lieder*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 8. Aufl. 2020, § 1120 Rn. 25.

<sup>6</sup> *BeckOK BGB, Bamberger/Roth/Hau/Poseck* 53. Edition, § 1120 Rn. 8.

<sup>7</sup> აქ და შემდგომ უძრავი ნივთის საკუთრებაში მიმდები იპოთეკარად, ხოლო საკუთრების გადამცემი მოვალედ იწოდება მხოლოდ პირობითად, რადგან იპოთეკარის დაკმაყოფილების შემდეგ მოთხოვნის უზრუნველყოფი იპოთეკა წყდება.



ბას, რომლის დანიშნულებაც მოძრავ ნივთებთან მიმართებაში უფლების საჯაროობის პრინციპის განხორციელებაა.<sup>8</sup> მოძრავი ნივთის მესაკუთრის ვინაობის მოკვლევის ვალდებულება არ ეკისრება დაკარგული ნივთის მპოვნელსაც კი,<sup>9</sup> რომელსაც კანონმდებლობა ვარაუდებით მოქმედების არავითარ შესაძლებლობას არ ანიჭებს, არამედ პირდაპირ პოლიციისა და ადგილობრივი ორგანოსკენ ამისამართებს. პირს, რომელსაც საკუთრებაში გადმოეცემა უძრავი ნივთი, აქვს პრივილეგია, ივარაუდოს, რომ ამ ნივთში მოთავსებული საგნები უძრავი ნივთის თავდაპირველ მესაკუთრეს ეკუთვნის. ამ არგუმენტაციას ამყარებს კანონმდებლის მიდგომა აღმასრულებლის ქმედებების დეტალურად განერისას: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40 VI მუხლის მიხედვით, მოძრავი ქონების დაყადაღებისას მისი აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ქონების ამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მასზე უფლების განმცხადებელი მესამე პირი წარმოადგენს საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს და კრედიტორი გასცემს თანხმობას. აქედან გამომდინარე, კანონმდებლის პოზიციით, აღმასრულებელი ვარაუდობს, რომ მოძრავი ნივთები, რომელსაც ის პოულობს მოვალის ბინაში (დასახელებული ნორმა მოიცავს ამ შემადგენლობასაც) მასვე ეკუთვნის, ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ვალდებულება სახელმწიფოს იძულებითი აპარატის წარმომადგენელსაც კი არ აწევს. მით უფრო, ეს ვერ მოეთხოვება კერძო პირს, რომელსაც საჯარო ხელისუფლებასთან შედარებით ამისი დადგენის გაცილებით ნაკლები რესურსი აქვს.

**III. Post contractum finitum**

ხელშეკრულების დასრულების შემდგომ წარმოშობილი ვალდებულებების (post contractum finitum) ძალით,<sup>10</sup> იპოთეკარი ვალდებულია, იპოთეკის მოვალეს დაპატრონებულ უძრავ ნი-

ვთში დარჩენილი მოძრავი ნივთების წაღება შესთავაზოს. ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე ცალსახა უარი დერელიქციაა, რის შედეგადაც, იპოთეკარი მოძრავ ნივთებზე საკუთრებას მოიპოვებს სკ-ის 190 I მუხლის მიხედვით.

ერთი შეხედვით, პრობლემური შეიძლება იყოს ყველა ის შემთხვევა, როდესაც საკუთრების მიტოვების ნება რეალურად არ არსებობს, თუმცა შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე ნებისმიერი ობიექტური პირი ივარაუდებდა, რომ მესაკუთრეს ნივთებისადმი არანაირი ინტერესი აღარ აქვს და მათ მოკითხვას აღარ აპირებს. იქიდან გამომდინარე, რომ დერელიქცია არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, მისი განმარტება ნებისმიერი სხვა (მაგალითად, მიმღების - ასეთი პირი უბრალოდ არ არსებობს) თვალსაწიერიდან, გარდა მისი გამომვლენის რეალური ნების მხედველობაში მიღებისა, დაუშვებელია.<sup>11</sup> აღნიშნული ხელს არ უშლის საკუთრების ხანდაზმულობით შეძენას, სკ-ის 165 I მუხლის მიხედვით. ამის მიუხედავად, იპოთეკარის ინტერესები დაცული უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც მას არ ევალებოდა მესაკუთრის ნამდვილი ნების დადგენა, რის გამოც მოძრავი ნივთების ბედისადმი მესაკუთრის ნეიტრალური დამოკიდებულება უნდა შეფასდეს მათი ჩუქებისადმი მიმართული ნების კონკლუდენტურ გამოვლენად, რაც მიმღების თვალსაწიერიდან განიმარტება. ამდენად, ასეთ შემთხვევაში იპოთეკარი ნივთებზე საკუთრებას მოიპოვებს სკ-ის 186 I მუხლის საფუძველზე.

თუკი იპოთეკის მოვალეს საკუთრება არ მიუტოვებია, იპოთეკარი შებოჭილია, მას მოძრავი ნივთების ადგილმდებარეობის შესახებ შეატყობინოს და მათი გატანა შესთავაზოს. თუკი უძრავი ნივთის მესაკუთრეს რაიმე მიზეზით ვერ მოეთხოვება თავის საკუთრებაში მოძრავი ნივთების განთავსების თმენა ან დგება სკ-ის 434 I მუხლის წინაპირობები, ის უფლებამოსილია, შესრულებისგან დეპონირებით გათავისუფლდეს.

იპოთეკარი არაა ვალდებული, მესამე პირთა მოთხოვნების საფუძველიანობა უძრავი ნივთის

<sup>8</sup> ზარანდია, სანივთო სამართლის საფუძვლები, ქონება, მფლობელობა, საკუთრება, თბილისი, 2016, 49.  
<sup>9</sup> თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, II ტომი, თბილისი, 2018, 191-ე მუხლი, ველი 10.  
<sup>10</sup> Bachmann, in Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl. 2019, § 241, Rn. 109.

<sup>11</sup> Oechsler, in Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl. 2020, § 959 Rn. 6.

თავდაპირველ მესაკუთრესთან არკვიოს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელს ნივთები არ მიაქვს.<sup>12</sup> ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებები პირს ზედმეტად არ უნდა ტვირთავდეს, რადგან მას გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების შედეგად ვალდებულებისგან თავისუფალი იყოს.<sup>13</sup> აქედან გამომდინარე, იპოთეკარი გამორიცხულია მესამე პირთა და უძრავი ნივთის თავდაპირველ მესაკუთრეს შორის წარმოშობილი ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნებიდან. გამონაკლისად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი გარემოებები, როდესაც პირის პრეტენზია იმდენად უსაფუძვლოა, რომ მისთვის ნივთის გადაცემა ვერ პასუხობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის წინდახედულობის მინიმალურ მოთხოვნებს.

#### IV. მოძრავი ნივთების განადგურება

თუკი იპოთეკარმა გაანადგურა მოძრავი ნივთები, რომლებიც მესამე პირის აღმოჩნდა, დელიქტური პასუხისმგებლობა არ დგება ზიანის გამომწვევი ქმედების არაბრალეულობის გამო. ნივთები განზრახ განადგურებულად ვერ მიიჩნევა იმიტომ, რომ ბრალის ეს ფორმა

აუცილებლად უნდა მოიცავდეს მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებასაც.<sup>14</sup> მოცემულ გარემოებებში ეს სახეზე იქნებოდა იმ შემთხვევისთვის, თუ უძრავი ნივთის მესაკუთრეს ეცოდინებოდა, რომ დატოვებული ნივთები მესამე პირთა საკუთრებაა.<sup>15</sup> ნივთების გამნადგურების ქმედება არც გაუფრთხილებლად უნდა შეფასდეს, რისთვისაც აუცილებელია, მას სიფრთხილის ვალდებულება ეკისრებოდეს. ამის საწინააღმდეგოდ, მას არ ევალება ნივთების მესაკუთრეების ვინაობის მოკვლევა და ეძლევა უფლება, ივარაუდოს, რომ ისინი უძრავი ნივთის თავდაპირველი მესაკუთრისაა. ამდენად, თუკი იპოთეკარმა უძრავ ნივთში დარჩენილი მოძრავი ნივთები გაანადგურა, დელიქტური პასუხისმგებლობა გამოირიცხება.

შედეგი უცვლელია იმ შემთხვევისთვისაც, როდესაც ვარაუდი გამართლდება და ნივთების მესაკუთრე მოვალე აღმოჩნდება. ნივთების ბედისადმი ინტერესის არარსებობა ჩუქებისკენ მიმართული ნების კონკლუდენტური გამოვლენაა, რომელიც მიმღების პოზიციიდან განიმარტება (იხ. ზემოთ) და განადგურებისას მართლწინააღმდეგობის შეცნობის ელემენტს გამოირიცხავს. შესაბამისად, ასეთ მოცემულობაშიც იპოთეკარის ქმედება არაბრალეულია.

ნინო ქავშაია

<sup>12</sup> თუ მოთხოვნას აყენებს როგორც იპოთეკის მოვალე, ისე მესამე პირი, იპოთეკარმა ზემოთ აღწერილი ვარაუდით უნდა იხელმძღვანელოს და ნივთები უძრავი ქონების თავდაპირველ მესაკუთრეს გადასცეს.

<sup>13</sup> *Bachmann*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 8. Aufl. 2019, § 241, Rn. 109.

<sup>14</sup> *რუსიაშვილი/ვენატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 205-206.

<sup>15</sup> თუკი მესამე პირმა მანამდე მოითხოვა ნივთების გადმოცემა, იპოთეკარისთვის მისი საკუთრების შესახებ ცნობილია, ამდენად, შემდგომი მსჯელობა არააქტუალურია და პასუხისმგებლობა დგება სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით.

# სასამართლო პრაქტიკა

▶ 1 – 4/2020

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა/დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის მექანიზმთა განსაზღვრა

სკ-ის 54, 409, 411, 318-ე მუხლები  
სშკ-ის 1 II, 44, 32, 37 I ზ), თ) და 38-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინება № ას-1122-1042-2017

1. თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მხრიდან შინაგანანესის დარღვევაზე აპელირებს, მანვე უნდა ამტკიცოს, რომ დამსაქმებელს შინაგანანესი გააცნო, დასაქმებულის უფლება-მოვალეობების „განჭვრეტადობის“ პრინციპზე დაყრდნობით.

2. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერების მტკიცების თვალსაზრისით, წარმოდგენილ უნდა იქნეს არამხოლოდ დასაქმებულის გათავისუფლების ამსახველი მტკიცებულებები, არამედ ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც დაეფუძნა დასაქმებულის გათავისუფლება.

3. განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობის პირობებში მიიჩნევა, რომ დასაქმებულთან დადებული ხელშეკრულება არც შეწყვეტილა, შესაბამისად, სშკ-ის 38 VII მუხლის მიხედვით, დასაქმებულის ტოლფასი სამსახურით ან კომპენსაციით უზრუნველყოფასთან შედარებით უპირატესად გამოსაყენებელი სამართლებრივი შედეგი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაა.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

## I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დასაქმებული დაინიშნა ამცრელი ექთნის პოზიციაზე. დასაქმებულს დადგენილი დისციპლინური ნორმების დარღვევისთვის ჯერ მიეცა საყვედური, ხოლო შემდგომ სამსახურიდან გათავისუფლდა. გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა სშკ 37 I ზ), თ) მუხლზე. მან სარჩელი აღძრა და მოითხოვა დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანებათა ბათილად ცნობა, ამცრელი ექთნის პოზიციაზე სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სკ-ის 54, 409, 411; სშკ-ის 44, 32-ე მუხლებზე დაყრდნობით. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ: მოპასუხის მხოლოდ დასაქმებულის გათავისუფლების შესახებ გამოცემული ბრძანება გამოცხადდა ბათილად, მას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე. მოსარჩელე აღდგა ამცრელი ექთნის თანამდებობაზე.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა უფლებრივი რესტიტუციის ფორმა და დამსაქმებელს კომპენსაციის გადახდა დააკისრა. დაკისრებული ვალდებულების დარღვევის გამო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელმა უნდა წარმოადგინოს არამხოლოდ დასაქმებულის მიმართ დისციპლინური ზომის გამოყენებისა და მისი გათავისუფლების ამსახველი

მტკიცებულებები, არამედ აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ფაქტობრივი საფუძვლები, რადგან დასაქმებულის მიმართ დისციპლინური ზომის გამოყენება და მისი გათავისუფლება არის შედეგი, რომლის ლეგიტიმურობა მისი განმარტებული გარემოებების შეფასებით მონმდება. განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებლის ახსნა-განმარტებით, მოსარჩელე შრომის შინაგანანესს უხეშად არღვევდა, ელემენტარულ წესრიგს არ იცავდა და არაერთხელ შევიდა კონფლიქტში თანამშრომლებთან, რითაც სამსახურის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა. ამასთან, მასზე დაკისრებულ რიგ ვალდებულებებს არ ასრულებდა (მაგ.: ასაცრელი მასალა არ მოჭქონდა, ჟურნალს არ ავსებდა მითითებების შესაბამისად). მოპასუხემ ვალდებულების წყაროდ შინაგანანესზე მიუთითა, რასთან მიმართებითაც განიმარტა, რომ დამსაქმებელს ეკისრება დასაქმებულის ვალდებულების არსებობისა და მისი დარღვევის დადასტურების ტვირთი. შინაგანანესის დებულებები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ხოლო შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება - დასაქმებულისთვის ცნობილი, რასაც, მისი უფლება-მოვალეობების „განჭვრეტადობის“ პრინციპიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს დამსაქმებელი. სხვაგვარი დაშვების პირობებში დასაქმებული შინაგანანესში დასაქმებულისთვის უცნობ პირობებს (ცვლილებებს) შეიტანს და შინაგანანესის დარღვევა გარდაუვალი იქნება. ყველა შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება დამსაქმებლის ვალდებულებაა და აღნიშნული ვალდებულების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებაც მისი წარმოსადგენია (სშკ-ის 1 II და სკ-ის 318-ე მუხლები). პალატის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოებების დადასტურება მხოლოდ მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით შეუძლებელია. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მონმე სრულყოფილად ვერ განმარტავს, თუ რა შედიოდა ამცრელი ექთნის ვალდებულებაში: მხოლოდ დამკვიდრებული შეხედულება, რომ ყველა ექთანი ასე იქცევა, მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ გამოდგებოდა, რის გამოც დასაქმებულთან შრომითი ხელშე-

კრულების შეწყვეტა არაკანონიერად უნდა ყოფილიყო ცნობილი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივი შედეგი უნდა ყოფილიყო არა მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა, არამედ მისი გონივრული კომპენსირება იყო. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უკანონოდ გათავისუფლებული მუშაკის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა არ არის მიზანშეწონილი, როცა უფლებრივი რესტიტუცია შეუძლებელია, რაც, განსახილველ შემთხვევაში, გამოიხატა ექთნის ვაკანტური პოზიციის არარსებობაში. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. დამსაქმებლის განმარტებით, სასამართლომ დასაქმებული ექთნად არ აღადგინა ამ პოზიციის არარსებობაზე მითითებით, თუმცა მოსარჩელე აღდგენას ითხოვდა არა ექთნის, არამედ ამცრელი ექთნის თანამდებობაზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა არამართლობიერად, თუმცა გაიზიარა მოპასუხის პოზიცია კომპენსაციის დაკისრების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით, რის გამოც გააუქმა მოტანილი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად ქვედა ინსტანციას დაუბრუნა.

*ალექსანდრე თედორაძე*

**► 2 – 4/2020**

**მოსარგებლისა და მფლობელის პასუხისმგებლობათა გამიჯვნა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დროს**

სკ-ის 992, 999 I, 999 IV, 155-ე მუხლები

*უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განჩინება № ას-39-38-10*

**1. არსებობს ორი გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა ეკისრება არა მოსარგებლეს (მძღოლს), არამედ სატრანსპორტო საშუალების მფლობელს**

ლს: ა) იგი მფლობელის მიერაა დანიშნული სატრანსპორტო საშუალების სამართავად; ბ) სატრანსპორტო საშუალება მას მფლობელისაგან მართლზომიერადა ჰქონდა გადაცემული.

**2. ნივთის მართლზომიერი მფლობელობა არ შეიძლება ყოველთვის მოაზრებული იყოს მფლობელობად სკ-ის 999 I მუხლის გაგებით (ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)**

**I. ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელეს დაეჯახა საგზაო წესების დარღვევით მოძრავი მიკროავტობუსი, რომლის მძღოლსაც მანქანა სამუშაოდ ჰქონდა გადაცემული მისი მესაკუთრისგან (შემდეგში: მოპასუხე). ავტომანქანა მოსარჩელისთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო. მისი აღდგენა კი ავარიის შემდგომ შეუძლებელი გახდა. მან სარჩელი შეიტანა მესაკუთრის წინააღმდეგ. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით სარჩელი მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, თუმცა გამოაკლდა მიუღებელი შემოსავლისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯები.

გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხემ. სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა საჩივარი და მოპასუხეს საერთოდ არ დააკისრა თანხის გადახდა, ვინაიდან მოსარჩელის ავტომანქანა დაზიანდა მიკროავტობუსის მძღოლის დაუდევრობის შედეგად და მოსარჩელეს ტექნიკური თვალსაზრისით არ შეეძლო მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება, აგრეთვე მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს მიკროავტობუსის მძღოლს, რადგან განსახილველ შემთხვევაში არსებობს სკ-ის 992, 999 I მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები. პალატამ განმარტა, რომ მოსარგებლე სკ-ის 999 IV 3 მუხლის გაგებით წარმოადგენს სკ-ის 155 II მუხლით განსაზღვრულ სუბიექტს, რომელიც, მართალია, ფაქტობრივად ფლობს ნივთს, მაგრამ სხვა პირის, კერძოდ, ნივთის ფლობის უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირის სასარგებლოდ (მჭერი). ამასთან, მიიჩნია, რომ მესაკუთრესა და მძღოლს შორის არსებობდა თხოვების ხელშეკრულება და ამ სამა-

რთლებრივი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლი წარმოადგენდა მართლზომიერ, პირდაპირ მფლობელს, ხოლო მესაკუთრე არაპირდაპირ მფლობელს. შესაბამისად, მოსარჩელის ავტომანქანის დაზიანებაზე სათანადო ვალდებული პირი იყო მიკროავტობუსის მძღოლი და არა მისი მესაკუთრე, 999 IV 3 მუხლის შესაბამისად. გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოში.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებოდა იმავე პალატას განაჩენის დაუსაბუთებლობის გამო. სკ-ის 999 IV მუხლის თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია, მფლობელის ნაცვლად ანაზღაუროს ზიანი, თუმცა ეს წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერაა სატრანსპორტო საშუალების სამართავად დანიშნული ან ეს სატრანსპორტო საშუალება მას მფლობელისგან ჰქონდა გადაცემული. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, ვინც იურიდიული საფუძველით ახორციელებს ამ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარგებლისათვის სატრანსპორტო საშუალება გადაცემული იყო მფლობელის ნების საფუძველზე. ამიტომ, მიმღები პირი მართლაც იქცევა მართლზომიერ მფლობელად, თუმცა ნორმა გულისხმობს არა პირდაპირ მფლობელს, არამედ მოსარგებლეს, რომელსაც ნივთი მიღებული აქვს მესაკუთრის ნებით. ესაა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ინსტიტუტის თავისებურება, რა დროსაც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს (მფლობელს), რომელიც არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს. დაზარალებულს არ ერთმევა უფლება, რომ სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად ანაზღაურება მოითხოვოს იმ პირისაგან, რომელსაც ზიანში უშუალოდ მიუძღვის ბრალი. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 999-ე მუხლის მოთხოვნები, როცა ნივთის მესაკუთრე

არასათანადო მოპასუხედ ჩათვალა. უზენაესი სასამართლოს პოზიციით, როცა მოსარგებლე სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებით, იგი ითვლება მართლზომიერ მფლობელად, თუმცა არა სკ-ის 999 I ან 155 III მუხლების მიხედვით, არამედ იგი განიხილება მოსარგებლედ სკ-ის 999 IV 3 მუხლის გაგებით, რომელსაც არ ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა საკმაოდ ბუნდოვანია. არ ჩანს, მართლზომიერი მფლობელობისას როდის გამოიყენება 999 I და როდის - 999 IV 3 მუხლი. „მართლზომიერი მფლობელი, მაგრამ მოსარგებლე“-გადაწყვეტა არის პირდაპირ შედეგი გამხელა წინაპირობების დადგენის გარეშე, რაც ყველა შემთხვევაში კრიტიკას იმსახურებს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო არასრულად დასაბუთებული, ამიტომ მას საქმე ხელახლა, მესაკუთრის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის ფარგლებში უნდა განეხილა.

*ალექსანდრე თედორაძე*

**▶ 3 – 4/2020**

**შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპის გამოყენება საგადასახადო ორგანოს საქმიანობაში**

სკ-ის 54, 56, 60, 81, 85, 521 მუხლები  
საგადასახადო კოდექსის 73 IX ბ) მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება №ბს-854-846 (კ-16)

1. გარიგების შინაარსის ფორმაზე აღმატებულების პრინციპის გამოყენება დაუშვებელია მართლზომიერი გარიგებების მიმართ;
2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დროს გამოიკვლიოს მხარეთა რეალური ნება და მხოლოდ

იმ შემთხვევაში მოახდინოს გარიგების კვალიფიკაციის შეცვლა თუ არსებობს დიდი ალბათობა, რომ მხარე თვალთმაქცობდა ან/და სახეზეა ნების ნაკლი;

3. გადასახადის გადამხდელის მისწრაფება, გადაიხადოს ნაკლები გადასახადი, არის ბუნებრივი მოვლენა და ავტომატურად არ უნდა იწვევდეს გარიგების კვალიფიკაციის ცვლილებას.

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)**

**I. ფაქტობრივი გარემოებები**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს-ს შორის დაიდო უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე შპს-მ სამინისტროს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცა ქ. თბილისში მდებარე 359.4 კვ.მ ფართი, ხოლო სახელმწიფომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით შპს-ს საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი (456.31) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი შეადგინა.

ზემოაღნიშნული ოპერაციების განხორციელების აუცილებლობა გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ იმ პერიოდისთვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას, ხოლო სახელმწიფოს, საკუთარი საქმიანობისთვის ესაჭიროებოდა შპს-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, დაედოთ ქონების უსასყიდლოდ გადაცემისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები.

შემოსავლების სამსახურის მიერ აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულ იქნა ბარტერულ გარიგებებად და საგადასახადო კოდექსის 161 VII და 18 X მუხლების საფუძველზე შპს დაიბეგრა დამატებული ღირებულების გადასახადით.

საგადასახადო ორგანო, ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლისას ეყრდნობოდა საგა-

დასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს. შემოსავლების სამსახური მიიჩნევდა, რომ ოპერაცია თავისი შინაარსით წარმოადგენს ბარტერული ტიპის გარიგებას (უძრავ ქონებებზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემას), რაც გათვალისწინებული იყო სკ-ის 521-ე მუხლით (გაცვლის ხელშეკრულება).

საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის განმარტებისას საგადასახადო ორგანო აღნიშნავდა, რომ აღნიშნული მუხლის გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციის შინაარსის მსგავს ოპერაციას არ იცნობს თავად ქვეყანაში მოქმედი არცერთი სამართლებრივი აქტი. მოცემულ შემთხვევაში სკ-ის მიხედვით შესაძლებელი იყო გაცვლის ხელშეკრულების დადება და ოპერაციის განხორციელება. შესაბამისად, შემომწმებლების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით ოპერაცია დაკვალიფიცირდა გაცვლის ხელშეკრულებად.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომელიც მიიჩნევდა, რომ სახეზე იყო არა უსასყიდლოდ გადაცემა (რაც, როგორც ოპერაციის განხორციელების დროს მოქმედი, ისე არსებული კანონმდებლობით არ წარმოადგენს დასაბეგრ ოპერაციას), არამედ სკ-ის 521-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გაცვლა, რომლის თანახმადაც გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს აზრით, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილი იყო სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეეცვალა მისი კვალიფიკაცია.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტაცია და მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით. პალატის აზრით, აღნიშნული მუხლის გამოყენება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როცა მხარეები დებენ მართლზომიერ გარიგებას და მათ მიერ არჩეული გარიგების ფორმა და შინაარსი კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. გარიგების კვალიფიკაციის შეცვლისას საგადასახადო ორგანო ვალდებულია შეისწავლოს მხარეთა რეალური ნება და იმ შემთხვევაში შეცვალოს გარიგების კვალიფიკაცია, თუ გარიგების მხარე თვალთმაქცობს ან/და სახეზეა ნების ნაკლი. შესაბამისად, სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით კვალიფიკაციის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო ოპერაცია თავისი არსით ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (მხარეებმა დადეს ბათილი გარიგება).

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ქონება განკარგა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავდა პრივატიზების შემდეგ ფორმებს: კონკურსს, აუქციონს, იჯარა-გამოსყიდვას და პირდაპირ მიყიდვას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადიოდა თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მონუმბის გაცემის და საჯარო რეესტრში ან შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მყიდველს უნდა შეესრულებინა გარკვეული ვალდებულებები, მყიდველს საკუთრების უფლება ეძლეოდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით“. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო პირობადადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (და არა გაცვლის ხელშეკრულება), რადგან გარიგებით გათვალის-

სწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია სამომავლო პირობაზე.

აღნიშნული მსჯელობის თანახმად მხარეების მიერ გარიგება არ დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად (მოჩვენებითი გარიგება), იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (სკ-ის 56 I მუხლი). სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოჩვენებითი გარიგების აუცილებელ ნიშანზე, რა დროსაც გარიგების არცერთ მხარეს არ სურს გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა და, როგორც წესი, მათ ამოძრავებთ მესამე პირის (რომელიც შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი, ისე სახელმწიფო) მოტყუება. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოები თავად იყვნენ ოპერაციის მითითებული ფორმითა და შინაარსით განხორციელების ინიციატორები და არ შეიძლება საუბარი იყოს საგადასახადო ვალდებულებებისაგან თავის არიდების მიზანზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია ასევე თვალთმაქცურ გარიგებას, რომელიც წარმოადგენს მოჩვენებითი გარიგების ნაირსახეობას, რა დროსაც მხარეებს, მართალია, სურთ სამართლებრივი შედეგების დადგომა, მაგრამ არა იმ ფორმითა და შინაარსით, რომლითაც ისინი დებენ გარიგებას. ვინაიდან სასამართლომ მოცემულ საქმეზე არ დაადგინა მოჩვენებით გარიგების არსებობა, ოპერაციები არ დაკვალიფიცირდა გარიგების დაფარვად (თვალთმაქცური გარიგება) და, შესაბამისად, არ იქნა გამოყენებული დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (სკ-ის 56 II მუხლი).

სასამართლომ ასევე იმსჯელა გაცვლის ხელშეკრულების დამახასიათებელ ნიშნებზე და განმარტა, რომ ბარტერულ ოპერაციაში ადგილი აქვს იმავე ღირებულების ობიექტებს შორის ნატურალურ გაცვლას, გარიგება იდება ერთდროულად ერთი ხელშეკრულების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ზემოაღნიშნული ოპერაციები შეაფასა, როგორც მხარეთა კერძო ავტონომიური ნების გამოვლინება, რა დროსაც მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ფორმა. კერძოდ, სასურველი შედეგის დადგომისათვის პირი კერძო ავტონომიის ფარგლებში

ითვალისწინებს თავისი ქონების განკარგვის რისკებს, კონტრაქტისა და სამართლებრივი კონსტრუქციის ფაქტორებს. სასამართლოს აზრით, მხარეებმა გამოიყენეს კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობა - „ცალკეული და ურთიერთდამოუკიდებელი ხელშეკრულებების ფარგლებში განახორციელეს სახელშეკრულებო ავტონომიით მინიჭებული უფლებამოსილებები“ და მათ მიერ დადებული გარიგებები მართლზომიერია.

საყურადღებოა სასამართლოს მითითება, რომ ნაკლები გადასახადის გადახდის მიზანი ყოველთვის არ იწვევს გარიგების მოჩვენებითად მიჩნევას. პირიქით, მხარეთა მიერ კანონიერი საშუალებების გამოყენებით საგადასახადო ოპტიმიზაციის მიღწევა სრულიად ბუნებრივი (კანონიერი) მოვლენაა, საინააღმდეგო შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს უნდა ამოძრავებდეთ გადასახადების მაქსიმალური ოდენობით გადახდის, საუარესო საგადასახადო შედეგებისადმი გადამხდელის მიწრაფება. შესაბამისად დაუშვებელია პასუხისმგებლობის დანესება, როდესაც მხარეები ირჩევენ გარიგების ფორმას, რომელიც კანონიერ საფუძველზე იძლევა გადასახადისაგან თავისუფლების პირობას. ამდენად, „სამართლებრივი თავისუფლების ფარგლებში მიზნის მიღწევის ერთ-ერთი კანონიერი გზის არჩევა არ უნდა იწვევდეს მის ავტომატურ მოდიფიცირებას დაბეგვრას დაქვემდებარებული ხელშეკრულების სახეობად“.

### III. კომენტარი

#### 1. გარიგების ბათილობა, როგორც შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის გამოყენების აუცილებელი პირობა

ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ გარიგების, მიუხედავად მისი გარეგნული გამოხატულებისა, შინაარსის მიხედვით გადაკვალიფიცირებას. მაგალითად, თუ მხარეებმა დადეს აღნაგობის ხელშეკრულება, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო მიზნებისთვის აღნიშნული ოპერაცია განიხილოს, რო-



გორც ნივთის მიწოდება. ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლის მიერ მინიჭებული აღნიშნული უფლებამოსილება ერთი შეხედვით შესაძლოა აღქმული იყოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი კერძო ავტონომიისა და ნების თავისუფლების პრინციპში ჩარევად მაშინ, როდესაც სკ-მა კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები აღჭურვა უფლებებით, განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ქმედება. მოცემულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებდა შემოსავლების სამსახურის პრაქტიკა, რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში, როცა მხარეები ნაკლები გადასახადის გადახდის სურვილით დებდნენ არა ბათილ (მოჩვენებით/თვალთმაქცურ), არამედ მართლზომიერ გარიგებებს, იყენებდა შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპს და ცვლიდა გარიგების კვალიფიკაციას. აღნიშნულ მეთოდს ადმინისტრაციული ორგანო განსაკუთრებით მაშინ მიმართავდა, როცა გარიგება (ნასყიდობა, ჩუქება, ამხანაგობაში მიწის სანაცვლოდ მომსახურების შეტანა და სხვა) თავისი ბუნებით საშუალებას იძლეოდა დაკვალიფიცირებულიყო ბარტერული გარიგებად, რომელიც წარმოადგენს დღეს-ით დასაბეგრ ოპერაციას. კვალიფიკაციის შეცვლისას ადმინისტრაციული ორგანო არ სწავლობდა მხარეთა რეალური ნებას და მისი არგუმენტაცია გამყარებული იყო გადამხდელთა მიერ ნაკლები გადასახადის გადახდის სურვილზე მითითებით.

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება<sup>1</sup>, რომლის თანახმად, შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპი არ უნდა გამოყენებულიყო მართლზომიერი გარიგებების მიმართ, რაც სასამართლომ სრულად გაიზიარა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციის ფორმიდან გამომდინარე შინაარსს ადგენს უშუალოდ ამ ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და არა საგადასახადო ორგანო ან საგა-

დასახადო კოდექსი. მაგალითად, თუ საგადასახადო ორგანო იჯარის ხელშეკრულებას ნივთის მიწოდებად აკვალიფიცირებს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამტკიცოს, რომ მხარეთა შორის დადებული გარიგება აკმაყოფილებს ნივთის მიწოდებისთვის აუცილებელ პირობებს, რაც რეგულირდება ისევე და ისევე სამოქალაქო კანონმდებლობით.

## 2. გარიგების კვალიფიკაციის შეცვლა და გარიგების კონვერსია

საინტერესოა ყურადღება გამახვილდეს საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტსა და სკ-ის მე-60 მუხლს შორის მსგავსებაზე. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა. მოცემულ მუხლშიც საუბარია გარიგების ერთგვარ გადაკვალიფიცირებაზე, რა დროსაც კუმულატიურად უნდა არსებობდეს სამი პირობა: 1. ბათილი გარიგება; 2. გარიგება უნდა აკმაყოფილებდეს სხვა გარიგებისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს და 3. მხარეებს უნდა სურდეთ სხვა გარიგების (ე.წ. სათადარიგო გარიგება) ნამდვილობა. გარიგების კონვერსია არ გამოიყენება თუ გარიგება ნების ნაკლის გამო (მოტყუება, შეცდომა, იძულება) არის შეცილებული და ბათილად გამოცხადებული<sup>2</sup>. ამ შემთხვევაში კონვერსიას არ შეუძლია ნების ნაკლის გამოსწორება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ორ მუხლში საუბარია მხარეთა შორის დადებული გარიგების ბათილობაზე და მის ნაცვლად ახალი (სხვა გარიგების) გამოყენებაზე, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც. კერძოდ, საგადასახადო ორგანოს მიერ გარიგების კვალიფიკაციის შეცვლის დროს, მოცემული სამი კუმულატიური პირობიდან სახეზე უნდა იყოს პირველი მათგანი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული კვალიფიკაცია უნდა იყოს შე-

<sup>1</sup> ლ. ნადარაია, ზ. როგავა, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, 73 IX მუხლის კომენტარი.

<sup>2</sup> ლ. ჯანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მე-60 მუხლის კომენტარი, ველი 6.

საბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან (აკმაყოფილებდეს სხვა გარიგებისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს), რაც შეეხება მე-3 პირობას - მხარეთა ნებას (სხვა გარიგების ნამდვილობის მიმართებით), იგი არ წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების წინაპირობას.

მოცემულ ნორმებს ერთმანეთისგან ასევე განასხვავებს მათი მიზანი და ის შედეგები, რომლებიც წარმოიშობა მათი გამოყენების შემთხვევაში. კერძოდ, გარიგების კონვერსიის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნება, რა დროსაც კანონმდებელი, მიუხედავად გარიგების დროს მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომისა (ბათილი გარიგების დადება), მათ, მათივე ნების არსებობის შემთხვევაში აძლევს შესაძლებლობას დარჩნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში. შესაბამისად, გარიგების კონვერსიის დროს გარიგება გარდაიქმნება სამოქალაქო/კერძო სამართლებრივი მიზნების მისაღწევად, რასაც ვერ ვიტყვით საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გარიგების კვალიფიკაციის შეცვლაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სხვა გარიგება გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო მიზნების მისაღწევად და იგი არ წარმოშობს სამოქალაქო სამართლებრივ შედეგებს (მაგ. თუ იჯარის ხელშეკრულება საგადასახადო ორგანოს მიერ დაკვალიფიცირდა ნასყიდობად, ერთი მხარე მეორეს ვერ მოსთხოვს ქონების საკუთრებაში გადაცემას/დატოვებას) გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახეზე არ გვაქვს თვალთმაქცური გარიგება, რა დროსაც გამოიყენება დაფარული გარიგების წესები.

**3. მართლსაწინააღმდეგო/ამორალური გარიგებები საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში**

მნიშვნელოვანია განვიხილოთ მართლსაწინააღმდეგო/ამორალური გარიგების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების შესაძლებლობა. სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო გარიგება ითვალისწინებს კერძო ავტონომიის შეზღუდვის შე-

მთხვევებს. კერძოდ, გარიგება ბათილად ჩაითვლება, როცა იგი ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული არ არის მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობაზე, არამედ გარიგება ბათილად ჩაითვლება თუ იგი ეწინააღმდეგება ზოგადად მართლწესრიგს<sup>3</sup>. სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი არ დადება არც გარიგების უშუალო მონაწილეების და არც მესამე პირების მიმართ. გარიგება დადებისთანავე ბათილია და მას ნამდვილად ვერ გადააქცევს ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება, ვერც სახელმწიფო ორგანოების მონონება ან სასამართლო გადაწყვეტილება. კანონი არ ითვალისწინებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას<sup>4</sup>. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილი იქნეს საქართველოს გადაწყვეტილებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, როცა ზნეობრივი სტანდარტების საწინააღმდეგოდ ითვლება გამსესხებლის მიერ ბაზარზე საკრედიტო დაწესებულებების კრედიტებზე დადგენილ საშუალო საპროცენტო განაკვეთებზე ბევრად მეტი ოდენობით პროცენტის განსაზღვრა და იძულებით დადებული გარიგებები. ყველა ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპი, ვინაიდან მხარეთა მიერ არჩეული ფორმა მართალია ფორმალურად არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, მაგრამ თავისი არსით არღვევს საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს და შესაბამისად, დაუშვებელია მსგავსი სახის გარიგების კვალიფიკაციის შეცვლა. როგორც წესი, გარიგებები, რომლებიც იდება საგადასახადო ვალდებულებებისგან თავის არიდების მიზნით, მართლსაწინააღმდეგოა. თუმცა, საგადასახადისათვის თავის არიდებით მხარეებმა შეიძლება გააფორმონ მოჩვენებითი და თვალთმაქცური გა-

<sup>3</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 54-ე მუხლის კომენტარი, ველი 2.

<sup>4</sup> ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 54-ე მუხლის კომენტარი, ველი 7.

რიგებებიც. შესაბამისად, სსკ-ის 218-ე მუხლის (გადასახადისათვის თავის არიდება) გამოყენებისას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგების, ისე მოჩვენებით და თვალთმაქცური გარიგებების არსებობას.

გადასახადისათვის თავის არიდებისგან განსხვავებით, ნაკლები გადასახადის გადახდის მიზანი ყოველთვის არ იწვევს გარიგების ბათილობას. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაწესება გადამხდელის ისეთი მოქმედებისათვის, რომლებიც იდება კანონით გათვალისწინებული შეღავათების ფარგლებში, გადასახადისაგან გათავისუფლების კანონიერი შესაძლებლობის რეალიზაციის მიზნით.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არადამაჯერებელია სასამართლოს მხრიდან აღნიშნული არგუმენტაციის მოშველიებით განხილული გადაწყვეტილების დასაბუთება. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ნათლად დასტურდება, რომ მხარეებს საერთოდ არ ამოძრავებთ ნაკლები გადასახადის გადახდის სურვილი, მით უფრო გარიგებების ერთი მხარე თვითონ სახელმწიფოა. მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ქონების გაცვლა, რასაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა კრძალავდა. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა უპირველესად უნდა წარმართულიყო მხარეთა რეალური ნების დადგენისაკენ, კერძოდ, ხომ არ სურდათ მხარეებს საკანონმდებლო შეზღუდვისათვის გვერდის ავლა.

#### **4. ნების ნაკლი, როგორც შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპის გამოყენების წინაპირობა**

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლომ სრულად გაიზიარა საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები. გადაწყვეტილების თანახმად, კვალიფიკაციის შეცვლა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ ბათილ, ნების ნაკლის მქონე გარიგებების, მათ შორის, თვალთმაქცური და მო-

ჩვენებით გარიგებების მიმართ. თუმცა, საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გამოყენებული ვერ იქნება, როდესაც გარიგება დადებულია მოტყუებით ან იძულებით. კერძოდ, თუ პირი სათანადო წესით დაადასტურებს, რომ იგი მოატყუეს ან იძულებით დაადებინეს გარიგება, იგი (გარიგება) ბათილად ჩაითვლება არა შეცილების მომენტიდან, არამედ მისი დადების მომენტიდან და მხარეებმა უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც მიიღეს ბათილი გარიგების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში არ იარსებებს დასაბეგრი ოპერაცია და შესაბამისად, საგადასახადო ორგანო ვერ განახორციელებს ბათილი გარიგების (მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგებები) კვალიფიკაციის შეცვლას. განსხვავებული შედეგი გვექნება, როცა საუბარია ნების ისეთ ნაკლზე, როგორცაა მოჩვენებითი, თვალთმაქცური და შეცდომით დადებული გარიგებები, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კვალიფიკაციის შეცვალოს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ოპერაციის ფორმის და შინაარსის შეუსაბამობის, კვალიფიკაციის შეცვლის საჭიროების მტკიცების ტვირთი აკისრია აღნიშნულის შესახებ აქტის გამომცემ ორგანოს. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მტკიცების საგანში შედის შემდეგი გარემოებების დადასტურება: 1. მხარეთა არჩეული ფორმა მოჩვენებითია (მაგ., საწარმომ ქონების გადასახადისგან თავის არიდების მიზნით უძრავი ნივთ გადააფორმა ფიზიკურ პირზე); 2. მხარეები გარიგების დადებისას თვალთმაქცობდნენ (მაგ., უზუფრუქტის ხელშეკრულება დადეს ნასყიდობის გარიგების დასაფარად) ან 3. სახეზეა შეცდომით დადებული ისეთი გარიგება, როდესაც მხარეს სურდა სხვა გარიგების დადება და არა იმისა, რომელზეც მან გამოთქვა თანხმობა.

#### **5. დასაბეგრი ოპერაცია მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების კვალიფიკაციის შეცვლისას**

მოჩვენებითი გარიგებისთვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ნიშანი: პირველი, ის და-

დებულია მოსაჩვენებლად და, მეორე, მხარეებს არა აქვთ ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომის განზრახვა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შესაბამეა კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ხარვეზს, რაც გამოორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. მხარეთა მიერ მოჩვენებითი გარიგების დადების მიზანს, როგორც წესი, წარმოადგენს მესამე პირის მოტყუება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი, ისე სახელმწიფო. სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების ერთ-ერთი ნინაპირობა სწორედ მოჩვენებით გარიგების არსებობაა. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ კვალიფიკაციის შეცვლისას არ უნდა გაითვალისწინოს ბათილი გარიგება (ამ შემთხვევაში მოჩვენებით გარიგება) და გადასახადის დარიცხვა განახორციელოს გარიგებამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ საწარმომ ქონების გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით უძრავი ნივთი გადააფორმა ფიზიკურ პირზე, საგადასახადო ორგანო საგადასახადო კოდექსის 73 IX მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე არ გაითვალისწინებს აღნიშნულ ოპერაციას და საწარმოს დაბეგრავს ქონების გადასახადით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო დაადგენს, რომ მხარეებმა დადეს თვალთმაქცური გარიგება, დასაბეგრ ოპერაციის ბაზად დაფარული გარიგება გამოიყენება.

საინტერესოა მოცემულ საქმეზე მხარეთა შორის დადებული გარიგებები შევაფასოთ მართლსაწინააღმდეგო გარიგების ჭრილში. კერძოდ, სასამართლოს მიერ შემოსავლების სამსახურის პოზიციის არგაზიარების მთავარი მოტივი იყო ის გარემოება, რომ ოპერაციების განხორციელების დროს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას. სასამართლომ

მხარეთა მიერ დადებული გარიგებები განიხილა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ხელშეკრულებებად და შეაფასა, როგორც მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლინება. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა საკამათოა, ვინაიდან საქმის გარემოებიდან ნათლად იკვეთება, რომ მხარეებს ნამდვილად სურდათ უძრავი ნივთების გაცვლა და თითოეული ხელშეკრულება, რომელიც ცალკე აღებული არ წარმოადგენდა ინტერესის საგანს, მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა. თუ თითოეული მხარე საკუთარი უძრავი ქონების სანაცვლოდ არ მიიღებდა სხვა (მისთვის სასურველ) უძრავ ქონებას, ისინი არ შევიდოდნენ ერთმანეთთან სამართლებრივ ურთიერთობაში. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე დათანხმდა შპს მის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის „უსასყიდლოდ“ გადაცემას. რა თქმა უნდა, შპს-ს არ ამოძრავებდა სახელმწიფოსათვის ქონების ჩუქების სურვილი, თუ სანაცვლოდ არ მიიღებდა მისთვის სასურველ ქონებას. თავის მხრივ, სახელმწიფოს მიერ პირდაპირი მიყიდვის წესით ქონების გასხვისებაც განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მას ესაჭიროებოდა შპს-ს საკუთრებაში არსებული ქონება. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, განხილული ოპერაციები სასამართლოს მხრიდან სწორად არ შეფასდა თვალთმაქცური გარიგებებად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო დაფარული გარიგების წესები, კერძოდ, სახელმწიფო ქონების გაცვლის ნორმები, რომლებიც, როგორც აღვნიშნა, არ იყო გათვალისწინებული იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მითითება, რომ აღნიშნული ურთიერთობა უნდა დარეგულირებულიყო სკ-ის 521-ე მუხლით (გაცვლის ხელშეკრულება), მოკლებულია სამართლებრივ არგუმენტაციას და სასამართლოს მხრიდან სწორად არ იქნა გაზიარებული. თუმცა, სასამართლოს უნდა ემსჯელა სახეზე ხომ არ იყო მართლსაწინააღმდეგო გარიგება, ვინაიდან კანონმდებლის ნება, რომელიც არ უშვებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის გზით განკარგვის შესაძლებლობას, და მხარეთა რეალური ნება (მიმართული ქონების გაცვლისკენ) აშკარად არ მოდიოდა

თანხვედრაში. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა მხარეთა შორის დადებულ გარიგებებს (ანუ ჩავლიდა, რომ სახელმწიფომ გაცვალა მის საკუთრებაში არსებული ქონება, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას), მას არ უნდა მოჰყოლოდა კვალიფიკაციის შეცვლა (იხ. ზემოთ, 3). ამ უკანასკნელ შემთხვევაში გარიგებები უნდა მიჩნეულიყო მართლსაწინააღმდეგოდ და გაბათილებულიყო სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე. მხარეები დაუბრუნებდნენ ერთმანეთს ბათილი გარიგების შედეგად მიღებულ სარგებელს/ქონებას და არ იარსებებდა დასაბეგრი ოპერაცია.

საინტერესო იქნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილება იმავე ფაქტობრივ გარემოებების, თუმცა იმ კანონმდებლობის პირობებში, რომელიც უშვებს სახელმწიფო ქონების გაცვლას. მოცემულ ვითარებაში, საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი იქნებოდა მხარეთა შორის არსებული გარიგებები მიეჩნია თვალთმაქცურ გარიგებებად და დაბეგვრის ობიექტად გამოეყენებინა დაფარული გარიგება. კერძოდ, შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპით გარიგების დაეკვალიფიცირებინა ბარტერულ ოპერაციად და მასზე დაერიცხა დღგ. ამ შემთხვევაში სამართლოს მსჯელობა მხარეების თავისუფალი ნების გამოვლინების საფუძველზე დადებული ინდივიდუალური, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხელშეკრულებების შესახებ კიდევ უფრო ნაკლებად დამაჯერებელი იქნებოდა.

ნიკოლოზ აბუთიძე

► 4 – 4/2020

**არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ჯამრთელობისათვის მიყენებული ზიანისას**

სკ-ის 413-ე მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება № ას-979-940-2014

**სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, რომელიც გამოიწვევს ძლიერ სულიერ ტანჯვასა და ემოციურ სტრესს, შეიძლება გახდეს არაქონებრივი ზიანის (ჯამრთელობისთვის ვნების მიყენების კუთხით) ანაზღაურების წინაპირობა.**

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

**I. ფაქტობრივი გარემოებები**

მოპასუხე ავიაკომპანიას (თბილისის ფილიალს) რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში, 2013 წლის 13 ივლისს, უნდა ჩამოესვენებინა მოსარჩელის შვილის ცხედარი.

ავიაკომპანიამ კი საქართველოს ნაცვლად ცხედარი გააგზავნა სამხრეთ კორეაში. შესაბამისად, საქართველოში იგი ჩამოსვენეს 31 საათის დაგვიანებით, 2013 წლის 14 ივლისს, ამასთანავე, მოპასუხემ არ მიაწოდა მოსარჩელეს ინფორმაცია რეისის დაგვიანების შესახებ. ამ უკანასკნელს კი ამბის გამოსარკვევად, თუ სად იმყოფებოდა თავისი შვილის გვამი, მოუხდა ტელევიზიისა და პოლიციის ჩართვა.

მოსარჩელემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება 80 000 ლარის ოდენობით. მოპასუხემ კი სარჩელი არ ცნო.

ზემოაღნიშნული სარჩელი არ დააკმაყოფილა თბილისის საქალაქო სასამართლომ. შესაბამისად, მოსარჩელემ (შემდგომში „აპელანტი“) გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება. აპელანტის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარებოდა შემდეგ სამართლებრივ საფუძველებს: სკ-ს მე-18 მუხლის II და VI ნაწილები და 992-ე მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის იმ დროს მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლი და მე-17 მუხლის პირველ პუნქტი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარა-

ციის პრეამბულაში განმარტებული ღირსების ცნება, კონვენციის მე-13 ოქმი. ასევე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის მიერ აპელანტისათვის შვილის ადგილსამყოფელის დროულად შეუტყობინებლობამ გამოიწვია აპელანტის ღირსების შელახვა და ძლიერი სულიერი ტკივილი. პალატამ თავისუფალი განვითარების უფლებას დაუკავშირა შვილის უკანასკნელად გამომშვიდობება და საქართველოში არსებული წეს-ჩვეულებების მიხედვით მისი დატირება. შვილისათვის გასაპატიოსნებელი რიტუალის ჩატარების დაგვიანებით კი აპელანტმა ვერ მოახერხა მისი ღირსეულად დაკრძალვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ავიაკომპანიის თბილისის ფილიალმა (შემდგომში „კასატორი“), მისი მოთხოვნა იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება. მან მიუთითა, რომ ფაქტობრივი გარემოებები არასწორად იყო შეფასებული და ამასთანავე სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონი არასწორად იყო განმარტებული.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საკასაციო სასამართლომ პირველ რიგში მიუთითა იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული ფაქტობრივი გარემოებები გასათვალისწინებლად სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი დასაბუთებულად ასაჩივრებს მათ.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა კასატორს იმ ნაწილში, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. აღნიშნული ეხება სკ-ს მე-18 მუხლის გამოყენებას, ვინაიდან იგი აწესრიგებს განსხვავებულ ურთიერთობას. აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ ამ მუხლისა და მისი მე-2 ნაწილის გამოყენება დაკავშირებულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონთან. ასევე, ღირსებაც გამოხატვის თავისუფლების

კონტექსტშია განმარტებული სააპელაციო სასამართლოს მიერ მოშველიებულ გადაწყვეტილებებში.

ვინაიდან მოპასუხის არაქონებრივი ზიანი გამონვეული იყო კასატორის მიერ ვალდებულების დარღვევით, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სწორედ გადამზიდველს ეკისრება მტკიცების ტვირთი იმაზე, რომ ის ყველანაირად ეცადა ზიანის თავიდან აცილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ დავაში გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 413-ე მუხლი. სასამართლომ ხაზი გაუსვა მის ორ წინაპირობას: 1. კომპენსაცია მოთხოვნილ უნდა იქნეს კანონით განვირულ შემთხვევებში (გონივრულ და სამართლიან ფარგლებში); 2. დაზარალებულს შეუძლია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ მას სხეული დაუზიანეს ან მის ჯანმრთელობას მიაყენეს ზიანი.

საკასაციო პალატამ ასევე იმსჯელა, რა შეიძლება იყოს სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება. აღნიშნული გულისხმობს შემთხვევას, როდესაც დაზარალებული შრომისუუნარო ან არასრულფასოვანი ხდება. როგორც სასამართლო გადაწყვეტილებაშია, შეიძლება ეს ყოველივე არ გამომდინარეობდეს უშუალოდ სამართალდარღვევიდან, თუმცადა შემდგომში მოჰყვეს მას (იქვე მითითებულია მაგალითებიც: ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა და ა.შ). თუმცა, ზემოთ განხილულ ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია დასტურდებოდეს, რომ პირის განცდები არის მისი ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგი.

საკასაციო პალატა ასევე უთითებს - „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამონვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში“.

საკასაციო პალატამ დაადგინა კასატორის მხრიდან ვალდებულების დარღვევა (ხელშე-

კრულებიდან გამომდინარე), რომ იგი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, ვინაიდან ცხედარი მოხვდა სამხრეთ კორეაში. კასატორს კი არ წარმოუდგენია სასამართლოში დასაბუთებული პრეტენზია იმასთან მიმართებით, რომ მან ყველა დეტალი არ შეატყობინა დედას, რომელიც შვილის ცხედარს ელოდებოდა. კასატორის მხრიდან ასევე არ ყოფილა დასაბუთებული მითითება ისეთ გარემოებებზე (მაგ. დაუძლეველი ძალა), რომელიც დაადასტურებდა, რომ შეუძლებელი იყო დედისათვის ინფორმაციის მიწოდება.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კასატორმა დაარღვია გულისხმიერება, ვინაიდან აღნიშნული სამართალურთიერთობა სცდება გადაზიდვის ხელშეკრულების ფარგლებს.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: 1. შვილის ცხედრის ჩამოსვენებლობისა და ინფორმაციის გვიან მიწოდების შედეგად დედამ მიიღო ძლიერი სულიერი სტრესი, „ამ გარემოებამ მის ფსიქიკას დაღი დაასვა და გავლენა იქონია ემოციურ მდგრადობაზე“. 2. ვინაიდან შორ მანძილზე გადაადგილების გამო შვილის ცხედარი იყო ცუდ მდგომარეობაში, დედას არ მიეცა საშუალება ენახა შვილი, ასევე ვერ დაკრძალა იგი ჩასვენებით. ამ ყველაფერმა კი გავლენა იქონია დედის ჯანმრთელობაზე. 3. ავიაკომპანიის თბილისის ფილიალის დირექტორმა მისწერა დედას, რომ ავიაკომპანიას პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, თუმცა ჰუმანურობიდან გამომდინარე ჩუქნიდა სამ ავიაბილეთს. სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს საქართველოში არსებული მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე გაცილების წესის შეფასებაში, ასევე იმ ნაწილში, სადაც საუბარია „დედის მიერ შვილის ცხედრის პირველად ნახვასთან დაკავშირებული სულიერი ტკივილის თაობაზე“. ამ მდგომარეობაში კი დედისათვის შვილის ცხედრის ადგილსამყოფელის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო მას მიადგა ისეთი ზიანი, რამაც გამოიწვია მისი სულიერი ტანჯვა და ძლიერი ემოციური სტრესი.

ამგვარად, საკასაციო სასამართლომ დაადგინა სკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობები.

ესენია: ვალდებულების დარღვევა მოპასუხის მიერ; ზიანი; მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ეს ყოველივე გახდა მიზეზი იმისა, რომ საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კასატორის საჩივარი და გადაწყვიტა, კასატორს დაკისრებოდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით. ასევე პალატამ აღნიშნა, რომ ვინაიდან კასატორს არ გაუხდია სადავოდ კომპენსაციის აღნიშნული ოდენობა, მას არ აქვს შესაძლებლობა, იმსჯელოს თანხის რაოდენობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო ასევე უთითებს, რომ იგი „სავსებით იზიარებს გასაჩივრებული გადანყვეტილების მსჯელობას მორალური ზიანის ფუნქციის, მისი პრევენციული ბუნებისა და მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ოდენობის სასამართლოს მიერ განსაზღვრის თაობაზე“.

### III. კომენტარი

განხილული გადანყვეტილება ეხება ქართული რეალობისათვის მეტად აქტუალურ საკითხს და ფაქტობრივად არის პრაქტიკის დამდგენი. საკასაციო სასამართლო ამოვიდა დავებისა და მიცვალებულის გასაპატიოსნებლად ჩასატარებელი რიტუალის ქართული წესიდან და დაადგინა, რომ ავიაკომპანიის მხრიდან ვალდებულების დარღვევა შეიძლებოდა გამხდარიყო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი, ვინაიდან დედას მიადგა ძლიერი სულიერი ტანჯვა და ტკივილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიცვალა.

ამ გადანყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა გახდა გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, მიუხედავად იმისა, რომ გადაზიდვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არც ერთი ნორმა არ ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას (სკ-ის 413 I მუხლი) და სახეზე არ იყო არც სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება (სკ-ის 413 II მუხლი). მართალია, სასამართლოს არაქონებრივი ზიანის ინსტიტუტის დოგმატიკის დარღვევით

მოცემული ზიანი აქ ანაზღაურებადად ცნო, იხელმძღვანელა რა სამართლიანობის პრინციპებით, თუმცა ამგვარმა „თავისუფალმა“

სამოსამართლო კანონშემოქმედებამ მომავალში შეიძლება არასწორი პრაქტიკის დამკვიდრებას მისცეს ბიძგი.

*ნინო ბერიძე*